აკაკის

თვიური

კრებული

9556

წელიწადი პირველი

№ IX

მაისი, 1898

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. К. Кекелидзе
Академия наук ГССР

თფილისი

Тип. М. Шарадзе и к°. пик. 21. || სტამბა შარაძისა და ამხ., ნიკ. № 21.

1898

შინაარსი.

განყოფილება

I

		გვ.
I	ტუჩ-მარჯანა — ლექსი.	1
II	ჩემი თავ-გადასავალი	3
III	შენიშვნა	29
IV	წვრილ წვრილი ამბავები:	
	—მოტყუებული ტერტერა	32
	—მოჩვენება	35
	—ცერცვი თუ ცეცხლი?	36
	—წვიდა გიორგის რაზმი	37
V	ბიბლიოგრაფიული შენიშვნა	49

განყოფილება

II

VI	სოლომონ პირველი დიდი—იმერეთის მეფე	1—40

განყოფილება

III

VII	ანდაზები (შეკრებილი ს. მერკვილაძისაგან)	1
VIII	მარგალიტა—ზღაპარი, ქართლში ჩაწერილი ვანო ლალიაშვილისაგან	31
IX	დარდიანი — ჩაწერილი მ. როსტომაშვილისაგან	42
X	სოლომონ ბრძენი — მისივე	—
XI	მკითხავი—მისივე	47
XII	ამირანი—მისივე	49
XIII	როსტომი—მისივე	53
XIV	მკვეხარა — მისივე	55
XV	სოვდაგარი—მისივე	56
XVI	პირ-მურალა—მისივე	61

აკაკის

თ ვ ი უ რ ი



წელიწადი პირველი

№ IX

მაისი, 1898

თფილისი

Тип: М. Шарадзе и к°. пик. 21. | სტამბა შარაძისა და ამხ., ნიკ. № 21.

1898

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Мая 1898 г.

შინაარსი.

განყოფილება

I

		გვ.
I	ტუჩ-მარჯანა — ლექსი.	1
II	ჩემი თავ-გადასავალი	3
III	შენიშვნა	29
IV	წვრილ წვრილი ამგვეგბი:	
	— მოტყუებული ტერტერა	32
	— მოჩვენება	35
	— ცერცვი თუ ცეცხლი?	36
	— წმიდა გიორგის რაზმი	37
V	ბიბლიოგრაფიული შენიშვნა	49

განყოფილება

II

VI	სოლომონ პირველი დიდი — იმერეთის მეფე	1—40

განყოფილება

III

VII	ანდაზები (შეკრებილი ს. მერკვილაძისაგან)	1
VIII	მარგალიტა — ზღაპარი, ქართლში ჩაწერილი ვანო ლალიაშვილისაგან	31
IX	დარდიანი — ჩაწერილი მ. როსტომაშვილისაგან	42
X	სოლომონ გრძენი — მისივე	—
XI	მკითხავი — მისივე	47
XII	ამირანი — მისივე	49
XIII	როსტომი — მისივე	53
XIV	მკვეხარა — მისივე	55
XV	სოვდაგარი — მისივე	56
XVI	პირ-მეჯალა — მისივე	61

რ ე დ ა ქ ტ ი ს ა მ ა ნ.

ჩვენმა ფოთელმა აგენტმა ბ. ვლადიმერ ახობაძემ რედაქციას არ წარმოუდგინა მისგან აღებული ფულების ანგარიში და ამისთვის ხელის მომწერლებს, რომლებსაც მისი საშუალებით აქვთ გამოწერილი „კრებული“, ვთხოვთ: გადაუხდელი ფული ახობაძეს არ გადასცენ და პირდაპირ რედაქციას გამოუგზავნონ.

ტუჩ-მარჯანა.

თვალ-ციმციმა კბილებ-ბროლა,
ჰაწაწკუნა ტუჩ-მარჯანა—
ზოგჯერ წმინდა ცეცილია,
ხან ეშმაკი, ვით სატანა,

—

დალაცაცობს, ყველას ხიბლავს,
ხელოვნურათ უხლართავს გზებს:
მარჯვნივ ელავს, მარცხნივ ქსელავს
და შიგ აბამს, როგორც ბუზებს,

—

ფრთხილათ! ფრთხილათ! არ შეგრჩება...
გადაგსდება ტუჩ-მარჯანა!
თვისვე ქსელში რომ გაება,
ბევრი ვნახეთ შენისთანა!..

—

შენც დაგიჭერს ერთი ვინმე,
რომ არ ფიქრობ—იმისთანა
და მაშინ-კი აგეხსნება
სიყვარულის გამოცანა.

—

სილამაზე, სიჭაბუკე,
მოძხიბლავი კაცის გულის,
ედემს ქმნილი, ცაში თლილი,
აკვანია სიყვარულის.

და გვირგვინი-კი მისივე
დედობაა და ცოლობა...
გინდა დაჭკნეს, გაცამტვერდეს
შვენება და უმაწვილობა.

მაგრამ გვირგვინს ვერ იტვირთებს,
ჩემო კარგო ტუჩ-მარჯანა,
ვინც უარჰყო მისი ქვეყნის
ბიბლიური ანაბანა!

ჩემი თავ-მადასავალი.

გიმნაზიაში რომ შემიყვანეს, — გავცეცდი: იმდენი ბავშვი, ერთად თავ-მოყრილი, ჩემ დღეში არ მენახა. მოზდილები სკამებზე იჯდენ სულ-განაბული და ახალ-მოსწავლე პატარები-კი ჯგუფ-ჯგუფათ კედლებთან იყვენ ატუზული. აქ კედლებზე ირგვლივ ქაღალდის ფიცრები იყო ჩამოკიდებული, ზედ ანბანი და ამოსაღები ეწერა და იმას აკითხებდენ ყმაწვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და შეეშლებოდა თუ არა ბავშს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ და როცა სულ შემოუვლიდენ კედლებს, მერე-კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვენ ისინიც სკამზე. ამ ყოფაში იყვენ, სანამ კითხვას ისწავლიდენ. უნდებოდენ ზოგჯერ წელიწადზე მეტს. წარმოიდგინეთ 7—8 წლის ბავშვი დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდი მშიერ-მწყურვალი და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვენ ის საწყლები. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავ-ბრუ ეხვევოდა და ეცემოდენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევდა.

შესვლისათანავე პირველ კედელთან დამაყენეს „ანბან“-ზე, მაგრამ რადგანაც მეხუცური ვიცოდი, მხედრული წერა-კითხვაც შესწავლილი მქონდა ⁄ რუსულ ამოსაღებშიაც გატეხილიმქონდა თვალი დედიჩემის წყალობით,

ერთდღეს შემოვირბინე ყველა კედლები. მასწავლებელმა თავზე ხელი გადამისვა, მომიწონა ჰ უფროსებთან დამსვა სკამზე. კითხვით კარგათ ვკითხულობდი, მაგრამ ჩემი უბედურობა ის იყო, რომ რუსული არ მესმოდა. იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოთ თუნუქის ფირ-ფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდენ. ვინც ქართულათ ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდენ ხელში და თანაც გძელ ფიცარს—სახაზავს—დაჰკრავდენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე, იმ რიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერ-ტყმია ხელის გულზე. ამ გვარათ ეს საცოდაობის ფირ-ფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მო-შორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩე-ნილიყო მთელი დღით უსადილოთ. ვინც რუსული არ იცოდა ახალ-შემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ ბედავდენ და მუნჯდებოდენ. ამ ჩვეულებას დიდი გამრ-ყვნელი ხასიათი ჰქონდა: ყმაწვილები ცდილობდენ, რომ ერთმანეთი მოეტყუებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდენ. სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონი, და ტკბილი ღიმი-ლით მეგობრულათ მკითხა რაღაც ქართულათ; მეც რა-საკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართუ-ლათ ვუპასუხე. ყმაწვილს მშვიდობიანი სახე გადა-უსხვაფერდა და სიხარულით მომაჩეჩა ფირფიტა. ჩამო-ვართვი, მეტი რაღა გზა მქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე“ ვერ დავეთანხმე. რა გენაღვლება შენ, მე რომ „ლინე-იკა“ არ დავირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს-მეთ-ქი—ვეხვეწებოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიჭირა:

შე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?! მე მაინც არ დავეთანხმე, გავუძალდი და იმან ჭუჭყუნი დაიწყო. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მივიდა და დამაბეზღა. დამიძახეს. გავედი შიშითა და კანკალით. მასწავლებელმა წარბები შეიკრა და მკითხა: როგორ ბედავ ურჩობას? აქ შენი სახლი ხომ არ გგონიაო! მე თავის გამართლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამივიდა!—კარგი, მე გასწავლი ჭკუასო! დაუძახა „სტოროჟებს“ და უბრძანა „როზგიო!“ მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა ლ გაქცევა დავაპირე.—ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთო!—ბძანა მასწავლებელმა. იგრიალეს მოსწავლეებმა ჩემ დასაჭერათ და გადამეღობენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევვარდი, სადაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოთი მოვახდინე, მაგრამ შევხტი ფანჯარაზე, გავამტრიე მინები, გადავხტი და მოვკურცხლე შინისკენ. გამომიდგენ „სტოროჟები“... წინ მე გავრბოდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდენ კიჟინით. გულ-გახეთქილი შევიჭერი შინ. დედ-მამამ რომ გაიგეს, რაც მოხდა, შეწუხდენ და ბევრიც მირჩიეს: წადი, რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენს თავზე ხომ არ არის—ყველას როზგვენო. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალო; მაგათში უმისოთ არ შეიძლებაო!.. მაგრამ მე შორს დავიჭირე და გამოტეხილი ვუთხარი დედას:—თუ კიდევ გაგიგზავნივარ იმ დასაქცევ გიმნაზიაში, თავს დავიხრჩობ-მეთქი!.. შეშინდენ და ჩამიმეთხოვენ. ერთ კვირას აღარ წავსულვარ კლასში. იმ დროს დირექტორათ კოცებუ იყო ახალი დანიშნული. ქართული მაზრის უფროსობის დროს შეესწავლა, კარგათ იცოდა და ქართველებიც ძალიან უყვარდა. მოვიდა ჩვენსა და გამომკითხა ყველაფერი. მეც დაუფარავათ მოვახსენე, რაც

გადამხდა და რასაცა ვგრძნობდი. გაუკვირდა, გადააქ-
ნია თავი, მომეფერა და მითხრა:—შენ ჩემი სახელი ახ-
სენე და ნულარავისი გეშინიარ; ხვალ ჩემთან მოდი პირ-
დაპირ კანცელარიაში და მე წაგიყვან კლასშიო. მეორე
დღეს მართლა წამიყვანა და მიმიყვანა ჩვენს კლასში.
გამოიკვლია ყოლიფერი და „მარკის“ ამბავი რომ გაი-
გო, გაოცდა. მოიხმო ინსპექტორი, ზედ-დამხედველები,
მასწავლებლები და გამოუცხადა ყველას, რომ დღეიდან
ეგ საქციელი აღარ ჩაიდინოთო!.. მოსპეთ „მარკა“ და
უმიზეზოთ ცემა-ტყეპაზედაც ხელი აიღეთო! მერე მიუ-
ბრუნდა ჩემ მასწავლებელს და უთხრა:—განსაკუთრებითი
ყურადღება მიაქციე ამ ყმაწვილსო. მართლაც იმ დღი-
დან ცოდვის ფირფიტა გადააგდეს, მაგრამ ცემა-ტყეპაზე
კი ისე უცბათ ვერ აიღეს ხელი, უიმისობა მაინც არ
ეხერხებოდათ. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ჩვეუ-
ლება რჯულზე უმტკიცესიაო“. იმ დროს მთელი რუსე-
თი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე რო-
ზგის ნაყოფიაო. გიმნაზიებშიაც რასაკვირველია პირვე-
ლი ადგილი ეჭირა.. დღე არ იქნებოდა, რომ ყმა-
წვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო
გაყრუებული. „როტაში“ არ მოუნდებოდათ იმდენი წკეპ-
ლა, რაც თვითოეულ კლასში. „სტოროჟებს“ ურმებით
მოჰქონდათ ყოველ დღე ახალ-ახალი. მოსწავლეს გალა-
ხვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული, „სტო-
როჟებამდე“. მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის,
რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა და
რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოთ... ხში-
რათ მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგივე ბავშვი
ერთი დღის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვი-
ლიყოს“ სხვა და სხვა უფროსებისაგან. მახსოვს და არც

დამავიწყდება ჩემ დღეში: ერთი რუსის ბავში იყო — კრიჟანოვსკი, — ძლიერ მოუსვენარი რამ, მაგრამ სხვებ კარგი იყო. ერთხელ ნახევარი საათით დააგვიანდა კლასში მოსვლა და ინსპექტორმა ,,გააროზგვინა'', იმ დღესვე გაკვეთილი არ იცოდა და მასწავლებელმა ,,გააროზგვინა''; კლასი რომ გამოვიდა ზედამხედველმა ,,გაროზგა'': სახლში გიცელქნია და მეზობლის ბავშისათვის ქვა გისროლია — გიჩივლესო! ამითაც ვეღარ გადარჩა. ყველამ ერთად დააბეზღეს ინსპექტორს და იმანაც მოუნდომა ,,გაროზგვა''. ეს ინსპექტორი შეუბრალებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულთა-მხუთავისა. კრიჟანოვსკიმ, ტანჯვა რომ ვეღარ აიტანა, იშვირა ხელი და ფეხი და გადავარდა რიონში. რომ შემთხვევით იქვე არ დასწრებოდა ერთი მეგრელი მოსწავლე, ძალიან კარგი მცურავი, დაიღუპებოდა. ისე ცემა-ტყეპას ხომ ანგარიში არ ჰქონდა. ვაი მისი ბრალი ვისაც კარგი ხუჭუჭი თმა ჰქონდა!.. ერთ ყმაწვილს, გვარათ ჭაჭიაშვილს დიდი ყურები ჰქონდა. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს. ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდი აახლიჩა ყური. გაუსივდა და მხოლოთ რამდენიმე დღის განმავლობაშა ისევ დაუწყო შეხორცება. მაგრამ ვინ აცალა შეხორცება!.. სტაცებდენ ხელს და ხელ-ახლა აგლეჯდენ... ასე რომ გავიდა სასწავლებლიდან. ერთ მოსწავლეს — კლდიაშვილს — პირით დაჰკრა შუბლზე ,,ლინეიკა'' და თავ-თხლე გადაადინა, ძვალიც კი გაუტეხა. გულ-შემოყრილი ბავში შინ წაიღეს. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. ამისთანები რამ უთვალავი იყო. ღვთის მადლით მე ამცილდა ტანჯვა და ერთხელ მეტათ არ გავლახულვარ, მაგრამ ეს ერთიც საკმაო აყო, მთელი ჩემისი-

ცოცხლე მოეტანჯა. დირექტორმა რომ მიმიყვანა, იმ დღიდან ჩემი მასწავლებელი სულ გულ-აღრენილი იყო ჩემზე და თუ კი შემთხვევა ექნებოდა, რასაკვირველია, არ დამზოგავდა. ერთხელ რომელღაც მოსწავლემ ხაჭაპურები მოიტანა კლასში და ლატარიაში ჩააგდო თითო კაპეიკათ. ყველამ მოაწერა ხელი. წამძლია სულმა და მეც მოვაწერე. შემოგვესწრო მასწავლებელი და იწყინა, როგორ გაგიბედნიათ ხელის მოწერაო! აიღო დიდი, უშველებელი ,,ლინეიკა'' ხელში. თვითო-თვითოთ გაჰყავ და ხელის მომწერლები, ჰკითხავდა: რომელი ხელით მოაწერეო? და პასუხს რომ მიიღებდა, დაჰკრავდა ხოლმე რაც ძალი და ღონე ჰქონდა!.. ,,კიდევ მოაწერო?'— ეკითხებოდა დაცინვით. მე ყველაზე ბოლოში ვეწერე, რადგანაც ჩემი გვარი წილზეა, და ,,ჟურნალში'' ანიდან იწყება გვარების წერა. იმ დროს საბა-ორბელიანის იგავ-არაკები წაკითხული მქონდა ⁄ მომაგონდა ოფოფის ხრიკი, თავის გადარჩენა რომ უნდოდა და მელა გააბრიყვა. იმ განყოფილებაში წერის გაკვეთილი იყო. მე ვიფიქრე, რომ თუ მარჯვენა ხელი მეტკინა, წერა გამიფუჭდება და მოდი მარცხენას გავიმეტებ-მეთქი. მეც, რასაკვირველია, მითხრა: აბა, დამნაშავე ხელი გამოაშვირეო! მე მარცხენა გავუშვირე. ჯერ დამკრა და მერე ეჭვი შეიტანა, რასაკვირველია განგებ, მარცხენა ხელით როგორ მოაწერდიო? რომ გამოვუტყდი, მარჯვენა ხელზედაც დამკრა ⁄ გამიშვა. ტკენა ხომ ტკენა იყო, მაგრამ მე ის უფრო მტანჯავდა რომ ჭკუა წავაგე და ორი „ლინეიკა“ დამკრეს, მაშინ როცა სხვები კი თვითოთი გადარჩენ!.. ვტიროდი, ხელი მიკანკალებდა და რასაკვირველია, კარგათ ვეღარ დავწერდი!.. ნაწერები რომ გაარჩია მასწავლებელმა, დამიწუნა და კიდევ დამკრა „ლინეიკა“ — უკეთ დაწერეო! კლასის გათავებამდი ოთხ-

ჯერ კიდევ დამკრა!.. ის დღე იყო და მას აქეთ ველარ გამოვბრუნდი. არ იქნა, ველარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლათა ვწერ ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტიქტურათ მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი დატანჯვა. ეს შემთხვევა რა გასახსენებელი იყო, მაგრამ მიტომ ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ, თუ რა ძნელია სათუთ ბავშვებთან სასტიკათ მოპყრობა და რა შედეგი მოჰყვება ხოლმე.

ჩემი გალახვის ამბავი გაეგო დირექტორს და შენიშვნა მიეცა მასწავლებლისათვის. ის იყო და ის, ამ დღიდან ამომიჩემა მასწავლებელმა ტ ყურადღებასაც აღარ მაქცევდა, თითქო ერთი ჯირკი გდებულიყო იქ. არც მასწავლიდა ტ არც რამეს მკითხავდა. მე მაინც ზოგს ამ-ხანაგების შემწეობით, ზოგსაც ჩემით ვსწავლობდი, რაც ძალი და ღონე მქონდა. იმდენი ნიჭი არა მქონდა, რამდენიც სურვილი და ბეჯითობა. ვცდილობდი, დღე და ღამე გასწორებული მქონდა და სხვებს არა თუ არ ჩამოუვარდებოდი, მეტიც ვიცოდი მათზე. ეგზამენები მოახლოვდა, ხმა გავარდა, რომ „პოპეჩიტელის" თანაშემწე, მაქსიმოვიჩი, მოდის, იმან უნდა გამოგვცადოს მოსწავლეებიო. იმის სიფიცხეზე და გულ-ქვაობაზე ბევრ საარაკო რამეს ლაპარაკობდენ. ყველა შიშის ქარმა აიტანა მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც.

მაქსიმოვიჩი ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე ბრძანება გამოსცა, რომ რადგანაც ყველას ვერ მოვასწრებ, თვითოეული კლასიდან სამ-სამი მოწაფე გამომგვარეთ: პირველი, შუათანა ტ უკანასკნელი; იმათ გამოვცდი ტ მით მთელი გიმ-

ნაზიის გარემოებაც გათვალისწინებული და აწონილი მექნებაო. ეგზამენებმა კარგათ ვერ ჩაიარა. წინდაწინვე დამფრთხალ ყმაწვილებს გონება ეკარგებოდათ. ჯერ იმ სამ მოწაფეთაგანს ჰკითხავდა რამე საპასუხოს და თუ ვერ უპასუხებდენ, მერე მთელ კლასს მიუბრუნდებოდა. თუ აქაც აღარავინ აღმოჩნდებოდა — მასწავლებელს უნდა აეხსნა. ხშირათ მასწავლებლებიც წაიბორძიკებდენ ხოლმე და მაშინ თვითონ ეგზემენატორი ახსნიდა და გაამეორებინებდა ხოლმე ყმაწვილებსაც. ეს ახალი მეთოდა იყო მისგან შემოღებული. იმ დროს გიმნაზიაში სწავლობდა ერთი შესანიშნავი და სახელ-განთქმული ახალგაზდა — ბესარიონ ღოღობერიძე. მასწავლებლებსაც დიდი ხათრი ჰქონდათ მისი და პედაგოგებსაც მისი იმედი ჰქონდათ: „თუ დაგვიხსნის, ის დაგვიხსნის და გვასახელებსო“. მათი მოლოდინი გამართლდა, მაგრამ სულ ისე მაინც არა, როგორც ეგონათ. ამბობდენ: „მარჯვეთ იყო ბესარიონი, მაგრამ ბევრი ოფლი კი აწურვიესო“. ასე თუ ისე, თუ იმას არა, მაქსიმოვიჩი გულს ვეღარ მოიბრუნებდა ქუთაისის გიმნაზიასა და მის მასწავლებლებზე. შუა კლასებშიაც ზოგიერთებმა გვარიანათ მიუგეს. ბოლოს ჯერი მიდგა უმცროს კლასებზე. ჩვენი კლასიდანაც, განკითხვის დღე რომ დადგა, (ასე ვეძახოდით საზოგადოთ მაქსიმოვიჩის ეგზამენებს) სამი მოწაფე აიყვანეს და ჩააყენეს თორნეში. მესამე მოწაფეთ, ესე იგი უკანასკნელ მაჩანჩალათ, მე გამაყოლეს. ჩემი ამხანაგები ცახცახობდენ და მე კი უფრო სეირის საყურებლათ გავედი, რადგანაც ვიცოდი, რომ, როგორც უკანასკნელს, ბევრს არას მკითხავდენ და ყურადღებას არ მომაქცევდენ. ერთ ხანს მარჯვეთ იყვენ მოწაფეები. საზეპირო როცა ჰკითხეს, იმათაც ჩააბულბულეს, მაგრამ ბოლოს, როცა

აზრით გაგებაზე მიდგა საქმე, მაშინ კი აიბნენ. საკვირველი იყო: იმ „პოპეჩიტლის“ თანაშემწის საკითხავებმა, სასახლეში რომ ბავშვებმა თამაშობაები ვიცოდით: „ბერი ჩამოხტა“, „აჩატი“, „ანზე ვისი ყმა ხარ“ და სხვანი,— სწორეთ არ მომაგონა! გამიკვირდა: ეს რა გიმნაზიის საკადრისია-მეთქი—ვამბობდი გუნებაში, მაგრამ მომაგონდა ჩვენი სახლი, დედა და ისე წავხალისდი, რომ ასე მეგონა, შინა ვარ მეთქი და ორჯელ-სამჯერ ჩემ ამხანაგებს რომ შეეშალა, მე უკმაყოფილოთ თავი გავაქნიე. მაქსიმოვიჩმა თვალი შემატანა და მომაყვირა: — „რას აქნევ თავს ქეციან ცხენივითო!“ შევშინდი და ენა ჩამვარდა. მასწავლებელი მომეშველა და მოახსენა: —ალბათ ბუზი აწუხებს ტ ხელს ვერ ხმარობს...—რა დროს ბუზებია! მიუბრუნდა უკმაყოფილოთ მასწავლებელს და ან საჭიროების დროს ხელს ნუ გაანძრევო, ვინ ეუბნება? უშლიან მხოლოთ წარა-მარა ხელების აქეთ-იქით ქნევას. არა, აქ სხვა მიზეზია! მომიხმო სტოლთან.

— მე შეგნიშნე, რომ, როცა იმათ ეშლებოდა მაშინ აქნევდი თავს. მართალია თუ არა? ნუ გეშინია, მითხარი!

— დიახ, უნებურათ!...

— მაგალითად რა შეეშალათ?

— აქლემი გაფრინდებაო — რომ მოგახსენეს, ეტყობათ, არ უნახავთ აქლემი!

— შენ? შენ სად გინახავს?

— შარშან თათრებმა ჩაატარეს მაედანში; ძლივს მიიფხორებოდენ.

— მერე, რა იცი რომ ვერ გაფრინდება?

— ფრთები არ აქვს.

— რასაც ფრთები არ აქვს, ვერ გაფრინდება? მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება?

— ვერა.

— არ გაგიგონია ძველათ, რომ ვინმე გაფრენილიყოს?

— ძველათ—ენოქ და ილია, მაგრამ ისინი ურმით გაფრინდენ ღვთის ძალით. ეგზემენატორმა თვალები დაიჭყიტა და მკითხა:

— ვინ გითხრა შენ ეგ?

— დედამ.

— კუდიანები რომ ფრენენ, იმათ ხომ ფრთები არ აქვთ?

— კუდიანები არ ფრენენ.

— მაშ როგორ შეუძლიათ, რომ არ ფრენდენ? ასე ჩქარა ყველგან როგორ მოივლ-მოივლიან?

— მგელზე ჯიან და ისე დადიან. აქ გადიხარხარა და თავზე დამისვა ხელი. ამ გვარ რამეებს მკითხავდა და თანდათან გახალისდა. მეც რომ შევატყე, აღარ წყრებამეთქი, გავთამამდი. ბოლოს დამიწყო გამოცდა. საზეპიროები მკითხა,—კარგათ მივუგე.

— აზრიც გესმის? მკითხა.

— რასაკვირველია მესმის!

— შეგიძლია ქართულათ გადაგვითარგმნო ეგ ლოცვები?

— რაღათ გადაგითარგმნით, ქართულათ რომ უფრო ადრე ვიცოდი?...

— სად ისწავლე?

— სახლში.

— ეგებ რუსულათაც იქ ისწავლე?

— არა, აქ. მიუბრუნდა მასწავლებელს და ჰკითხა:

— თქვენ ხომ არ შეგშლიათ, რომ ეს ბავშვი უკანასკნელ მოწაფეთ წარმოადგინეთ?

— არა, თქვენო აღმატებულებავ! ერთი რომ პატარაა, მერე კიდევ არც დიდი ხნის შემოსულია და ჯერ-ჯერობით ყურადღებას აღარ ვაქცევდით, არასა ვკითხავდით, გაკვეთილებსაც არ ვაძლევდი: ჯერ მიეჩვიოსთქო—უპასუხა მასწავლებელმა ცოტა ფერ-მიხდილათ.

— მაშ თუ არა გკითხავდენ, შენ როგორღა სწავლობდი? მკითხა მან.

— სხვებს თუ აკითხებდენ და უხსნიდეენ, მეც აქ არ ვიყავი? ყურს ვუგდებდი. ეს რომ გაიგონა, ხედავთო? დაეკითხა ჩემ ამხანაგებს. რომ მოგენდომებიათ თქვენც ასე ისწავლიდითო. მასწავლებელი რო კარგათ გიხსნით, ეს ცხადათ ჩანს. ხელი ჩამოართვა მასწავლებელს და მადლობა უთხრა. მე შუბლზე მაკოცა, წამოდგა ზეზე და დაიშალა კლასიც. მივფრინდი თუ ფეხით მივედი სახლში, აღარ მახსოვს. სიხარულმა ისე ამიტაცა, რომ მთვრალივით ველარ გამოვერკვიე. შინ რომ მივედი, სტუმრები იყვენ სახლში და მამა ჩემმა მომახარა: რა ქენი ჩემო კაჭუაო? მეც ყველაფერი მოვახსენე, რაც გადამხდა. „მე კი არ ვიცოდი?! წამოიძახა მამამ—კვიცი ყოველთვის გვარზე მიდისო. პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბავშვობისას, ყველას ვჯობდიო, რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდენ, მე ორ-სამ წელიწადს გავიარე, გავათავე; ღრამატიკა, ართმეტიკა, ისტორია, ღეოღრაფია და სხვანიო. ბატებმა არ დამაცალეს, ყიყინით მაწუხებდენ, თვარა, რომ მომეცადა არისტოტელის კათეღორიასა და ლოღიკას სულ ბდღვირს გავადენდიო. შენც, შვილო, ოჯახის შვილი რომ ხარ, სხვებზე უფრო მეტი უნდა ისწავლო და ვიგინდარები არ გაიტოლოვო!“ სტუმრებმაც ამ გვარივე დარიგება მომცეს. დედა კი თავისთვის იჯდა თავ-

ჩაღუნული, თითქო ამისათვის სულ ერთიაო და არც კი შეუმჩნევივარ. საღამოს, დასაძინებლათ რომ ჩავწექ ლოგინში, მოვიდა დედა და შუბლზე დამადვა ხელი. ჩამოჯდა ლოგინზე. მე ვიფიქრე, ვაი თუ ავათ ვარ და მატყობს რამეს, თვარა ასე სხვიმის როდის მოსულა-მეთქი. წინადაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ საკვირველი ზნე სჭირდა დედას: თუ არ გამოთხოვების დროს, როცა სადმე დიდი ხნით მივდიოდი და ან ხანგრძლივ უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკოცებდა ბავშვებს, და მაშინაც ისე თითქო გული ნებას არ აძლევსო. ეს მეც მიკვირდა და ვერ ამეხსნა. ეს ხასიათი მთელ მის სიცოხლეში შერჩა. შვილი-შვილებსაც ასე ეპყრობოდა. ერთხელ, დაცოლშვილიანებული ვიყავი, შევესწარი, რომ ჩემ პატარა შვილს, მძინარს, მიდგომოდა ტ სიფრთხილით, არ გამოვაღვიძოვო, ჰკოცნიდა და ეალერსებოდა. მაშინ მივხვდი, რომ ალბათ ჩვენც ასე გვეალერსებოდა-მეთქი. ცხადათ ვინ უშლიდაო—იფიქრებს კაცი და ის თურმე იმ აზრის იყო, როგორც ეთხელ გამოაცხადა ლაპარაკში, რომ ხშირი მოფერება აფუჭებს ყმაწვილს და წარა-მარა კოცნასაც ფასი აღარ აქვს მის თვალშიო. არ ვიცი, საზოგადოთ ეს მართალია თუ არა, მაგრამ ჩემ თავზე, როგორც გამოვცადე, მისი კოცნა რაღაც სასუფევლურ ნეტარებათ მიმაჩნდა. იმ საღამოს ავფოფინდი, რომ გვერდში მომიჯდა და ალერსიანათ მითხრა: ხომ ილოცეო? ..

— როგორ არა-მეთქი!

— დღეს დილას, სანამ კლასში წახვიდოდი, დაუჯდომელი პარაკლისი ხომ არ დაგვიწყებია?

— როგორ დამავიწყდებოდა!.. და მერე მით უფრო, რომ განსაცდელში მივდიოდი.

— ჰო, კიდეც მიტომ უხსნიხარ ღმერთს და გაგიმარჯვნია. ულმერთოთ, რაც უნდა იცოდე, მაინც ვერას გააწყობ! მამა შენმა რაც გითხრა დღეს, ის მართალი კი ნუ გგონია, იმან ისე იცის ხუმრობა.

— რა?

— რა და სხვებმა რომ გაჯობოს სირცხვილიაო. აბა, სხვები რომ კარგები იყონ, შენი რა სირცხვილია? სირცხვილი ის არის, როცა შენ შენდა თავათ არ ვარგხარ და არ ცდილობ სწავლას. შენ სხვებს კი არ უნდა ეჯიბრებოდე; შენ სრულიად შენთვის უნდა ცდილობდე ყოველგვარ სიკარგეზე და თუ სხვებიც შენისთანები იქნებიან და კიდევ უკეთესიც, შენ მითი რას დაკარგავ? შენ კიდეც უნდა გიხაროდეს მათი სიკეთე. შენ რომ კარგათ დაგიჭერია დღეს ეგზამენი, აი რა კარგ გუნებაზე ხარ!.. ისინი კი, შენი ამხანაგები, ვინ იცის რა გულდაწყვეტილები არიან!

— ტიროდენ დედა!..

— მერე არ შეგეცოდა?

— შემეცოდა კი არა, კინაღამ მეც ვიტირე...

— ჰო და, იმათაც რომ შენსავით გაემარჯვათ ხომ გიამებოდა?

— ნეტავ მართლა!..

— ჰო, შვილო! სხვისი შური და სიხარბე გულში არ უნდა შეუშვა,—ესენი ორივე ეშმაკის კიბის საფეხური არიან. ეშმაკი ჯერ შეგიტყუებს ზედ ნელნელა და მერე უცბათ გაჰკრავს ხელს და გადაგაგდებს. მე პირჯვარი დავიწერე, დედამ მაკოცა მხურვალეთ, ორჯერსამჯერ ჩამეკონა გულში, პირჯვარი გადამმსახა და მოშშორდა: დაიძინეო. ჩემ ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. დიდ ხანს თვალი ვეღარ დავხუჭე... და რომ და-

მეძინა, სიზმრებმა წამიღეს. სულ ანგელოზებში დავფრინავდი და ვთამაშობდი. გათავდა ეგზამენები. წავიდა მაქსიმოვიჩი. მიწყნარ-მოწყნარდა ყოლიფერი და მეც პირველი საჩუქრით გადამიყვანეს მეორე კლასში. სულ სხვა თვალით მიყურებდენ ამხანაგებიცა და უფროსებიც. ამას მე კარგათ ვხედავდი და ვცდილობდი, რომ არ შევრცხვენილიყავ. დღე და ღამე გაერთებული მქონდა, ისე მონდომით ვსწავლობდი და იმ შრომასთან და ცოტა ნიჭთანაც, რომ უკეთესი პატრონობა მქონოდა და უფრო სწორ გზაზე ვმდგარიყავ, კარგი რამ გამოვიდოდა, მაგრამ სამწუხრო ის იყო, რომ იმ დროს პედაგოგია მეტათ დაბალ ხარისხზე იდგა. ბავშვებს კაჭკაჭებსავით წრთვნიდენ და არა ადამიანის შვილებათ! ყოველი საგანი უნდა მხოლოთ ეზეპირებიათ მოსწავლეებს და აზრი ესმოდათ თუ არა, იმას არავინ ჰკითხავდა. ერთი რუსის შვილი იყო—ვოლკოვი—და იმას სამღრთო წერილიდან გაკვეთილი ჰკითხეს. საბრალომ ზეპირათ არ იცოდა, მაგრამ თავისი სიტყვით შვენივრათ ახსნა. მასწავლებელმა უგდო, უგდო ყური და გაიცინა:—შენი სიტყვებით რომ ბრძანებ, განა წუნობ მაგის დამწერის სიტყვებს?! გაუჯავრდა და გაგდო, ცუდი ნიშანიც დაუსვა. მერე მეორეთ გაიყვანა, როდესაც გაეზეპირებია, და სულ-მოუბრუნებლათ, სულ სხაპასხუპით უთხრა, თუმცა კი არ ესმოდა, რას ამბობდა. მოუწონა: ,,აი როგორ უნდა დაისწავლოო'' და კარგი ნიშანიც დაუსვა. ასე იქცეოდენ მაშინდელი მასწავლებლები ყველა. მხოლოთ მათ რიცხვში ერთად ერთი, გვარათ ტროიე, სულ სხვა იყო. მაქსიმოვიჩის მეთოდი შემოიღო: საზეპიროს ცოტას გვაძლევდა, სულ რამოდენიმე პწკარს, მაგრამ მაგიერათ არა თუ აზრი, ყოველი სიტყვის მნიშვნელობა უნ-

და გვკოდნოდა და ავვეხსნა. მის კლასში ყველა—დიდი და პატარა—თანასწორათ სმენათ იყო გადაქცეული. ბუზი რომ გაფრენილიყო, გაიგებდა კაცი. მაშინ იცოდენ და დღესაც კიდევ მასწავლებლები რიგ-რიგათ ჰკითხვენ მოსწავლეებს, ასე რომ მოწაფემ იცის, როდის მოუწევს რიგი და იმ დღისთვის უკეთ ემზადება, ვიდრე სხვიმის და მის სწავლაში თანასწორობა აღარ არის. ტროეს კლასში კი ყველა მზათ უნდა ყოფილიყო. ერთს რომ ჰკითხავდა, უცებ, მოულოდნელათ სხვას რომელიმეს „განაგრძეო“—მიუბრუნდებოდა. აგრეევ არ იცოდა ძველი და ახალი გაკვეთილი; მოულოდნელათ ძველიდანაც გვკითხავდა ხოლმე. თვითეულ სკამს მიუჩინა თითო უფროსი შეგირდი. ისინი ჰკითხავდენ ყოველ დღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უსვამდენ. იმ უფროსებისათვის მერე მე უნდა მეკითხა და დამესვა ნიშნები. ზოგიერთი მათი შეგირდებიც უნდა შემემოწმებია და ის ნიშნები მიმერთმია მასწავლებელისათვის. რომ შემოვიდოდა, ისიც გადაათვალიერებდა და დასამოწმებლათ გამოიხმობდა ზოგიერთებს. ერთი გაბაშვილი იყო ჩვენს კლასში, რომელიც სოფლიდან დადიოდა სასწავლებელში და კლასის დაწყებას რასაკვირველია ველარ მოასწრებდა ხოლმე. ამისათვის აჩოქებდენ იმ საწყალს კუთხეში კლასების გათავებამდე. ასე რომ ფეხზე მდგარი ის სწავლის დროს ძვირათ დაგვინახავს. ერთხელ დარჩენილიყო სადღაც და ქუთაისში ნათესავებში გაეთია ღამე. სამოსწავლებლო წიგნიც ეშოვნა (მაშინ არამც თუ გარეშე წიგნი, სახელმძღვანელო წიგნებიც ცოტა იყო, სულ რამოდენიმე და ერთი მეორისაგან ვნათხოვრობდით) და გაკვეთილი კარგათ დაესწავლა. ადრე მოვიდა, მაგრამ, რადგანაც დაჩვეული იყო,

თავის თავად დაიჩოქა და ამისთვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. მის უფროს შეგირდს მისთვის კარგი ნიშანი დაესვა, მე შევამოწმე და მართალი გამოდგა. ტროემ რომ საზოგადოთ ყველას ნიშნები გადაათვალიერა, გაბაშვილის ოთხსაც მოჰკრა თვალი. ალბათ გაუკვირდა და გამოუძახა. ჰკითხა და მისთანა თქვენს მტერს! ერთი სიტყვაც ვერ მიუგო. გადააქნია თავი და გამიხმო: ,,ეს ნიშანი შენ დაუსვიო?'' მკითხა.—დიახ, მე მეთქი, ვუპასუხე.—მერე რათა, რომ არაფერი იცის?

— მე რომ ვკითხე—იცოდა.

— იცოდა?! ასე მალე, ორ წუთში როგორ დაავიწყდებოდა? აქ რაღაც სხვა ამბავია! ბრძანა მრისხანეთ. შევიტყობ, რაც არის, მაგრამ არ მცალია. გაბაშვილო, წადი ბ შენ იქვე დაიჩოქე, სადაც იყავი და შენც, წერეთელო, მიდი მაგასთან და გვერდში ამოუდექი, სანამ ჩემი კლასი არ გათავდეს! მერე ორივეს ერთად დაგამოწმებთ. თუმცა ყველაზე მეტი ჩვენ ტროიესი გვეშინოდა, მაგრამ მისგან დასჯილი არ გვინახავს და ახლა: როგორ გამიბედეს მოტყუებაო, ზომას გადავიდა.

— შე შეჩვენებულო, რა ქენი ეგა, აკი იცოდი? დავეკითხე ჩემით, კუთხეში რომ გავედით.

— ახლაც ვიცი—მიპასუხა ტირილით.

— მაშ რატომ არ მოახსენე?

— ფეხზე რომ ვიდექი, ველარ მოვახერხე. ეს რამდენი ხანია — სულ დაჩოქილი ვსწავლობ და პასუხსაც ისე ვაძლევ. აი, თუ არ ვიცი? მოჰყვა ზეპირათ... რომ ავდგე, დამებნევა! მასწავლებელმა მოგვატანა თვალი და მოგვაყურა.—რას ჩურჩულობთო? მე გავედი და მოვახსენე ყოლიფერი. გამოიყვანა გაბაშვილი დააჩოქა ბ ისე ჰკითხა. კარგათ მიუგო. რამდენჯერმე გაიმეორა ეს ამბავი

და ისე გაუკვირდა, რომ წამოდგა ზეზე, კლასს თავი დაანება და გასწია კანცელარიისკენ. იქ რა ჩაიდინა, ვინ იცის? მაგრამ იმ დღიდან-კი გაბაშვილი დაჩოქილი არ გვინახავს.

ერთხელ, კლასი რომ გათავდა და შეგვასვენეს, მე, რადგანაც დილას არ მეჭამა რა, შევირბინე შინ, ვიგდე ახალუხის ჯიბეში ცხელი მჭადის კოკორი და მივაშურე ისე კლასს—არ დაგვინახოს მეთქი. ტროიეს გაკვეთილი იწყებოდა. ფეხათ შევსწრო ჩემთვის და ხუთი მოწაფე კიდეც გამოეხმო ჯ გაეჩწკრიეებინა. შევყავ თავი თუ არა, მომაყვირა:—შენ, აქ მობძანდი ჯ დადექ ამათთანაო! მივედი და გავჩერდი. ცხელი მჭადი მომედვა ბარძაყზე და მეცხუნა. მე შმაშური დავიწყე, ხელი მოვუსვი, ასე რომ ავტოკდი. მასწავლებელმა შემნიშნა ჯ მკითხა: რა გემართებაო? დაფარვა აღარ შეიძლებოდა... ამოაყოფიეს ჯიბიდან მჭადს თავი... შეგირდებმა გადიხარხარეს. მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა, გამომართვა მჭადი და წინ სტოლზე დაიდვა. მე სირცხვილის ოფლი გადამსკდა. დაგვიწყო გაკვეთილების კითხვა. ამ დროს, ჩემდა საუბედურროთ, ინსპექტორი შემოვიდა. მაშინ კი ამიკანკალდა მუხლები. ეს ისე შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის გაროზგვას არა ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ოთხში ამოეღო. ერთხელ ერთსა და იმავე დროს ორი ბავშვი გაროზგა, ერთი მიტომ, რომ თმა წამოგზდიაო და მეორეც მიტომ, რომ მეტათ ძირში მიგიჭრიაო! ვიფიქრე: ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-მეთქი!.. მართლაც, მოჰკრა თვალი თუ არა, დაიღრიალა:—ამ მჭადს რა უნდა აქ, ვინ მოიტანაო!.. ერთი მოწაფე, რომელიც ხშირათ მექიშპებოდა ხოლმე, წამოხტა ზეზე და მოახსენა: წერეთელს ამოუღეს

ჯიბიდანაო.—რათ მოგიტანიაო?! მკითხა მრისხანეთ. მე ენა ჩამივარდა, მაგრამ მასწავლებელმა მოახსენა: ახლავ გაიგებთო და მკითხა: ეს რა არისო? მჭადი-მეთქი—ვუპასუხე კნავილით.

— რისგან კეთდება?

— სიმინდისაგან.

— როდის სთესენ სიმინდს? რა ნაირათ იზრდება? როგორ მუშაობენ? როდის აკეთებენ მჭადს და სხვანი-ესენი ყველაფერი გამომკითხა და მეც პასუხს ვაძლევდი.. რამდენიმე წუთს მკითხავდა და ბოლოს თქვა: კარგიო! ხვალ ნუ დაგავიწყდება ბრინჯის მოტანაო; ხვალ იმის შესახებ ვილაპარაკოთო. ინსპექტორმა იფიქრა: აქ სწორეთ მასწავლებლის სურვილით მოუტანიათ მჭადიო. და გავიდა კლასიდან ხმა ამოუღებლათ.. მასწავლებელმა მაბეზღარი მოწაფე გამოიხმო და ჰკითხა: შენ არა გაქვს რა ჯიბეშიო? გაუსინჯა და კოჭი უნახა.—ეს რა არისო? ეს ხომ სათამაშოა, რომელიც კლასებში სრულიად გამოუსადეგარია და შენ კი ჯიბეში გიძევსო!.. წერეთელმა მჭადი მიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ველარ მოასწრო და შენ-კი სათამაშოთ დაბრძანდები! კარგი, გაჩერდი მაგრე კლასის გამოსვლამდე! მე მაგ კოჭით წარგადგენ ისპექტორთანო. იმ მოწაფეს ფერი ეცვალა და ატირდა. კლასი რომ გათავდა, მიუბრუნდა მტირალს და უთხრა: კარგი, ახლა კი მიპატივებია, მაგრამ შემდეგ-კი ფრთხილათ იყავი: რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო.

ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი მხოლოთ ოთხ კლასამდი ასწავლიდა; უფროს კლასებში ნება აღარ ჰქონდა, რადგანაც უმაღლესი სასწავლებელი არ ჰქონდა გათავებული. თუ-კი რამ ვისწავლეთ რუსული, მის ხელში და მის შემდეგ იმ უფროს კლასებში,

მეოთხიდან დაწყებული, თუ რამ დაგვაკლდა, თვა-
რა არა შეგვიძენია რა. მეოთხე კლასი მეტათ ძნელი
კლასი იყო: სულ ახალ-ახალი საგნები და მასწავლებ-
ლები: ისტორია, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ბოტა-
ნიკა, ზოოლოგია, ლათინური, სჯულის კანონი, მეურ-
ნეობა, მინერალოგია და სხვა-და-სხვა—სულ ერთათ მო-
გვაყარეს! თავ-ტანის რომ აღარა გაგვეგებოდა, გავუსვით
ზეპიროობას ხელი, და როგორც იქნა, კიდე იოლათ გავ-
დიოდით, თუმცა სრულიადაც არა გვესმოდა რა იმ საგ-
ნების. სხვისი რა მოგახსენო და მე კი ასე ვიყავი, თუ-
მცა პირველ მოწაფეთაც კი ვირიცხებოდი და ოქროს
ფიცარზე ვეწერე. ამ მაღალ კლასში, ცოტა არ იყოს,
დავთარი შემეშალა. ერთი ვიღაც რუსული ენის მასწავ-
ლებელი დაგვინიშნეს, გვარათ საპეგა. იმისთანა ახირე-
ბული კაცი ძვირი იყო! სულ ჯავროობდა რაღაცაზე,
ცხვირი ჩამოუტიროდა და სხვაც რომ ვინმე დაენახა
მომცინარი, გადაირეოდა. მე-კი, ჩემდა საუბედუროთ, ისე-
თი მომცინარი სახე მქონდა, რომ ტირილის დროსაც
კი მეღიმებოდა! ამითვალწუნა ამ კაცმა და საშველი
აღარ მომცა. წინა სკამიდან სულ უკანასკნელზე გადა-
მსვა: თვალში ნუ მეჩხირებიო. ერთხელ რაღაც კაი გუ-
ნებაზე იყო, გამიყვანა და მკითხა გაკვეთილი. კარგათ
მივუგე. მომიწონა: ცოდნით კარგათ იციო, მაგრამ რა
მიზეზია, რომ სულ ილიმები? ნუ იცინი პირუტყვივითო! მე
მეგონა მცდის-მეთქი ტ ვუპასუხე: პირუტყვები არც ილი-
მიან ტ არც იცინიან-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, ისარ ნაკრავი-
ვით წამოხტა, მტაცა ხელი საყელოში ტ გამიძახა გარეთ.

უკანა სკამზე რომ ვიჯექი, მოწაფეები მოიბრუ
ნებდენ ხელს და ზურგს უკანიდან მომაბზეკდენ ხო-
ლმე თითს. წარმოიდგინეთ ორმოცი და ორმოც-და-

ათი თითი ჩემკენ მოშვერილი და მაშინ დამეთანხმებით, რომ სიცილი ძნელი მოსაკავებელი იყო. მეც უეცრათ გადვიხარხარებდი ხოლმე. მიზეზს ვერ ვამხელდი და ის კი მიატოვებდა გაკვეთილებს და დაიწყებდა ხოლმე ერთ ამბავს. მოწაფეებსაც ის უნდოდათ. ბოლოს ამიკრძალა მის კლასში შესვლა და რჩევაში ითხოვა: ან მე აღარ ვიქნები, ან ის მოწაფე გააგდეთო. მის გარდა ყველა მასწავლებლებს ვუყვარდი, პირველ მოწაფეთაც მთვლიდენ და არ დაეთანხმენ. მიმიხმეს და მკითხეს: რა მიზეზია, რომ ასე გაგიჯავრებია ეს მასწავლებელიო? მე ტირილი დავიწყე: ჩემი სიცილის ბრალია-მეთქი და იქვე სიტყვის გათავებამდე გავიღიმე. დირექტორი წამოდგა ზეზე და წავიდა საპეგას კლასში, რომ სხვებისთვისაც გამოეკითხა და შეეტყო ნამდვილი მიზეზი. ჩემდა ბედათ მისთანა გარემოებას შეესწრო, რომ ხელი მომიმართა. ერთი მოწაფე იყო ჩვენს კლასში კ... ლ... სამაგალითო რამ, აჩქარება არ უყვარდა. საპეგა კი, როცა გაკვეთილს ჰკითხავდა ვისმე, ამბობდა: ნუ ფიქრობ, ისე მითხარიო. ის გაუყვანია დაფაზე, რაღაც დაუწერინებია და ახსნას უცდის. კ... ლ... ფიქრობს, რომ კარგათ მიუგოს. სულ-წასული პედაგოგი მიეპარა უკანიდან, ჰკრა თავში ხელი და ცხვირ-პირი დაფაზე მიახლევინა: რას უცდიო? შეშინებულსა და გაბრუებულ მოწაფეს ცხვირში სისხლი წასკდა და სწორეთ ამ დროს შეესწრო დირექტორიც. საპეგა მეორე დღეს თვალით აღარ გვინახავს, მის მაგიერ მეორე დაგვინიშნეს—პანიზოვსკი, მაგრამ ბევრით უკეთესი ველარც ის იყო. უკეთესი კი არა, ხმაწ არ იღებდა, სულ წითლდებოდა. კომანსკის რიტორებას მოიტანდა ხოლმე და ისე უხმოთ, თითით გვაჩვენებდა: აქედან აქამდის გაიზეპირეთო და ჩვენც

ვასრულებდით მის ნებას. იმას „ქალ-ბიჭას“ ვეძახოდით, დავცინოდით, მაგრამ ის თვალს გვარიდებდა. არაფერი გარეშე წიგნი არ იყო, რომ წაგვეკითხა; და რომ კიდეც გვეშოვა სადმე, წაკითხვის ნებას არ მოგვცემდენ. რაც კარგი რამეა—რიტორებაშია დაბეჭდილი, ის გეყოფათო. ერთხელ ერთმა თამამმა მოწაფემ ჰკითხა:—რაც აქ არ არის მოყვანილი ამ წიგნში, პუშკინს არა დაუწერია რაო?—ეგ რა შენი საქმეაო?— მიუგო მასწავლებელმა. ყმაწვილი არ მოეშვა და კიდევ ჰკითხა:—პუშკინი უკეთესი მწერალია, თუ გერცენია? წამოვარდა ზეზე შეშინებული, დაიცვა თითები ყურებში და გაბა ყვირილი: აქ არ ვყოფილვარ, არ გამიგონია რა, არცა გითქვამს რაო... და ამგვარათ გავიდა კარში.

არა ნაკლებ ახირებული იყო ლათინური ენის მასწავლებელი—ძალიან კარგი, მშვიდობიანი და ბეჯითი მასწავლებელი. ბუზის ეშინოდა ტ მახარობელას რომ ბზუილი დაეწყო, იმას გული უწუხდა. ეს რომ იცოდენ მოწაფეებმა, თუ რომელიმე მათგანმა გაკვეთილი არ იცოდა, მოიყვანდა უცბათ მახარობელას ტ ჩუმათ გაუშვებდა კლასში; მასწავლებელი დაფრთხებოდა, მოსწავლეები წამოვარდებოდენ ზეზე, ზოგი სტოლზე შეხტებოდა, ზოგი ამ ბუზს დაუწყებდა ვითომდა კლასიდან გამოდენას, ხან ერთ კუთხეში მიაგდებდენ, ხან მეორეში და ამასობაში კლასიც თავდებოდა. ცხადია, რომ ამგვარ პირობებში ჩაყენებული მოზარდი თაობა ვერას გამოიტანდა ბევრს გიმნაზიიდან, რომ ამ საზარელ ბნელში ერთი ნათელიც არ გამოგვჩენოდა. ის იყო პოლონელი როდზიევიჩი, რომელიც ჯერ პროფესორათ ყოფილიყო, მაგრამ ლოთობის გულისათვის დაეთხოვათ და სტავროპოლში ეშოვნა ინსპექტორობა. მერე იქიდანაც გაეგდოთ და ჩვენში გადმოიყვანეს მათ-

მათიკის მასწავლებლათ. ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს, არც ალგებრას არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას; ჩვენს ნებაზე მიაგდო მათი სწავლა ⸗ ჩვენ, როცა გაგვიძნელდებოდა გაგება რამესი, მაშინ დავეკითხებოდით და შვენიერადაც აგვიხსნიდა ხოლმე. საკვირველია, რომ მისი საგანი ყველაზე უკეთ ვიცოდით. იმან, რაღაი შეგვატყო, რომ გონება დახშული და განუვითარებელი არიანო, სულ სხვა რამეებზე გვესაუბრებოდა და ცდილობდა ჩვენს გამოფხიზლებას. იმ ხანებში გამოაცხადეს, რომ ვისაც უნდა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, იმან ლათინური უნდა ისწავლოს და ვისაც მხოლოთ გიმნაზიის გათავება უნდა იმან სჯულის კანონი შეისწავლოს და თუ პირველ შეგირდათ გამოვა, ჩინსაც მიიღებსო. ჩინს მაშინ დიდი მომხიბლავი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ყველა ჩემმა ამხანაგებმა, თუმცა ზოგი მათგანი ვერც კი წავიდოდა რუსეთში სიღარიბის გამო, ლათინური ირჩიეს. ერთმა მათგანმა მხოლოთ და მეორემ მეც სჯულის კანონის შესწავლა მოვინდომეთ, ჩინის სურვილით წარტაცებულებმა. იმ ხანებში რუსული ენის მასწავლებელმა გვიბრძანა: აიღეთ, რაც გინდათ და თქვენდა თავათ თხზულება დაწერეთ, მაგრამ დიალოგებათ კიო. მე ავიღე და დავწერე ერთი ახირებული რამ. მასწავლებელმა რომ წაიკითხა, ინსპექტორს გადასცა და მას საპედაგოგიო რჩევაში წარედგინა და ეთქვა: ამის დამწერი თუ ახლავე არ აილაგმა, არ ივარგებსო! რჩევაზე როდზიევიჩს გამოედვა თავს: მაგის დამწერი კარგი ვინმე გამოვა და გაწყრომა კი არა, მოფერება ეჭირებაო. მე ვთხოოულობ, რომ იმას ძალა დაატანოთ — ლათინური შეისწავლოს და მა-

ღალ სასწავლებელში სადმე შევიდესო. გაიტაცა, გადაიყოლია ზოგიერთები სხვებიც და დირექტორმაც ბანი მისცა. შემიხმეს მეც.—ეს შენი დაწერილიაო, მკითხა დირექტორმა?

— დიახ, ვუპასუხე ცოტა შემკრთალმა.

— მერე როგორ გაბედე, რომ მთავრობის მოსამსახურე პირებს ასე ცუდათ იხსენიებ?

— ის გადამდგარი ჩინონიკია.

— სულ ერთია, უპატიურათ შეხება მაინც არ შეიძლება. ის დამსახურებული იქნებოდა და პენსიაც ექნებოდა, დაუმატა მრისხანეთ ინსპექტორმა. წაიღე და გადაასწორე სხვანაირათ!..

— თუ მხოლოთ ეგ არის წუნი, ეგ ადვილია: წავშლი სიტყვას „გადამდგარი“ ⁄ დავაწერ „გამოგდებულს“. გამოგდებული, თუ კარგი ყოფილიყო, ისევ სამსახურში იქნებოდა. დირექტორმა გაიცინა და გამიშვა. იმ დღიდან მეც ლათინურზე გადავედი. ამის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარა როდზიევიჩმა და განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდა. საკვირველი იყო მისი საქმე, ისე გაჟენთილი ჰქონდა გვამი არაყით, რომ ხან-და-ხან, რომ კიდეც არ დაელია, ისე თავის თავათ მოუვლიდა სიმთვრალე. ერთხელ მოუარა გაკვეთილების დროს და მოწაფეს, რომელიც დაფასთან იდგა და გეომეტრულ ფიგურებსა ხატავდა, მიაყვირა:—აბა, ჩამოუარე ლეკურიო! და ტაშის კვრა დაიწყო. გაშეშდა მოწაფე. ჩვენც შევწუხდით, მაგრამ იმან მაინც თავისი არ დაიშალა:—როგორ თუ შენ ნაციონალური ცეკვა გეზიზღებაო?! არ იცი, რომ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვაში მისი გული და სული იხატება? აი, ლეკურიც ხომ ქართულია, ცოცხალი რამ არისო. დაუკრა ვითომ თვითონ ლეკური,

მერე ბადავიდა მაზურკაზე: აი ესეც ჩვენი გამოგონილი თამაშა და შეუპოვარი მაზურკაო და ახლა ესეც ნახეთ, რასა ხატავსო და დაუარა ტრიპაკა, უწმაწური გინებით შეკაზმული. ბოლოს შეჩერდა, დაავლო ქუდს ხელი და გავარდა კარში. ჩვენ ღმერთს მადლი შევწირეთ, რომ არც დირექტორი, არც ინსპექტორი და არც სხვა ვინმე არ შემოგვსწრებია. ისე შეგვებრალა, რომ არ ვიცოდით, გვეცინა თუ გვეტირა! მესამე დღეს ძალიან დარცხვენილი შემოვიდა. დიდ ხანს ხმას არ იღებდა და ბოლოს დაიწყო: — ყმაწვილებო! ძველ დროში საფრანგეთში ბ საბერძნეთში განგებ დაათრობდენ ხოლმე მონებს და მათ უსაქციელობას თავის შვილებს აყურებინებდენ, რომ მათთვის თვალ-და-თვალ დაენახვებიათ, რომ რა საძაგლობაა — კაცი რომ დათვრება, გონებას დაჰკარგავს და პირუტყვს დაემსგავსება. გუშინ წინ მე დაგანახვეთ თქვენ ამ გვარი რამ. ეცადეთ, რომ გაუმაგრდეთ ცხოვრებას, აიტანოთ გასაჭირი და ჩემსავით არ გაგაფუჭოს. რა ვარ ახლა მე? განა არ ვგრძნობ, რომ ფიზიკურათ დამახინჯებული ვარ, მაგრამ მაინც, მადლობა ღმერთს, ამ ფიზიკურმა დამახინჯებამ სული და გული წმინდათ, შეუბღალავათ შემინახა. კლასის გამოსვლამდი სულ ამ ნაირათ გვემუსაიფა და მოგვშორდა. ჩვენ თითქმის ყველა ვტიროდით და იმ დღიდან კიდევ უფრო გვებრალებოდა. ერთხელ კიდევ, უკანასკნელ კლასში რომ გადავედით, მე ფრანცუზულის მასწავლებლის მუსიე ტურესის სახლში ვიდექი. ამ მუსიე ტურესს ყმაწვილები მოსე ტურს ეძახდენ. ერთხელ საღამოს სტუმრათ შემოჰყვა როდზიევიჩი; დაჯდენ ორი მარტო და ჩაის დაუწყეს სმა. სტუმარმა რომი მოითხოვა, თვითონაც დაისხა და მასპინძელსაც დაუსხა. შეყვენ ნელ-ნელა მუსაიფს. შეზარხოშებულმა

ფრანცუზმა დიდი რევოლუცია მოიგონა და აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი. სტუმარმა პოლონეთი გაიხსენა და მოხსნეს თავი სიფრთხილეს, მით უფრო, რომ იქ იმ ორისა და ჩემს მეტი არავინ იყო. მე ჩემთვის კუთხეში ვიჯექ, ასე რომ, მგონი, ვერც კი შემნიშნეს. იმათმა აბდაუბდა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენათ გადავიქეცი. ბოლოს თქვა ამოოხვრით როდზიევიჩმა: — ახლა რაღა დროს ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის სამსახური გამეწია!.. რომ ჩამეწვეთა ყურში, ჩემი თავი ველარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა. ვამბობდი: რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური? უნდა ოდესმე სარდალი გავმხდარიყავი! რაც ადრე შევუდგები საქმეს, ის აჯობებს და ამ ერთ წელიწადს მაინც ხომ, უკანასკნელს კლასში, ახალს არას გვასწავლიან, ძველებს გვამეორებინებენ და გამოვალ, არსად არ წავალ-მეთქი. გადავწყვიტე და გამოვუცხადე მამა ჩემს ჩემი სურვილი. მამას ძალიან იამა: — შენი ნებაა, შვილო! მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდეო. მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე და დილიდან საღამომდე როდზიევიჩს აღარ ვშორდებოდი. ოთხი თვე დავრჩი, მაგრამ ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის, ვიდრე რვა წელიწადი გიმნაზიაში ყოფობის დროს. დამდეგ მაისს გამოვეთხოვე დედ-მამას, იმერეთს და დავადექი გზას. სრულიად გამოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის არ მცოდნეს და სრუ-

ლიად არაფრის მნახველს უნდა ზღვა გამეევლო, ხმელეთი გადამელახა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტერბურგში, სადაც ჩემი ძმა მეგულებოდა კანვოიში მოსამსახურეთ.

საბა ორბელიანის იგავ-არაკებში შიგა-და-შიგ ისეთი ამბვებიც ურევია, რომლებიც ევროპის შორეული ქვეყნების ზეპირ სიტყვიობაშიაც კი არის. ზოგი იმ აზრის არის ჩვენში, რომ ის არაკები საბამ ევროპაში მოგზაურობის დროს მოაგროვა და რომ დაბრუნდა, გადმოაქართულაო. შემცდარი აზრია. ჯერ ერთი ის, რომ მოგზაურობის დროს და მერე კიდევ იმ საუკუნეში ასე ხელათ, გაკვრით ამ გვარი რამეების შეგროვება, მოუხერხებელია; და მეორე კიდევ ის, რომ მისი „სიბრძნე-სიცრუე“ საბამ ყმაწვილობაშივე შეაგროვა და ევროპაში კი სიბერის დროს მოგზაურობდა. ის კი მართალია, რომ, ზოგიერთი არაკი ლაფონტენისა და საბასი თავიდან ბოლომდე ერთი და იგივეა, მაგალითად: საბას „კუ და მორიელი“ და ლაფონტენის „ბაყაყი და მორიელი“ სიტყვა სიტყვით ერთი მეორისაგან გადაღებულიაო—იტყვის კაცი. ვთქვათ, რომ ორივემ ეზოპოსის სათავეს მიმართეს, მაგრამ მაშინ ასე ერთ ნაირი კაზმულობა სიტყვა-აზრისა და მჭევრ-ნაკვესობისა, ერთი და იგივე შერითმება გასაოცარი იქნებოდა. აქ მხოლოთ ის შეიძლება იგულისხმოს კაცმა, რომ საბა ორბელიანი დიდ ხანს იყო კეთილათ მიღებული ლუი XIV კარზე, სადაც დიდებული ლაფონტენიც კარის კაცათ ითვლებოდა და ადვილათ შესაძლებელია, რომ იმ დროს შესანიშნავ

პირებს თავ-თავისი ბევრი რამ ერთმანეთისათვის გაეზიარებიოსთ. თუმცა ამაზე არცარა ლაფუნტენს დაუტოვებია და არც ორბელიანს ჩვენთვის გადმოუცია, მაგრამ ქკუასთან-კი ახლოს არის. ასეა თუ ისე, ეს კერძოა და საზოგადოთ-კი საბას მისი იგავ-არაკები ჩვენს ქვეყანაშივე, საერო ზეპირ სიტყვაობისაგან აუღია. „სიბრძნე-სიცრუე“ ისე იყო გავრცელებული, რომ შეიძლება, პირ-იქით, ხალხში გავრცელდა და მისვე გემოზე გადაკეთდაო—ეგებ თქვას ვინმემ, მაგრამ ის მინუშები ზეპირ-სიტყვაობისა, რომელიც დღეს ჩვენ ხელშია, სულ სხვას ამტკიცებენ და ვინც-კი დაუკვირდება, ადვილათ გაარჩევს, თუ რომელი რომლისაგან წარმომდგარა. ჯერ თუმცა, ვინ იცის, რაც არის, მისი ფიორიც არ გვაქვს შეგროვილი, მაგრამ რაცა გვაქვს, იქიდანაც ჩანს ქართული ზეპირ-სიტყვაობის სიმდიდრე ‌ და საისტორიო-მსოფლიო მნიშვნელობა. სხვა და სხვა ძველი დროის სამეფოების ზღაპრებსა ‌ და იგავ-არაკებს გადმოუვლია ჩვენში სპარსეთიდან და საერო ფესვი გაუდგამს.

არა. თუ ბერძნების, რომაელების, არაბების, ინდოელების, სპარსელების, ებრაელების (ბიბლია) ‌ სხვანი — არამედ ნაკლებ მნიშვნელობიან ძველ სახელმწიფოების სალხურ ნაწარმოების ნაშთებსაც-კი შეხვდებით ჩვენებურ ზეპირ-გადმონაცემებში. ამ ხუთი წლის წინეთ შემთხვევით ერთი პატარა რუსული წიგნაკი ჩამივარდა ხელში: „რამდენიმე მინუში არაბელების ხალხური პოეზიისა“. რომ გადავიკითხე, გავკვირდი: ჩვენი ქართული ზღაპრების თარგმანი იყო. განსაკუთრებით ერთი იმათგანი: „ჭაკი ცხენი და ორსული დედაკაცი‘‘ — სიტყვა სიტყვით იყო გადაკეთებული და ქართულ გემოზე შეკაზმული. უფრო ახირებული კიდევ ის არის, რომ ჩვენ ‌ ზეპირ-სიტყვაო-

ბაშივე შეხვდებით ზოგჯერ უცხო ქვეყნის ხელოვნურ ნაწარმოებსაც, მაშინ როდესაც ჩვენს ლიტერატურაში კი არა არის რა იმ გვარი. მაგალითად, ახალ-ქალაქის მაზრიდან შემოვიდა ერთი ზღაპარი „გულკეთილი ტენტერა"; და ეს ზღაპარი თავიდან ბოლომდე გადაკეთებულია ბოკაჩიოს ერთ ნოველათაგან, რომელსაც სახელათ ეს ჰქვია: „ალადინნა იზაბელლა ტ მისი საყვარლები ლიონეტტო და ლამბერუჩიო და ბოლოს ქმარიც იზაბელლასი". ამ ამბავს აქვე ქვემოთ დავბეჭდავთ, მაგრამ ჯერ ვიტყვით, რომ ეს ბოკაჩიოს ნოველები ფრანგის პატრების გადმოტანილი უნდა იყოს ჩვენში ტ გავრცელებული,—სხვებ ვერ აიხსნება. ამ ოცდახუთი წლის წინეთ ხიზაბავრაში მოვდიოდი და გზაში უცბათ რაღაც უცნაური სიმღერა მომესმა: მინდორში მწყემსები იმღეროდენ. მეუცხოვა და შევაჩერე ცხენი, დავუგდე ყური და რა გამოდგა? ფრანცუზებს ერთი ხალხური სიმღერა აქვთ, თუ როგორ წავიდა ჯვაროსნობის დროს რაინდი მალბრუგი სარკინოზების გასაჟლეტათ ტ რა გადახდა. ეს სიმღერა დღესაც ხშირათ გაიგონება საფრანგეთში, განსაკუთრებით გამდლები უმღერიან ყმაწვილებს. და სწორეთ ამ ლექსს იმღეროდენ ხიზაბავრელი მწყემსებიც. კილოც დაეცვათ და სიტვებიც. მხოლოთ „მალბრუგის" ნაცვლათ „ყაფლანს" ამბობდენ და ლექსი იწყებოდა: „ყაფლან მიდის ჯარშია" და სხ. ხიზაბავრაში გაფრანგებული ქართველები ცხოვრობენ და რასაკვირველია პატრებისაგან ექნებოდათ მათ ძველებს ნასწავლი ეს ლექსი ტ ჩარჩენილა. ესევე უნდა ვიფიქროთ ბოკაჩიოს ნაველლების შესახებაც.

წვრილ-წვრილი ამბავები.

მოტეუებული ტერტერა.

ერთ ტერტერას მზეთ-უნახავი ცოლი ჰყავდა. გამ-ვლელ-გამომვლელებს თვალი მასზე რჩებოდათ ჯ მრევ-ლიც ქმარზე უფრო ცოლს შეჰყურებდა. დიდ ხანს ვერა-ვინ მოიგო მისი გული. ბოლოს მაინც ველარ გაუმაგ-რდა მაცდურს და შეიყვარა მეზობელი, მაგრამ ისე მო-ხერხებულათ კი, რომ ეჭვი ვერავის შეჰქონდა. ერთხე-ლვე რომ კარი გაიღება, აქ ერთთან მეორეც შევა. ტე-რტერას ცოლმა, რაღაი-კი ერთხელვე სიყვარულს გული გაუღო, დაკეტა ველარ მოხერხდა და მალე სხვაც შეუ-ყვარდა. უნდოდა პირველი მეორეში გაეცვალა, მაგრამ გარემოება ხელს უშლიდა. ერთხელ ტერტერა მირო-ნის მოსატანათ გაემგზავრა. ცოლმა იმ საღამოსვე შეა-ტყობინა სატრფოს და დაიბარა. ძველ საყვარელსაც თა-ვის თავათ გაეგო ტერტერას წასვლა და ჩვეულებისამებრ დაადგა ერთხელვე გატკეპნილ გზას და მიადგა ტერტე-რას სახლის კარებს სწორეთ იმ დროს, როცა მისი სა-ყვარელი სხვისი ალერსით იყო გატაცებული. შეშინდა ქალი და უთხრა ახალს: არაფერია, იმას მე მალე გავი-სტუმრებ და შენ მანამდი ამ ტახტ-ქვეშ შეძვერი და და-იმალეო! ახალი დამალა, თავი შეიხვია, გააღო კარი და შამოიყვანა ძველი, მაგრამ მის საალერსოთ კი ველარ

მოიცალა და მიზეზათ შაკიკი მოიგონა. ამ დროს ეზოში ცხენმა დაიჭიხვინა. „ვაი, დავილუპეთო“, წამოიძახა ქალმა — ეს ჩვენი ცხენის ჭიხვინია, ჩანს, ჩემი ქმარი დაბრუნებულა და რაღა ვქნათ, სად წავიდეთო?!.. ამის მეტი აღარა დაგვრჩენია რა — უთხრა საყვარელს: მე კივილს დავიწყებ, შენ ამოიღე ხმალი, ვითომ ძალიან გაანჩხლებული ხარ, მიიქნიე-მოიქნიე, იყვირე, იყვირე გიჟივით: არა! უნდა მოგკლა! ვერ დაიმალები! სადა ხარ! გამოეთხოვე სიცოცხლეს! და სხვანი, ქალმა კივილი მორთო, კაცი აღრიალდა და ამოღებული ხმლის ქნევით და მუქარით გავარდა კარში. წინ ტერტერა შეხვდა, დამფთხალი რომ არბოდა კიბეზე და ჰკითხა: კაცო, რა ამბავია? რა ყვირილია? რა დაგემართაო? მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ის გიჟივით გაშორდა და ღრიალებდა: მიჩვენეთ, სად არის? სად დაიმალე, უნდა მოგკლაო! შეშინებული ტერტერა შევიდა შინ და იქვე ცოლი დახვდა თმა-გაშლილი, ტან-გახდილი და გაფითრებული. უჰ, გენაცვალოს შენი ცოლი, რა კარგ დროზე მოხვედიო!.. სწორეთ სასწაულმა მოგიყვანაო! აუხსნა და მოჰყვა: შენ რომ შინ აღარ მეგულებოდი, ადრე გავშალე ლოგინი და ჩავწექი ქვეშაგებში, მაგრამ — შენზე ფიქრით ტ ჯავრით დარეტიანებულს — კარები დაუკეტელი დამრჩენოდა. უცბათ რაღაც ხმაურობა მოგესმა გარედან, სანამდი წამოვდგებოდი, უცბათ შემოვარდა სახლში ვიღაც უცხო კაცი, შეშინებული, და დაიწყო ხვეწნა: დამმალე, მიშველე, მოკვლას მიპირობენო! მე სანამდი გამოვერკვეოდი, ჩვენი მეზობელიც შემოვარდა ხმალ-ამოღებული ტ დაუწყო იმ საწყალს ძებნა. იქით ეცა გიჟივით, აქეთ ეცა! მიანგრია, მოანგრია... ქვეშაგები ამიშალა: აქ უნდა იყოს სადღაც დამალულიო

და რომ ველარ ნახა, გავარდა ისევ კარში. სწორეთ ფარსაგი არა დამართნია რაო! დაამატა ქალმა. ტერტერას გაუკვირდა და თქვა: რაღაც ერთი დიდი ამბავი უნდა იყოსო... და ის უცხო კაცი მაინც სადღა არისო? —რა ვიცი, უთხრა ცოლმა, ტახტ ქვეშ თუ შეძვრაო. დაუძახა ტერტერამ—სადა ხარო? და მართლაც პასუხი იქედან მიიღო. ნუ გეშინია, უთხრა ტერტერამ, გამოაძვრინა შეშინებული და გამოჰკითხა: რა დაგემართაო? —რა ვიციო, უპასუხა უცხო კაცმა: გზათ მოვდიოდი აქეთკენ, უეცრათ გამომივარდა ვიღაც ხმალ-ამოღებული კაცი, მეგონა გიჟი იყო, სიკვდილი მომინდომა, გავექეცი; ის გამომეკიდა და რომ აღარ მომცა საშველი, აქ შემოვედი და თქვენი მოწყალებით რომ არ გადავრჩენილიყავ, ჩემი აღსასრულის დღე მოსული იყოო. —შენს ბედს უმადლოდე, შვილო, უთხრა ტერტერამ, რომ მეც დღეს გზაში კურდელი დამიხვდა და გზა გადამიჭრა, თვარა აღარც მე დავბრუნდებოდი სახლში და ველარც შენ გადარჩებოდიო. უცხო კაცმა მადლი მოახსენა და წასვლა მოინდომა, მაგრამ ცოლმა არა ჰქნა: —რას ამბობ, ეგებ ის კაცი სადმე გარეთ მიმალულია და გიცდის, რომ გაგათაოსო! მერე მოუბრუნდა ქმარს და უთხრა: წადი, გენაცვალე, ეზოში მიიარ-მოიარე, დაათვალიერე, ის ჩვენი მეზობელი არსად იყოს და რომ დარწმუნდები, მერე შემობრუნდი და შენვე გააცილე ეს უბედური სამშვიდობომდეო. ტერტერას ძალიან დაუჯდა ცოლის ჭკუა, გავიდა გარეთ და დაუწყო თვალიერება. რომ შემობრუნდა კარგა ხნის შემდეგ, ესენი აქ ორივე დამშვიდებული დაუხვდენ და იმანაც იკისრა უცხო კაცის გაცილება.

მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ა

ერთ კაცს კარგი ცოლი ჰყავდა, მაგრამ ნამეტანი ჭკვიანობით თავი მოაბეზრა: თვალიდან არ იშორებდა, არც სადმე გაუშვებდა, არც ვისმე სახლში შემოუყვანდა, გარდა ერთად ერთი მისი საკუთარი მეგობრისა, რომელიც შინაურ კაცათ ითვლებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა დედაკაცმა მოინდომა ამ მეგობრის შეცდენა; შეუჩდა, მაგრამ ოჯახის მეგობარი ძალიან შორს იჭერდა თავს. ქალი მაინც არ ეშვებოდა, დღეს-ხვალიობით ნელ-ნელა იმდენზე მიიყვანა, რომ სიყვარული გულში ჩაუგდო. მაგრამ რა გამოვიდოდა, რომ მარტო, ქმრის დაუსწრებლათ, მისი ნახვაც არ შეეძლო. ერთხელ სადილათ რომ იჯდენ, ყველი მოინდომეს; ქალმა უთხრა სტუმარს: მე დაღალული ვარ, ჩემი ქმარი მოხუცებულია, შენ უფრო ყმაწვილი ხარ, ძამიაშვილობას, ადი მაღლა სხვენზე, გიდლით ყველია ჩამოკიდებული, ერთი წველა ამოიღე და მოგვიტანეო. წავიდა მეგობარი. შუა გზაზე რომ მივიდა, შეჩერდა, გადმოიხედა მაღლიდან და გადმოიძახა: მაგისათვის გამომგზავნეთო? ერთმანეთს რომ ეხუტებით და კოცნით, რა სულ წასულობაა, მერე ვეღარ მოასწრებდითო? ჩამობრუნდა გულმოსული და მოუჯდა გვერდით. ცოლ-ქმარმა ერთმანეთს დაუწყეს ყურება. გაუკვირდათ: ხომ არ გაგიჟდაო? ადგა ცოლი და თვითონ წავიდა ყველის ჩამოსატანათ. შუა გზამდინ რომ მივიდა, შეჩერდა ისიც და გულმოსულმა გადმოიძახა: რას შვრებით, თქვე ღვთის პირისაგან წყეულებოვო!.. ვის გაუგონია, კაცი კაცს რომ ეხუტებოდაო?!.. დაბრუნდ აგულ მოსული ჭ დაჯდა. — რა ღმერთი გიწყრებათო, თქვა ქმარმა, რის კოცნა, რის ხვევნა, ხომ არ

გადარეულხართო! ადგა და წავიდა ყველის ჩამოსატანათ. შუა ადგილამდი რომ მივიდა, შეჩერდა, გადმოიხედა და დაინახა, რომ ქალი და კაცი ერთმანეთს ეხვევიან და ჰკოცნიან. გაუკვირდა ძალიან, გადიწერა პირჯვარი და თქვა: დიდება შენს სახელს, ღმერთო! ახლა კი მივხვდი, რაც ამბავიაო!.. ეს ადგილი ისეთი შეჩვენებული ყოფილა, რომ ვინც აქედან გადაიხედავს, ყველას მოეჩვენება, რომ ქვეით დარჩენილები ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიანო... მოჩვენებას რომ იტყვიან, სწორეთ ეს ყოფილაო!.. გაიცინა, გადაიქნია ხელი, ფუ, ეშმაკსო! თქვა და წავიდა ყველის მოსატანათ, აღარ დაბრუნებულა. რომ ჩამოვიდა, ნახა, რომ ქალი და კაცი თავ-თავის ადგილზე იჯდენ, ისე, როგორც დატოვა. ქალს უთხრა: —დიდი ხნის გაუნათლავია ბ დავუძახოთ მღვდელს, რომ სახლი გვიკურთხოს, თვარა მოჩვენებას ვერავინ წაუვა. როგორო? ჰკითხეს.—სწორეთ იმ ადგილას, საიდანაც თქვენ მოგეჩვენათ, მეც იქიდან დავინახე, რომ თქვენ ერთმანეთს ეხვეოდით და ჰკოცნიდითო, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ეს მოჩვენება იყო და აღარ დავბრუნდიო.

ცერცვი თუ ცეცხლი?

ერთი მღვდელი თავზე წაესწრო ცოლს, კუროს რომ ეტრფიალებოდა, დაავლო კეტს ხელი და შეუტია. კუროს სარკმელში გავარდა, მღვდელი გამოუდგა და მორთო ყვირილი: დაიჭირეთ, ნუ გაუშვებთ მაგ ქურდსო, მაგ ავაზაკსო! მოგროვდა ხალხი და შეაკავეს გაქცეული, რომელმაც, ბაღში რომ გარბოდა, იმ დროს რამოდენიმე ცერცვი მოგლიჯა და მუჭებში ეჭირა. ხალხმა ჰკითხა: —რა ამბავიაო?—როგორ რა ამბავიაო!.. ხუცის ბაღში

ეს ერთი მუჭა ცერცვი მოვგლიჯე და ამისთვის მომდევს მოსაკლავათ აღარ მზოგავსო და მიშველეთო. ხალხს გაუკვირდა, ის გაუშვა, გადაეღობა წინ ღვდელს და დაუწყო საყვედური: მღვდელო, როგორ გეკადრება უბრალო რამეზე მოთმინების დაკარგვა? ერთი მუჭა ცერცვისთვის კაცი ვის მოუკლავს, რომ შენ მოგაკვლევიოთო!.. მღვდელი ოჯახის გაკიცხვას მოერიდა, რაც იყო, ველარ გაამხილა, წაიშინა თავში ხელი და აღრიალდა: შვილებო, ვინც არ იცის—ცერცვია, მაგრამ ვინც იცის—ცეცხლიაო!.. მეტი რაღა მეთქმისო—თქვა და გამობრუნდა სახლისკენ.

წმიდა გიოტრგის რაზმი.

ამ ნომრის ძველ (მეორე) განყოფილებაში იბეჭდება იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ამბავი, მისი თანამედროვე მგალობელი კანდელაკის გადმონაცემი. რომ უკეთ ავწონ-დავწონოთ და გავითვალისწინოთ იმ დიდი სოლომონის მეფობის ხასიათი, საჭიროა მისი წინასწარი დროება ვიცოდეთ და ამისათვის ჩვენ მივმართავთ, როგორც წერილობით, ისე ზეპირ-გადმონაცემ ამბვებსაც.

სოლომონ დიდის მამა მეფე ალექსანდრე, მხოლოთ სახელათ იყო მეფე, თვარა თვით სამეფო-კი სხვისი სახრავი იყო. ციხე-სიმაგრეები თურქებს ეჭირათ ხელში, ჯარი ჰყავდათ ჩაყენებული ყველგან და ქვეყნის ბედსა და უბედობას განაგებდენ. მეფე მათი სურვილების აღმასრულებელი, ყურმოჭრილი ყმა იყო. მთავარმართებელი, ფაშა იზმაილი ქუთაისის ციხეში იჯდა და იქიდან განაგებდა. თურქები ყოველთვის იმასა ცდილობდენ, რომ იმერლებისთვის რჯული და ეროვნული

ელფერი ენასთან ერთად დაეკარგვინებინათ და გაემაჰ-
მადიანებიათ; მაგრამ მათმა მეცადინეობამ სულ წინააღმ-
დეგი ნაყოფი მოიტანა: რაც უფრო მეტს ტანჯავდენ
და დევნიდენ ქრისტიანებს, ისინი უფრო დღითი დღე
თავსა სდებდენ ეროვნობისა და ქრისტიანობისათვის და
ზიზღით ევსებოდათ გული მტრისადმი. ეს დაინახა
ქკვიანმა იზმაილმა და გამოცვალა პოლიტიკა: თვითონ
პირდაპირ აღარ ერეოდა ვითომ სამეფო საქმეებში და
მხოლოთ მარტო ხარკს იღებდა, მაგრამ ქვეშ-ქვეშურათ
კი ფარისევლური მოქმედებით უარეს დღეს აყენებდა. და-
უწყო ლალიაობა დიდ-კაცობას, რომ გადაებირებია თა-
ვისკენ გვარისშვილები და იმავე დროს სამღვდელოება-
საც გადაუსვა ხელი თავზე. ერთი შეხედვით კაცს ეგო-
ნებოდა, რომ ამ მადლიანმა ადამიანმა მტრობა მოყვ-
რობათ შეცვალაო; და სათვალდათვალოთ სწორეთ მართ-
ლაც ასე იყო. გუნებაში-კი ასე ფიქრობდა: არაფერია,
თვალს აუხვევ, მოვატყუებ და ძოხიბლული ხალხი მა-
ლე გაირყვნება, რჯულსაც დაჰკარგავს და ზნე-ჩვეულე-
ბასაც და მაშინ ადვილი მოსაქნელი იქნებაო. სიფრთხი-
ლით შეუდგა საქმეს. ვისაც კი შეატყობდა, რომ ძნე-
ლი გადასაბირებელი იყო და თავისას არ გასწირავდა,
უდგებოდა კვალში, უკრეფდა მიზეზს, დიდ ხანს არ
ახარებდა. მაგიერათ თავისი მომხრეები აჰყავდა უდი-
დეს ხარისხზე და ხალხზე მათ გავლენას ძალას აძლევ-
და. მოხუცებული ქუთათელი მიტროპოლიტი, ყოვლად
ღირსი ქვეყნის მოძღვარი, გადააყენებია ალექსანდრე
მეფეს და მის ნაცვლათ ახალგაზდა ჩხეიძე აიყვანეს ქუ-
თათელის ხარისხზე. ეს ჩხეიძე მართლა დიდი გვარის
შვილი იყო, მაგრამ, როგორც კაცი, შეჩვენებული და
სახელ-გატეხილი იყო. სხვათა შორის ტყვის გამყიდვე-

ლიც კი იყო. ულირსათ და უსამართლოთ გადიდკაცებულმა ჩხეიძემ, რასაკვირველია, იზმაილის სურვილზე დაიწყო მოქმედება და სამღვდელოება არივ-დარია: ღირსეულებს ჩაგრავდა და ულირსებს, მაგრამ მის მოდასტურეებს კი, აწინაურებდა... ათი-თუთხმეტი წლის განმავლობაში შეიბღალა სამღვდელოება: კუჭის მიმდევრობამ თავი იჩინა. ყველაზე უფრო დაწინაურდა ოკრიბელი მღვდელი ელიაშვილი. ის გახდა მარჯვენა ხელი ჩხეიძისა და მთავრობის მიდგომითა და ყოველ-დღიური მაბეზღრობით გაძლიერდა: კარის დეკანოზობა მიიღო. ქვეყანას ძულდა, მაგრამ შიშით როგორ გაამხელდა და ან ვინ რას გაუბედავდა! ამავე დროს ცხოვრებდა ერთი ძველებური გამოჩენილი სამღვდელო პირი, გელათის დეკანოზი ოქროპირ კანდელაკი. როგორც ქვეყნის ერთგული, ის მთავრობას არაფრათ ეჭაშნიკებოდა, მაგრამ ქვეყნის ხათრს მაინც იჭერდა და პირდაპირ არას ერჩოდა. ერთხელ დიდ-მარხვაში ამას შეხვდა დეკანოზი ელიაშვილი და ჩვეულებრივ სამებრ სამღვდელო პირთა შენდობა მოთხოვა — „ქვეყნის ორგულს შენდობა არ მიგეცემაო" — მიაძახა ცივათ და მოშორდა. ეს შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა გაზვიადებულმა ელიაშვილმა, დააბეზღა ქუთათელს და ქუთათელმაც გაუგზავნა ჩაფრები და დააჭერინა ოცდა თუთხმეტი სული მისი ცოლ-შვილი და შვილი-შვილები, ჩამოაყვანია და გარდასცა თურქებს, რომ სათათრეთში წაეყვანათ ტყვეთ და სულ ცალ-ცალკე გაეყიდათ. წითელი პარასკევი იყო. ეს რომ ნახა ოქროპირ კანდელაკმა, დაიღრიალა: „ღმერთო, რა შეგცოდე, რათ წამიწყმიდე სიბერეზე?!.. ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი შვილის-შვილები გაურჯულდენ, წაწყდენ და მე კი სასუფეველი ვეძიოვო?!.. ალბათ არ ვყოფილვარ ღირსი

ცხონებისა და იყავნ ნება შენიო! მე ჩემ ოჯახს ვერც საიქიოს გავშორდები, რადგან ისინი ჯოჯოხეთში შევლენ, მეც იმათთან ვიქნებიო!“ გალესა ხანჯალი, გაირჭო წელში ანაფორას ქვეშ და პირდაპირ შევიდა ქუთათლის სახლში. ქუთათელს იზმაილ ფაშა ჰყავდა სტუმრათ და მიუხედავათ დიდი პარასკევისა, შემწვარ ბატკნების ხორცს შეექცეოდა!.. დაიჩოქა მღვდელმა ტ შეჰყვირა: „მღვდელმთავარო, რა დაგიშავე, რომ ცოლ-შვილი ტყვეთ წამოაყვანიეო?! თუ რამე შეცოდება მაქვს, გადამახდევინე მე და ბავშვებს რაღას ერჩიო?“ დიდ ხანს ეკედრა ტირილით, თან-და-თან უახლოვდებოდა მუხლებზე ხოხვით; ბოლოს, როდესაც იფიქრა, რომ ახლა კი შემიძლია მოვიმარჯვო ხელიო, უკანასკნელათ ჰკითხა: მაშ აღარ აქვს საშველი ჩემი ცოლ-შვილის ხსნასო?! — მხოლოთ ერთიო, სიცილით უპასუხა ქუთათელმა, თუ დაჯდები შენც ჩვენ სუფრაზე და ხორცსა სჭამო“. თავ-ზარი დაეცა ოქროპირს, მაგრამ იფიქრა: ჩემ ცხონებას ხომ მაინც არაფერი ეშველებაო, ამას მოვკლავ, მეც წავწყდები და ჩემი ცოლ-შვილიცო, ხორც თუ ვჭამ მარტო მე წავწყდები და ისინი კი გადარჩებიანო; ტაეთანხმა მასპინძლებს, ფირვანი გამოართვა ცოლ-შვილის დასაბრუნებელი და მიუჯდა სუფრას, პირველი ნაჭერი რომ აიღო, აუკანკალდა ხელი, პირამდის ძლივს მიიტანა, მაგრამ კრიჭა კი აღარ ეხსნებოდა, გადმოყარა ცრემლები, გააღო როგორც იქნა პირი და ჩაიდვა ლუკმა. უცბათ სახე გაუბრწყინდა, პირჯვარი გადაიწერა, სიამოვნებით გაუსვა ხელი ჭამას. — „აი ბარაქალა, ქეშეშ, ქეშეშ, მოაძახა იზმაილმა, გეგემბრიელაო?“. — „დღეიდან შენც ჩვენი ხარო, უბრძანა ქუთათელმა. ახლა შეგიძლია შენი ოჯახი უკან დაიბრუნოვო“. გაძღა ოქროპირ დეკანოზი და ნასადი-

ლევს გამოხსნილი ცოლ-შვილიანათ გაუდგა გზას. ეს ხმა მაშინვე გავარდა ხალხში ჭორათ. აღდგომა დღეს, როცა ლიტანია უნდა შემოევლოთ, ხალხმა შეაჩერა მისი საყვარელი მოძღვარი და უთხრა: თუ მართალია, რასაც რომ ამბობენ, დღეს ნუღარ გვიწირავო. დეკანოზმა დაადვა ხელი ხახულის ღვთის-მშობელს და შეჰფიცა მრევლს: „ტყუილი გაგიგონიათ, შვილებო, ამისმა მადლმა მე იმ სუფრაზე ლობიოს მეტი არა მეჭამოს რაო და ისიც უმარილოო“. ხალხმა დაუჯერა რასაკვირველია და ამით გათავდა ეს უცნაური ამბავი. მხოლოთ რამოდენიმე წლის შემდეგ, სიკვდილის წინეთ რომ გაენდო დეკანოზი ოქროპირ კანდელაკი მის მოძღვარს, აღსარებაში უთხრა, რომ ყოველი ნაჭერი, სანამდი პირთან მივიტანდი, ხორცი იყო, მაგრამ, ვენაცვალე ღვთის სასწაულსა და ძლიერებას, პირში რომ ჩავიდებდი, ლობიოთ გადაიქცეოდა ხოლმეო. რჯულის კანონით მოძღვარს ნება არა აქვს, რომ მოწაფის აღსარება გამოაქვეყნოს, მაგრამ მისმა მოძღვარმა კი მრევლს გამოუცხადა ეს ამბავი. ჩხეიძე ქუთათელი კი თავისას არ იშლიდა. ახალგაზდა მღვდლებშიაც კი ბევრნი გამოჩდენ ელიაშვილი დეკანოზის მიმდევარნი. ჩხეიძე ქუთათელმა სხვათა შორის ქართული საღმრთო წერილი გადაათარგმნია არაბულათ სიტყვა-სიტყვით და ისე აკითხებდა ეკლესიებში. მაშინდელი არაბულათ წათარგმნი სახარება, ქართველი ასოებით დაწერილი, დღესაც მოიპოება აქა-იქ იმერეთში. ხალს რომ აღარა ესმოდა რა, სულ მიატოვა ეკლესიაში სიარული. ერთხელ იზმაილმა ჰკითხა თავის მეგობარ მღვდელ-მთავარს: „მგონია, ტყვილა ვაძულებ თავს ხალხს! ძალა დატანებით მათ რომ სამღრთო-წერილს ქართულათ აღარ ვაძლევთ და მათთვის გაუგებარ

ეხაზე ვუკითხავთ, მაგითი მაინცა და მაინც იძულებულს ვერ ვჰყოფთ, რომ ჩვენს ენაზე გასცვალონ ქართულიო“ — „მაგას ვინ ფიქრობსო?“ უპასუხა ქუთათელმა. ხალხი რომ საყდარში სიარულს აღარ დაიწყებს და საქრისტიანო მოძღვრებას მოკლებული იქნება, მაშინ ნელ-ნელა დაივიწყებს რჯულს, დაჰკარგავს სარწმუნოებას, ზნეობითად დაეცემა და ამ ნაირათ, სულით მკვდარი ხალხი, ადვილი მოსათოკი შეიქმნება. ეს მსჯელობა, რასაკვირველია, მოუწონა იზმაილ ფაშამ და ხვანთქარის წყალობამ და ჯილდომ უფრო და უფრო გააძლიერა და გაადიდკაცა, როგორც ჩხეიძე, ისე მისი მიმდევრებიც. თითო-ოროლა მეჩეთებიც კი ააშენეს აქეთ-იქით მის დროში. ხალხი, რასაკვირველია, თან-და-თან ეცემოდა. უძლური მეფე ვერას შველიდა და, ვინ იცის, რა ბედი მოელოდა იმერეთს, თუ ღვთის განგებით იმ ხანებში არ შემდგარიყო საზოგადოება, „წმიდა გიორგის გუნდათ“ წოდებული.

—

ერთხელ გაღმა საბურთალოზე მზის ჩასვლისას ჭადარს ქვეშ მოეყარათ თავი ახალგაზდა ოჯახის შვილებს და თათბირობდენ. მათში ერიენ უფლის წულებიც, სამეფო ტახტის მემკვიდრე ახალგაზდა, თვრამეტი წლის სოლომონ ბატონიშვილი და მისი უმცროსი ძმა არჩილი. არჩილი მაღალი ტანის კაცი იყო, ძარღვებიანი და ძვალ-მსხვილი. იმ დროში ვაშკაცობით და სიმარჯვით ახალგაზდებში მას ვერავინ შეედრებოდა; პირველი მობურთავე იყო, შესანიშნავი ცხენოსანი, მოჯირითე, მეთოფე, მეხმლე და მასთანაც სამ ნაბადზე ახტებოდა. მეტ-სახელათ „წმ. გიორგის მოწაფეს“ ეძახდენ და „არჩილ გიჟს“. სოლომონიც კარგი შესახედავი იყო;

ბევრში არც ის ჩამოუვარდებოდა არჩილს, მაგრამ უპირატესობა იმაში ჰქონდა, რომ თვალი უჭრიდა, — იმის თვალების შეჩერებას ვერავინ ბედავდა. — „ბატონიშვილო, დაიწყო ერთმა კაჟიაშვილმა — ჩვენს სურვილს დღეს ღვთის ნებაც დაერთო, წილიც ვყარეთ ჯ უფროსობა, -მეთაურობა თქვენ გერგოთ; გვიწინამძღვრეთ, გვიბრძანეთ და დანარჩენი ჩვენ ვიცით“. — „კეთილი! ბრძანა სოლომონმა, მაგრამ ჯერ ერთი ეს, რომ ნება არ გაქვთ ბატონიშვილი დამიძახოთ, ყველას ჩვენ ჩვენი საკუთარი სახელი გვაქვს: არჩილს „გიჟი“ ჰქვია, მე — „ქვახეთქია“, შენც „შვილდ-ისარა“ და ამ გვარათ თვითოეული ჩვენგანის მოვალეობა ხომ იცით, რა არის? — სურვილის განსახორციელებლათ თავის დადება და ჩვენი სურვილი-კი ის არის, რომ ქვეყნის მტერი და ორგული ვდევნოთ და ერთგულებს ხელი შევუწყოთ. წყალ-გაღმა რომ საქმეს ვაპირებდეთ, ჩვენ წყალ-გამოღმა უნდა დავიწყოთ ჩხირკედელაობა. ყველას მხარი მოვუქციოთ და ჩვენზე ეჭვი არავინ აიღოს! გასაჭირში ერთმანეთის მომხრე უნდა ვიყოთ, თუ ჩვენგანს ვისმე უბედურება შეემთხვეს, ჭირისუფლობა უნდა გავუწიოთ არა მარტო იმას, არამედ მთელ ოჯახსაც!.. — „რომ ვინმემ გაგვთქვას?“ წამოწამოიძახა ერთმა მათგანმა. — „იმას სიკვდილიო!“ თქვა სოლომონმა. „ამინ!“ გაიმეორეს ყველამ ერთხმათ. სოლომონმა აიხსნა ძელი ჭეშმარიტი გულიდან, თვითეული მათგანი მივიდა და ემთხვია სასოებით და დაიშალა კრება. ყველა თავისთვის წავიდ-წამოვიდენ აქეთ-იქეთ. ამას შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, ხმა გავარდა, რომ კარის დეკანოზისათვის ვიღაც ბოროტ-მოქმედებს, ძირში მოუჭრიათ ენა და ცხვირი ჩამოუთლიათო. იმავე

დროს რამდენიმე ახალგაზდა მღვდლისათვის ცალ-ცალი თვალი წამოუთხრიათო.

თავს გამოიდვა მთავრობამ, აქეთ ეცენ, იქით ეცენ, ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ვერა გაიგეს რა. გაიარა ერთმა კვირემ, ლევან აბაშიძის სახლ-კარი გადაბუგეს. ვერც ამის მქნელი გამონახეს. მოჰყვა ამას სხვა უცნაური ამბვებიც და ისე დღე არ გავიდოდა, რომ სადმე გასაშტერებელი ამბავი არ მომხდარიყო. ვინც-კი თათრების მომხრეთ და ერთგულათ იყო შენიშნული, რომ ფათერაკი არა მოსვლოდათ-რა, — შეუძლებელი იყო. ფეხზე დადგა მთავრობა, მაგრამ მაინც ვერა გაიგეს-რა. ყველაზე თავ-გამოდებული იყო სოლომონ ბატონიშვილი. ზოგიერთებმა ხოსიკა მაჰავარიანზე მიიტანეს ეჭვი: იმან იცის უთუოდ ყოლიფერიო. დაიჭირეს და ჩააგდეს საკანში. საწყალს აღარც ფიცი გაუვიდა და აღარც ჯერი. თუმცა საბუთი ვერა გამოუნახეს-რა, მაგრამ მაინც ქვეყნის სანახავათ და შესაშინებლათ საკირეში დაწვა გაუჩინეს. მზე ჯერ არ ამოსულიყო, რომ გაღმა საკირე გაახურეს და ხალხს თავი მოუყარეს. დიდი და პატარა ზოგი ტირილითა და ზოგი შიშით მოდიოდა: როგორ მოიყვანდენ ტყვეს და ჩააგდებდენ საკირეში. უცებ ოლისკურიდან მომავალი პირბადიანი ცხენოსნები გამოჩნდენ. მათ წინ მოუძღოდა, შუბით ხელში, ერთი თეთრ-ცხენიანი მხედარი. ჩუმათ აუარეს ხალხს გვერდი, შეუპოვრათ მიადგენ საკირეს და დაუწყეს ნგრევა. შეკრთა გაკვირვებული ხალხი, გარისხდა მთავრობაც. მოთმინებიდან გამოსულმა სოლომონმა იძრო ხმალი, რამდენიმე ახალგაზდამ მხლებლებით შეუტია შეუპოვრებს, მაგრამ, როგორც-კი მიუახლოვდა თუ არა, მხედარი მოუბრუნდა, ხმა ამოუღებლათ თითი მიუშვირა

ცისაკენ. სოლომონმა და მისმა მხლებლებმა იარაღი ხელიდან დაჰყარეს და დაემხვენ მის წინ. თეთრმა ცხენოსანმა და მისმა მხლებლებმაც გააბრუნეს ცხენები და გაუდგენ გზას. ამ შემთხვევამ ყველა გააკვირვა. ბატონიშვილს და მის მხლებლებს რომ ჰკითხეს, მათ მხოლოთ ესა თქვეს, რომ ვიღაც თეთრ ცხენიანი იყო—ისეთი თვალით შემოგვხედა, რომ ძალ-ღონე დავკარგეთ ⁄ თვალი ველარ გავუმაგრეთო.—„ალბათ წმიდა გიორგი იქნებოდა, დაიგრიალა ხალხმა, დაილოცოს მისი სასწაულიო!“ ამავედროს დარაჯები მოვიდენ ⁄ მოახსენეს ალექსანდრე მეფეს, რომ გათენებისას თეთრი ცხენოსანი მოადგა ციხეს, ჩაამტვრია კარები, შემოისვა უკან ხოსია მაჭავარიანი და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდაო. ამ შემთხვევამ თვით თათრებიც კი გააკვირვა და ზოგიერთმა მათგანმა მართლმადიდებლის სარწმუნოება მიიღო. მათი ნაშიერები დღესაც ცხოვრობენ ქუთაისში ინაკავაძის გვარით. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ისე დამარცხდენ თათრის მომხრე ქვეყნის ორგულები, რომ ძველებურათ ფარფაშს ველარავინ ბედავდა.

ერთხელ გეგუთში ერთი მღვდელი მოკვდა, ჩაასვენეს კუბოში და საფლავზე რომ მიიტანეს მესამე დღეს, მაშინ გაცოცხლდა... გაუკვირდა ხალხს. ე მღვდელი წამოდგა, თვალები ამოიფშვნიტა, მიიხედ-მოიხედა და მიუბრუნდა ხალხს: — „ვენაცვალე იმის ძლიერებას, ღმერთმა საიქიოდან განგებ გამომგზავნა, რომ თქვენი ცოდვები გამხილოთ და შეგანანებიოთო“. მოჰყვა სხვა და სხვა რამეებს, მაგრამ სულ მისთანებს კი, რომელებიც ქუთათელისა და მისი მიმდევრების სასარგებლო იყო. ხალხში რომ ხმა გავარდა, შორეულ კუთხეებიდანაც კი მოდიოდენ, რომ გაეგოთ და შეეტყოთ გაცოცხლებულ მღვდლისაგან ზეციური ამბავი. ხა-

ლხმა მართლა თითქმის დაიჯერა მისი ამბავი და რყევა-
ში შევიდა. ალექსანდრე მეფემ შეჰყარა ხალხი ქუთაი-
სში, როგორც სამღვდელოება, ისე ერის კაცებიც, და
იმ დღისთვის დაიბარა გეგუთელი მღვდელიც. ოქროს-
ჩარდახთან, ჭადარს ქვეშ, საჯაროთ ჰკითხა მღვდელს:
„მამაო, მართლა საიქიო მოგვივლია და ღმერთი გინახა-
ვსო?- მღვდელმა დაიფიცა, მართალიაო.—„მაშ, მოგვიყევი
სიტყვა-სიტყვით, როგორ იყო და ან რა ნახეო“.—„მე,
შენი ჭირიმე, მოჰყვა მღვდელი, ამომხდა თუ არა სული,
სულთა მხუთავმა მიქელ-გაბრიელ მთავარ-ანგელოზმა
მაშინვე ანგელოზებს გადამცა და იმათაც პირდაპირ
ღმერთთან წარმადგინეს. დეილოცა მისი ძლიერება,
ოქროს ჩარდახში ბრძანდებოდა, ოქროს ტახტზე ფეხ-
მორთხმული, თავზე იმისთანა ფესი ეხურა, რომ სულ
ელავდა, ხელში ყალიონი ეჭირა სხვა და სხვა თვლებით
მოჭედილი, ისე რომ ფასი არ ითქმებოდა! ძალიან ტკბი-
ლათ მიმიღო, დიდი პატივიც მცა, გამომიშვირა ხელი
და მითხრა: „ბუიურ ქეშეშ ოთურ ხალიჩაზედაო“. მე-
რე გამომკითხა ამ ჩვენი ქვეყნის ამბავი. მეც რასაკვირ-
ველია მოვახსენე, რაც ვიცოდი და იმანაც მე. აქეთ გა-
მომისტუმრა, რომ მისი ნება სურვილი თქვენთვის გად-
მომეცა!“ წამოდგა ზეზე აღელვებული სოლომონ ბა-
ტონიშვილი და მიუბრუნდა ხალხს:—„ხომ გაიგონეთ, რაც
თქვა ამ მღვდელმაო? რაც თქვა—სულ მართალია, მაგ-
რამ მაგას ღმერთი კი არ უნახავს, ეშმაკი გამოცხადე-
ბიაო! აბა რა დასაჯერებელია, რომ ჩვენმა ღმერთმა,
ვენაცვალე მის ძლიერებას, უწმინდური ფესი დაიხუ-
როს თავზეო?! და განა ჩვენი საქრისტიანო ქართული
ენა არ ეცოდინებოდა, რომ თათრულათ არ დაეწყო
ლაპარაკი და არ ეთქვა: „ბუიურ ქეშეშ ოთურ ხალი-

ჩაზედაო?! ცხადია, რომ ამ შეჩვენებულს ჯოჯოხეთი მოუვლიაო! „ვიჯმნი ეშმაკისაგანაო!“—დაიღრიალა და მიაფურთხა წვერებზე. როგორც მოულოდნელი ქარიშ-ხალისაგან უცბათ აღელვებული ზღვა, ისე შეინძრა ხალხიც და შემოეხვიენ გარს ფერ-მიხდილ მღვდელს: „ეშმაკი უნახავს, ეშმაკი; ჯოჯოხეთში ყოფილა და იქით-კენვე გავისტუმროთო!“ და გასწი-გამოსწიეს. შეშინებულ-მა მღვდელმა გააბა ღრიალი:—„დიდებულო, მეფევ, ნუ მო-აკვლევინებ ჩემ თავს ! ყველაფერს მართალს გიამბობ“. ბატონიშვილმა არჩილმა გამოგლიჯა ხელში გაჩფთრებულ ხალხს მღვდელი და უთხრა:—მაშ თქვი, რა ამბავია? ათრ-თოლებული ხმით მოჰყვა ღვდელი: „დიდებულო მეფევ, შემიბრალეთ! მე არც მომკვდარვარ, არც ღმერთი მინა-ხავს და არც ეშმაკიო! ბატონმა ქუთათელმა და მაგისმა მომხრეებმა მიბრძანეს, რომ სიკვდილი მომეგონებია და რაც ღვთის ნაბრძანებათ გადმოგეცით,—ის სულ ქუთათე-ლის დარიგება იყოო“. ამ შემთხვევამ ისე ააღელვა დიდი ! პატარა, როგორც ხალხი, ისე მეფეც, რომ ქუთათელი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო ქუთაისიდან და თავის როკითის ციხეში გამჯგრებულიყო. დღესაც როკითლები სარწმუნოთ ამბობენ მამა-პაპისაგან გადმონაცემ ამბავს ამ ჩხეიძეზე: რომ მოკვდა და ეკლესიაში დამარხესო,—გა-ჩნდენ გველები მის საფლავში, ამოდიოდენ და ხალხს აფრთხობდენო!.. არ იქნა, ვერა მოუხერხეს რა, სანამ არ გაჭრეს საფლავი, ძვლები არ ამოიღეს და ხანის წყალში არ გადაყარესო. მაშინ კი გველებიც გაქრენო.

ადვილი მისახვედრია, რომ ეს საქმეები, რაც იყო ჩადენილი, სულ ამ მცირე საიდუმლო რაზმის წყალობა იყო, რომელიც საიმედო ახალგაზდათა მამულიშვილე-ბისაგან იყო შედგენილი და, რომელსაც თვითონ სო-

ლომონი მეთაურობდა. თავისი ფრთხილისა და წინ-დახედული მოქმედებით ამ პატარა რაზმმა ისე დასცარა თურქების ძალა და ისე გაუმთელა გული ქრისტიანობას, რომ ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდეგ, სოლომონი რომ ტახტზე ავიდა, ბევრი აღარა დაჭირვებია რა თათრების მოსაგერებლათ.

ახირებულია ჩვენი საზოგადოება!.. ყოველგან და ყოველთვის სხვისგან გადამეტს თხოულობს და თვითონ-კი თავის მხრით მცირეც ეზარება. ბევრისაგან უმადურობა ისმის ჟურნალ „მოამბის“ შესახებ: ჟურნალი-კი არა, უბრალო კრებული არისო. თუ ჟურნალობას ჩემობს, რატომ ისიც ისე არ გამოდის, როგორც სხვა ქვეყნის ჟურნალებიო, რომ არც შინაური მიმოხილვა აქვს და არც პოლიტიკურიო და კრიტიკის ხომ ხსენებაც არსად არისო. იმ დალოცვილებს ავიწყდებათ, რომ ის, რაც ერთგან მოსახერხებელია, მეორეგან შეუძლებელია. ქალმა თქვაო: „სულ ნუ მეყოლება შვილები ის მირჩევნია, ვიდრე დამახინჯებულსა ვხედავდეო‘‘. მართალია მხოლოთ ერთი ის, რომ კრიტიკული სტატიები არ იბეჭდება, მაგრამ აქაც რალა „მოამბეს“ გადავახდევინოთ, რომ ჯერ კრიტიკოსები საზოგადოთ არც ყოფილან და არც არიან ჩვენში, რომ ან სხვაგან სადმე ეწეროსთ და წეროონ კრიტიკული სტატიები?!

მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც ეს ჟურნალი „მოამბე“ სინიდისიერათ გამოდის, სასარგებლოც არის და მაინცა-და-მაინც ხელ-აღებ წუნის დადება მიზეზ-მიზეზობა იქნება. აი, თუ გნებავთ, ავიღოთ ამ წლის № 1 „მოამბე“. სხვა რომ არა იყოს, მარტო ისიც კმარა მოსაწონათ, რომ აქ თ. სახოკიას სამგზავრო წერილებია „გურია-აჭარა“ დაბეჭდილი და ან აქვე უსახელო ავტორის სტატია „აფხაზეთის ახალშენები“. ამისთანა რამე.

ებს სხვა ხალხის ჟურნალებშიაც ვერ შეხვდებით. ამათ მარტო ზღაპრული გადაკითხვა კი არ უნდა, საგულისხმოთ ჩაფიქრებაც ეჭვირება. თუ გნებავთ, ესენი იგივე პოლიტიკური და შინაური მიმოხილვაა. იმდენათ, რამდენათაც კი მოსახერხებელი იყო. ამათ გარდა თავი და თავი საყურადღებო რამ პატარა მოთხრობაა დ. კლდიაშვილისა „მრეველში“. ამის გამო გვინდა ცოტა რამ ვთქვათ. საზოგადოთ ქართული მწერლობა ხელოვნების მხრით თავს ვერ მოიწონებს. მართალია იქა-აქ შეხვდებით ნიჭიერ ნაწარმოებს, მაგრამ იმათაც ხელოვნების მხრით დიდი ნაკლი აძევსთ. ჩვენმა მწერლებმა არ იციან კანონი ნაწარმოების შეფერადებისა, სწორა ლარის გაყვანის, დროზე შეჩერების და ადგილზე წერტილის დასმის. და მიტომ მათი ნაწარმოები, გინდ ნიჭიერიც იყოს და აზრიანი, ხელოვნების მხრით კოჭლობს და შიგა-და-შიგ არის დამახინჯებული.

ნამდვილი ხელოვნება ისეთი რამ არის, რომ, თუ ან მეტი, ან ნაკლები რამ შიგ გამოურიე, მორჩა, გათავდა, მისი მთლიანობაც და ერთიანობაც ირღვევა. რუსთველს და ბარათაშვილს გარდა ეს კანონი არავის არ აქვს დაცული ჩვენს მწერლობაში. ეს ბევრჯელ მწერლის ბრალიც არ არის. გარემოება აიძულებს ხოლმე მწერალს, რომ თავისი ნაწარმოები თვითონვე დაამახინჯოს, თუ უნდა რომ გასავალი ექნეს. ამ ოცდა თხუთმეტი წლის წინეთ მე ერთი ლექსი დავწერე: „სიმღერა მკის დროს“. იმ დროის შესაფერათ არ იყო ურიგოთ დაწერილი, მაგრამ კიჟინი დამცეს: ეს უნაყოფო ბულბულობაა და სხვა არაფერია!.. ხელოვნება ხელოვნებისათვისო... აქ სასარგებლო არა არისო. მეც ავდექ და ბოლოში მივაწვეპე:

„ეხვეთ მოვიდა დღეს ბური,
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,
რომ მას ბატონი წამართვეს
და მე კი ოფლსა ტუვილათ ვდვრი“.

ეს რომ ნახეს მომატებული, მაშინ მოიწონეს და დამიბეჭდეს. მე კი ვხედავდი, რომ ეს ხელოვნების შეურაცხყოფა იყო, ჩემ სიმღერას ვირის კუდი გამოვაბი, მაგრამ რას ვიზამდი, რომ უმისობა აღარ მოხერხდებოდა! და მეც არარობას „კირაობა“ ვარჩიე. შეიძლება დღესაც კიდევ ამ გვარი რამ უშლიდეს ხელს ჩვენს ახალგაზდა მწერლებს და სამწუხაროა, რომ ამდენ ხანს უმეცრებისათვის თავი ველარ დაგვიხწევია. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ახალ მწერლებში ყველაზე უფრო საყურადღებოა არაგვის-პირელი მისი ჰსიხოლოგიური ეტიუდებით. მისი ზედ გავლენით მიმბაძველობით ბევრი გამოიწვია, თითქმის სკოლა შექმნა. პირველ ბიჯათ ეს დიდი რამ არის, მაგრამ ის კი საფიქრებელია, რომ ჯერ ამდენ ხანს უფრო დიდზე და უფრო იდეიურზე ვერ გადადის, მაგრამ ამაზე კიდევ გვექნება შემდეგშიაც შემთხვევა ვილაპარაკოთ და ახლა გადავალთ იმ ახალგაზდა მწერლებზე, ხალხს რომ მიმართეს და ცდილობენ სოფლების ცხოვრება გაგითვალისწინონ. ამ გვარი მწერლები ადრევაც გვყვანდენ, მაგ. ლომაური, ს. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილისა და სხ., მაგრამ იმათ ნახევრადაც ვერ გაგვიმართლეს იმედები და აი, რის ბრალი იყო.

ზოგიერთები საზოგადოთ იმ აზრისა არიან, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიც, რადგან ჩვენები მხოლოთ მიმბაძავები არიან, რომ რეალიზმი მოითხოვს მწერლობაში მხოლოთ პრიტოკოლურ აწერილობას უმეტ-ნაკ-

ლებოთ, ისე როგორც ხედავს და ესმის მწერალს. ასე რომ იქ თავისი არ უნდა გაურიოს რაო. მაგალითად, სოფლის ცხოვრება გინდა აწერო? მიდი გლეხისას, რაც ნახო, ან რაც გაიგონო—უტყუვრათ ჩაწერე და ეს იქნება ნამდვილი ხელოვნებაო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფოტოგრაფიულ სურათებს უპირატესობა ექნებოდათ ხელოვნებითი მხატვრობაზე და უბრალო ფოტოგრაფი ემჯობინებოდა გამოჩენილ მხატვარს რაფაილს. მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია ფოტოგრაფია სწორა აღწერს, ერთ ფიორსაც არ დააკლებს, მაგრამ მაგიერათ განმაცხოველებელ სულს ვერ ჩაუდგამს იმას, რასაც მიბაძვით უახლოვდება და ხელოვანი მხატვარი კი იმისთანა რამ დამახასიათებელ ნიშანს აიღებს, შეურჩევს მისთანა წამს გრძნობა-გონების გამომეტყველებისას, რომ სულს ჩაუდგამს და განახორციელებს ნახატს. ამაშია მისი შემოქმედების საიდუმლო ძალა, რომელსაც უფრო სწრაფ-გადამღები, მაგრამ უსულო ფოტოგრაფი ვერ მიწვდება. ასევე უნდა ვთქვათ მწერლებზედაც. ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულათ კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა, არამედ ჩაწეროს. არა, ასისა ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს, რასაკვირველია შემოქმედებითი ძალით. ეს, რასაკვირველია, ძვირათ ვისმე შეუძლია და მათ რიცხვში ჩვენი დ. კლდიაშვილიც უხვათ არის დაჯილდოებული. მისი პატარა მოთხრობა „მრეველში» ამგვართაგანია და სამაგალითოც რამეა.

უბრალოთ, თითქო თვითონაც არ აძლევს მნიშვნელობას, ისე გაკვრით გზა და გზა გვიხატავს სოფლის ცხოვრებიდან ერთ სურათს: რა იმედებითა და სასოებით

მიღის ახალგაზდა მღვდელი სოფელში? როგორ დაუხვდება მრევლი, როგორ იტანჯება საბრალო მღვდელი და ბოლოს, როგორ უნდა დაანებოს თავი სულის მოძღვრობას და გახდეს „კანჭიათის“ ხუცესი.

თავიდან დაწყებული იმ ადგილამდის, როდესაც მღვდელმა აზიარა მომაკვდავი გლეხი, დაბრუნდა შინ ცოლ-შვილში და დაქანცულმა თავი მიცა ძილს — სწორეთ ძვირფასი რამ არის და აქვე უნდა გათავებულიყო მოთხრობაც. მაგრამ ზემოთაც ვთქვი, ჩვენმა მწბრლებმა დროზე წერტილის დასმა არ იციან-მეთქი. ბ. დ. კლდიაშვილს მოგონებია მომაკვდავი გლეხი, დაბრუნებია და გვიწერს, როგორ მოკვდა და როგორ იტირეს. ეს სულ სხვა, მეორე ამბავია, რომლის გადაბმასაც წინა მოთხრობისათვის ძალა დაუკლია. კაცმა რომ ბედაური რაში დახატოს და მერე აიღოს და მეორე კუდიც გაუკეთოს და ისიც კიდევ ვირის, — აბა რა იქნება? პოეტები, როგორც ბუნება თანაზიარი და ადვილათ გამტაცებელი ხალხი, ხშირათ ისეთ რამეს გადაჰყვებიან ხოლმე, რომ სანამ იმ თავის შთაბეჭდილებებს სხვებსაც არ გაუზიარებენ და არ გამოაქვეყნებენ, ვერ მოისვენებენ და შეიძლება ამ გვარი რამ შეემთხვა ავტორსაც იმ ხანებში, სადამდინაც ის შესაზარი სურათია გლეხის სიკვდილისა.

გადაბა, შეიძლება, მაგრამ ნათქვამია: „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“. „მოამბის“ რედაქციას, როცა ბეჭდევდა, როგორ მოუვიდა, რომ ეს ხორც მეტი არ ჩამოაცალა. აი, ეს კი არის სასაყვედურო, თვარა ამ ჟურნალის დაწუნება უსამართლობაა. მჯობნის მჯობნე არასოდეს არ დაილევა, მაგრამ, სიმართლეს თუ ვიტყვით, ჟურნალი „მოამბე“ იმ თავიდან ამ ხნობამდე უმნიშვნელოთ არ გამოდის და ხშირათ კარგი და სასარგებლო რამ იბეჭდება შიგ ხოლმე.

სოლომონ პირველი დიდი

იმერეთის მეფე

(ზეპირ გადმოცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო სოკო კანდელაკის პაპა და ჩაწერილი მისი შვილი-შვილის სიკო კანდელაკისაგან)

ეს მეფე იყო ალექსანდრე მეფის ძე. თუმცა სამეფო ტახტი უფროს ძმას იოსებს ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან ხედავდა, რომ მისი უმცროსი ძმა სოლომონ უფრო სამეფო კაცი იყო, როგორც თვალ-ტანადობით, ეგრეთვე ძლიერებით და სიმარჯვით, ამის გამო იოსებმა მეფობა მას დაუთმო და თვითონ ბერათ შედგა.

სოლომონი რომ სამეფო ტახტზე ავიდა, სულ თვრამეტი წლისა იყო. ამ დროს ოსმალეთის ჯარები იყო იმერეთში შემოსული და ციხე სიმაგრეებიც იმათ ეჭირათ: პირველი ფაშა მამედ-ალი კიკიანი ქუთაისი ციხეში იდგა დიდძალი ჯარით და მბრძანებელიც იყო დანარჩენი ფაშების. მეორე ფაშა უსეინ იდგა ბაღდადის ციხეში; მესამე ფაშა ახმედი შორაპნის ციხეში; მეოთხე ფაშა ალიბეგი იდგა ხრესილზე. თუმცა ამათ გამგეობაში არ იყო ჩვენი სამეფო, მაგრამ ბეგარას-კი ახდევინებდენ იმერეთის მეფეს რამდენიმე ათას ყურუშს. ამ დროს

ცხოვრებდენ იმერეთის სამეფოში ორი თავადი: ერთი რაჭაში, რომელსაც უწოდებდენ დიდ როსტომ ერისთავათ ბ მეორე არგვეთში თვით მეფის დედის ძმა ლევან აბაშიძე. ამათ შემოიყვანეს თათრები ალექსანდრეს მეფობის დროს, გაუღეს ციხის კარები, დააბინავეს, დაასუსტეს ალექსინდრე მეფის ძლიერება და თვითონ მათი შემწეობით გავლენა მოიხვეჭეს. ახლაც სოლომონის გამეფების შემდეგ დაუახლოვდენ კიკიან ფაშას ძვირფასი საჩუქრების მირთმევით და ურჩევდენ, რომ ბაგრატიონის გვარი სრულიად მოესპო და მათთვის მიეცა მეფობა, ასე რომ ორ სამეფოთ გაეყო იმერეთი: ნახევარი ერთისათვის მიეცა და ნახევარი მეორესთვის. სამაგიეროთ პირდებოდენ იმერეთში მახმადიანობის შემოღებას. უნდა აეშენებიათ მეჩითები ქუთაის, ბაღდათს, შორაპანს, ხრესილზე, საჩინოს, ორპირს, კულაშს, ხონს, რაჭას, ნიკოლოზ-წმინდის ტაძრის გვერდით, ონში ბ ამბრალეურში. კიკიანი ფაშა მოხარული იყო, მაგრამ თავის თავათ ცოტა ჯარით შებმას ვერ ბედავდა, რადგანაც, როგორც თვით მეფე სოლომონს, ისე მის ძმას არჩილს დიდი ვაშკაცობის სახელი ჰქონდათ დავარდნილი. მეფე სოლომონს თვალს უჭრიდა და ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ოთხი თვალი აქვსო. მართლადაც, პირდაპირ მისი შეხედვა და თვალის გამართვა, როგორც ზაფხულში მოწმენდილ ჰაერში მზის თვალის გამართვა, შეუძლებელი იყო. მის ძმა არჩილზე კი ამას ამბობდენ: მისძა მადლმა, წმინდა გიორგის სასწაულს გარდა, სიმარჯვით ვერ აჯობებსო. ეს არჩილი იყო ძლიერ ახოვანი, ხმელი, მაგრამ ძვლები ჰქონდა მსხვილი და მოგრძო. იმისი ხმლის ხმარება სამაგალითო და საარაკო იყო. ცოლათ ჰყავდა ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის ქალი. აი, მიზეზი, თუ რატომ ვერ

ბედავდა კიკიანი ფაშა ციხეებიდან გამოსვლას და მეფესთან ბრძოლას თავის თავათ, სანამ ხონთქარს არ აცნობა ყველაფერი და არ თხოვა ჯარების დასქელება. ხონთქარმა აუთქვა და ამას შემდეგ კიდევ უფრო გათამამდენ, როგორც ფაშები, ისე მათი ჯარის კაცებიც და აღარაფრათ აგდებდენ მეფეს. ერთ აღდგომა დილას თათრის ჯარის კაცი შევიდა მეფის სამზარეულოში, მეფისთვის მომზადებულ სასაუზმო ცხვარს ააგლიჯა ბეჭი, იქვე შეჭამა და წავიდა უშიშრათ. სასახლის გამგემ სხვა ცხვრის კეთება დააწყებინა და აცნობა სახლხუცეს პაპუნა წერეთელს ეს გარემოება. წერეთელი შეწუხდა, მაგრამ რას იქმოდა! მოხსენება ვერ გაუბედა მეფეს. მხოლოთ ქათალიკოსი ჰ დიდებული კარის კაცები, მეფესთან მისალოცავათ მიმავალნი, შეაჩერა, რომ დრო გაგრძელებულიყო და მანამდის მოესწროთ სხვა ცხვრის გაკეთება. მეფეს რომ საუზმე დაუგვიანდა, ვეზირს—თამაზა მესხს—უბრძანა: სად არიან ჩემი დარბაისლები, რომ ველარ ვხედავ, ან ქათალიკოსი რატომ არ მობრძანდა, რომ სუფრა მიკურთხოს და ან პაპუნა წერეთელი საუზმეს რათ მიგვიანებს, რომ გავიხსნილ-თო? თამაზამ გამოტეხით მოახსენა ყველაფერი. მეფე ისარ ნაკრავივით წამოვარდა ზეზე და დაიძახა: ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო! ნუღარც გამთენებია აღდგომა, თუ ისინი იმერეთიდან არ გავრეკოო! მოითხოვა ცხენი, შეჯდა და ვარციხისაკენ გაეშურა: მე აქ ქუთაისში დასადგომი პირი აღარ მაქვსო. დიდებულები ზოგი თან წაყვენ და ზოგი გზაში დაეწიენ. მისვლის უმალვე სარდლები დაიბარა: ციხის თავი ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი წულუკიძე და გიორგი აბაშიძე. მეოთხე სარდალი კი პაპუნა წერეთელი თანვე ახლდა. ამ პაპუნას სამი ხელის-

უფლობა ეჭირა, ესე იგი იყო სახლ-ხუცესი, უფროსი ვეზირი და იმავე დროს ცხენოსნის სარდალი.

სარდლები აღდგომის მეორე დღესვე გამოცხადდენ. მეფემ უბრძანა ციხის თავს სარდალ აგიაშვილს ბაღდადის ციხეზე მიდგომა. თავის ძმას არჩილს და გიორგი აბაშიძეს—შორაპნის ციხეზე ბრძოლა, ბერ წულუკიძეს და პაპუნა წერეთელს ხრესილზე ომი და თვითონაც იქ ყოფნა აირჩია, რადგანაც თათრის ჯარი იქ მომეტებული იყო და გაშლილი ალაგიც იყო. ქუთაისის ციხის აღება კი უბრძანა ფიცის კაცებს და გაუგზავნა შემდეგი ბრძანება: „თავადს ბერ ლორთქიფანიძეს მეფე სოლომონ სიყვარულით მოგიკითხავ. ამასთანავე გიბრძანებ, რომ მიღებასათანავე ამა ბრძანებითი წერილისა შეკრიბო ფიცის კაცნი: თავადნი და აზნაურები თავისი ყმებით და ისინიც, რომელნიც ჩემი სახასო ყმები არიან და ანუ ეკკლესიისა; ვისაც იარაღის ხმარება შეეძლოს თავად-აზნაურობისაგან სუყველა და გლეხებისაგან მხოლოთ თვითო გამოაწვიე. შემოჰკარი ქუთაისის ციხე, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალეთის ჯარი, არავინ გამოუშვათ! ვინც გამოვიდეს და ქრისტიანობის მიღება განაცხადოს, ის დაკრძალეთ და შემდეგ ჩემთან მოიყვანეთ. მეფე იმერთა სოლომონ“. ამ გვარივე ბრძანება გაუგზავნა მიქელაძეს. „თავადს ზურაბ მიქელაძეს სიყვარულით მოგიკითხავ და გიბრძანებ: ახლავე შეკრიბე ჯარი, გამოაწყვე ყველა თავად-აზნაურნი და გლეხნი, საჩინოს სოფლიდან მთელი მთის მცხოვრებნი, ვიდრე გურიის საზღვრამდე; ვაკიდან—ორპირი, კულაში, ჯაგანი, გეზათი, მაედანი, ჯიხაიში ორივე სოფლები, გუბი და ეწერი. კომლზე თითო გლეხი გაიყვანე, თავად-აზნაურს, რომელსაც იარაღის ხმარება შეეძლოს—რამდენიც იყოს ოჯახში, ნუ და-

ტოვებ და შეკარი ფოთის გზა, სადაც გურიისა და ფოთის გზა შეერთდება იქ, ესე იგი ეკალ-მუხურში დაბინავდით. ოსმალოს ჯარი არც აქეთ მომავალი და არც იქეთ მიმავალი არ გაუშვათ, სრულებით გაწყვიტეთ! მეფე იმერეთისა სოლომონ". ამ ბრძანების მიღებასათანავე ზურაბ მიქელაძე მივიდა ორპირის ქალაქს და გაგზავნა კაცები ჯარების გამოსაწვევათ. ამ დროს მოვიდენ ახალგაზდა მიქელაძეები, რომელნიც ჭალადიდს მაყრებათ ყოფილიყვენ ქორწილში და გზაში შეჰყროდენ თათრებს, იმერეთიდან ტყვეები რომ მიყავდათ სათათრეთში, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაეწიათ მეფის ხათრით. ახლა კი, როდესაც გაიგეს მეფის ბრძანება, გამოუდგენ, მიეწიენ ფოთთან, თათრები გაწყვიტეს და ტყვეები გამოიხსნეს. ეს გარემოება როსტომ ერისთავმა და ლევან აბაშიძემ სიჩქარით აცნობეს კიკიან ფაშას. მან ცნობისათანავე გზის შეკვრამდის გაგზავნა ფოთში კაცი და დაიბარა ჯარები, მაგრამ ამ ჯარებს დახვდენ ეკალ-მუხურში მიქელაძეები. შეიქნა დიახ ფიცხელი ომი და სულ ცხვრის ფარასავით გადაყარეს თათრები რიონის წყალში. ფიცის კაცებმა ქუთაისის ციხე შემოკრეს. მეფის სურვილი იყო, რომ თათრებთან ომი ყოველ ადგილს ერთსა და იმავე დღეს, რაც შეიძლება, სიჩქარით დაწყებულიყო, მაგრამ პაპუნა წერეთელმა მოუშალა და ურჩია როსტომ ერისთავთან წასვლა და იმასთან მოლაპარაკება. ამ რჩევაზე დათანხმდა მეფე და მოულოდნელათ მიბრძანდა ბარაკონს ერისთვისას. როსტომი იმ დროს საღალატოთ ემზადებოდა: უნდოდა, რომ ლევან აბაშიძესთან ერთად თათრებს მიხმარებოდა და, რასაკვირველია, მეფის მიბრძანება სასიამოვნოთ არ დაურჩა. იმ ღამეს სასტუმროში მიიღო, თვითონ არ ნახა მეფე, ბო-

დიში მოითხოვა: ავათ ვარო. ვახშამი დიახ საკადრისი მოუმზადა: სხვათა შორის ირემიც დაუკლა და ჭამის გათავებამდის, როგორც მეფის სადღეგრძელოზე, აგრეთვე ისეც დრო-გამოშვებით ზარბაზანს ისროდენ ციხიდან. ორივე კარებზე ოსმალური წესით ორძოც-ორმოცი კაცი ხელ ჯოხიანები იდგენ უიარაღოთ და ჭამის გათავების შემდეგ შეიარაღებულნი — გათენებამდის. დილას, მეფის პირის დაბანის შემდეგ, გავიდა როსტომ მეფის სანახავათ განძრახ მოურიდლათ და თავხედათ: ახალუხზე ტოლომო წამოსხმული, წითელი ჯამფასის ნიფხვით და ქოშებით. მეფემ ეს არაფრათ შეიმჩნია: „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო“ — თქვა თავის გუნებაში და ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ საქმეზე დაუწყო ლაპარაკი და თხოვა, რომ თავისი რაჭველებით ხრესილზე მოსულიყო და მოხმარებოდა. ერისთავი დიდი მორჩილებით დაეთანხმა, აღუთქვა ოთხი ათასი კაცის გამოწვევა. გაგზავნა ყოველი მხრით მისი შვილები ჯარის გამოსაწვევათ: რაჭაში და ოსეთში — კუდაროს და თხოვა მეფესაც მასთან დარჩენა, სანამდის ჯარი სულ არ შეგროვდებოდა.

გამოწვეული ჯარები წვრილ-წვრილათ იკრიბებოდენ ბარაკონში ერისთვის დიდ ეზოში. მეფე დიდ შექცევაში ჰყავს: დილაობით ყოველ დღე ყაბახზე სროლა არის, საღამოობით ჯირითი და სადილ-ვახშამზე ზარბაზნების სროლა. მეფე გაკვირვებულია ამ კაცის ცხოვრებაზე და პაპუნას უბრძანებს: „მადლობა ღმერთს, გურიელსა და დადიანს გარდა კიდევ მყოლია დიდებული ქვეშევრდომებიო!“ ამ ყოფაში იყვენ რამდენიმე დღე, რომ მესამე დღეს ორმა კაცმა ცხენი მოაჭენა ხიდისკარიდან, მივიდენ პირდაპირ ერისთავთან და აცნობეს: ნაქერალას

მთაზე თათრის ჯარი ამოვიდა და შაორის მდინარეზე დაბინავდაო; როგორც გავიგეთ, ხრესილზე მდგომი ჯარის ოცდაათი ათასისაგან ნახევარი აქეთ წამოსულაო. ეს ლაპარაკი მაღალი ხმით იყო. მეფემ მოკრა ყური და უბრძანა ერისთავს: რა ამბავი არისო? ერისთავმა მოახსენა: რაჭაში მტერი შემოგვსევია და აოხრებას მიპირებსო, მაგრამ მადლობა უფალს, რომ მეც მომზადებული ვარ, იმას რაჭაში არ შემოუშვებ, ნაქერალაზე გადმოვყრი და მერე თქვენ მოგეშველებითო. ახლა-კი წაბრძანდით, დროს ნულარ კარგავთო. მეფემ მადლი უბრძანა და დაიმედებული გამობრუნდა. თათრების ჯარების შესვლა რაჭაში თურმე გამოგონილი იყო ერისთვისაგან. მეფე მოატყუა და დროც დააკარგვია, რომ მანამდი ხრესილზე თათრებისათვის მეფის განძრახვა ეცნობებია. რაჭიდან გამობრუნებულ მფეს სიმონეთში სარდალი ბერი წულუკიძე დაუხვდა დიდი ჯარით, მეფემ ჯარი დალოცა და გასამხნევებელი სიტყვები უბრძანა: „ჩემო იმერლებო! მტრები ბევრით ჩვენზე მეტია, მაგრამ ნუ შეშინდებით! დღეს მარტო ჩვენ არა ვართ მეომარნი, არამედ ჩვენთანა არს ძალი იესო მაცხოვრისა. დღეს ეჭირვება ქრისტიანობას გამოხსნა. შესწირეთ თავი თქვენი ქრისტეს სარწმუნოებას, გამხნევდით, შვილებო, გამხნევდით! მეც თქვენთან ვიქნები, არც ჭირში და არც ლხინში არ მიგატოვებთ და ღმერთი იქნება ჩვენი შემწე!“ ეს რომ თქვა, ჯარის დაწყობაც ბრძანა. გამოვიდა კერძოთი ცხენოსანი ჯარის სარდალი პაპუნა წერეთელი და დააწყო ცხენოსანი ჯარი. გამოვიდა ბერი წულუკიძე—სარდალი ქვეითი ჯარისა—და დააწყო ქვეითი ჯარი. შედგა სულ ქვეითი და ცხენოსნის ჯარი თერთმეტი ათასი. მეფემ გამოთხოვა პაპუნას ნახევარი ცხენოსნის ჯარიდან ბუბ-

რძანა: თუმცა შენ ხარ ყოველ ომში მემარჯვენე, მაგრამ ხვალ მე უნდა ვიქნეო. იმ ღამეს მტერზე ახლოს შივიდენ. მეფეს არ უძინია, მთელი ღამე დაჩოქილი ლოცულობდა. ბრძოლის წინათ ბრძანა ღვინის მიტანა, აივსო აზარფეშა და თქვა: „დიდება ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ჩემ ჯარს, საქრისტიანოს გამოხსნისათვის მსხვერპლათ დამზადებულს!“ დაცალა და გადასცა პაპუნა წერეთელს. წერეთელმა თაყვანის-ცემით ჩამოართვა სასასმო, ააცსო და დაილოცა: „ღმერთო, უსმინე ბატონ მეფე სოლომონსო!“ წერეთელმა ბერ წულუკიძეს გადაულია და იმანაც ჯარი შეავედრა წმინდა გიორგის. მოემზადენ საომრათ. პირველ მამლის ყივილზე მიადგა ბერი წულუკიძე, საიდანაც მარჯვე ადგილი იყო. დაჰკრეს საომარი ბუკი და ნაფირი. მეფემ მარჯვნით შეუტია და პაპუნამ მარცხნით. შეიქნა დიდი ფიცხელი ომი. გათენებამდე ძლევა არც ერთ მხარეს არ რჩება. რომ გათენდა, დაინახეს, რომ მეფე შევარდნილა შიგ შუაგულ ჯარში და ხმალ-ამოღებული ეძებს, უყივის და იწვევს დავლურში ალი-ფაშას. ამასობაში ბერმა წულუკიძემ და პაპუნა წერეთელმა შემოამტვრიეს საფრები. თათრის ჯარი გაქცევას აპირებს, მაგრამ ლევან აბაშიძე თავის ჯარით ამხნევებს მათ!..

მეფემ დაინახა ფაშა, შეჰყივლა თათრულათ: „აიყარე იარაღი და ან მარჯვეთ დამხვდიო!“ ფაშა მეფის დანახვაზე ისე შეშინდა, რომ, როგორც იყო, ნახევრამდი ხმალი ძლივს ამოიღო. ომის დროს საოცარი რამ სანახავი იყო ბატონი მეფე! მიიგდო ცხენი და როგორც ქათამს, ისე გააგდებია თავი ფაშას. ალი-ფაშის სიკვდილის შემდეგ სარდლობა აბაშიძეს დარჩა და გაგრძელდა ისევ ომი. რომ არავის უბრძანებია, ისე ერთი ვიღაც ჯარის კაცი

გავიდა დიდ ხეზე და მორთო ძახილი: „გაიქცა თათრის ჯარი და ლევან აბაშიძეო!..“ ამ ტყუილმა ძახილმა ჩვენი ჯარი გამოაფხიზლა. ეს ხმა ლევან აბაშიძესაც მოესმა, მიიგდო ცხენი ხეზე, შენიშნა, რომ მყვირალი კაცი ხეზე იყო გასული, შემოუარა ხეს და დაეძებდა, საიდან მოეხერხებია სროლა. ამ დროს ერთი ჯარის კაცი თურმე ჩირგვში იყო მიმალული, მიადვა თოფი აბაშიძეს და გადმოაგდო ცხენიდან. გადმოიხედა ხეზე გასულმა კაცმა, დაინახა, რომ აბაშიძის რახტით შემკული ცხენი უპატრონოთ გარბის და პატრონი-კი ძირს აგდია მკვდარი, — მოუმატა ყვირილს: „მოჰკლეს აბაშიძე და ფაშა ალი ბეგიო!..“ ამ ორი სარდლის სიკვდილმა თათრის ჯარები სრულიად მოშალა. სამხრობამდის კიდევ გაგრძელდა ომი, მაგრამ მხოლოთ წყვეტდენ და იჭერდენ თათრის ჯარს, რომელსაც ხელის გამოღების ღონე აღარ ჰქონდა, თვარა ნამდვილი ბრძოლა-კი დიდი ხნიდან გათავებული იყო. მეფეს,თუმცა წინათვე მოახსენეს აბაშიძის სიკვდილი, მაგრამ ომის დასრულებამდე არ უნახავს. შემდეგ-კი მივიდა, გადააფარებინა ნაბადი და იტირა ისე, როგორც ეკადრებოდა ნათესავს. არც ერთი საყვედური არ უთქვამს! შეაკვრევინა კუბო და დიდი პატივით გაგზავნა თავის სახლში. მოითხოვა აბაშიძის მკვლელი, მაგრამ ვერავინ გამოჩნდა შიშის გამო, სანამ დაჯილდოება არ ბრძანა. მაშინ-კი მოიყვანეს მესხეთელი გლეხი გეგელა თევდორაძე.—„როგორ გაბედე შენ ბიძაჩემის მოკვლაო?“ უბრძანა მეფემ.—„მე ბიძა თქვენი კი არა —ქვეყნის მტერი და ორგული მოვკალიო“— მოახსენა თევდორაძემ. მეფეს გაეცინა, აზნაურობა უბოძა, სახელი გვარათ შეუცვალა: თევდორაძეობა გეგელაშვილათ, რომ მისი ნაშიერები გეგელაშვილათ იწოდებოდენ. მას-

თანავე აჩუქა ათი კომლი გლეხი და სახნავ-სათესი ადგილები გეგუთში. გამარჯვებულმა და გახარებულმა მეფემ იმ ღამეს ცუცხვათში მოისვენა და მეორე დღეს ქუთაის მიბრძანდა.

იყო ერთი დიდი მილოცვა და სიხარული. ამ დროსვე მოვიდა მახარობელი შორაპნის ციხის აღებისა—ქაიხოსრო ჭაჭიშვილი და ბაღდადის ციხისა—კოსტანტინე კოპაძე. ჭაჭიაშვილს უბოძა არგვეთში ჩვიდმეტი მოსახლე გლეხი ⁄ კოპაძეს წაბლარ ასხევას მთა—ნახევარი. ამ დღესვე გამოეცხადა მეფეს ბერი ლორთქიფანიძე, პიულოცა გამარჯვება და მოახსენა: ეს ოც-და-ხუთი დღე გადის, ციხე შამოკრული მაქვს და გალავანს გარეთ ვერავინ გამოსულა, გარდა ექვსი კაცისა, რომლებიც ასის თავმა მომგვარაო. იმათი წინაპარნი ოდესმე ქრისტიანები ყოფილან და სურთ, რომ ისევ მამა-პაპის რჯულს დაუბრუნდენო. მეფემ ბრძანა მათი მოყვანა. ლორთქიფანიძე მიეძღვა. ტყვეებმა პირველათ თავის წესისამებრ ხელი პირზე მიიდვეს, შემდეგ მიწას პირი დაყვეს, შუბლზე ხელები მიიდვეს და მოახსენეს მეფეს: ქრისტიანობის მიღება გვინდაო. მეფემ ყოველიფერი გამოკითხა მათ. გამოდგა, რომ ერთი მათგანი—გვარათ კვინიხიძე—აჭარიდან იყო, მეორე—გვარათ ქვარიანი—შავშეთის ქვეყნიდან; მესამე—გვარათ ჭოლოშვილი—ასპინძიდან, მეოთხე—გვარათ კიკიანი—ჭანეთიდან, მეხუთე, ინაკავაძე, ჩაქვიდან ⁄ მეექვსე, კეჟერაძე, ქობულეთიდან. ეს კაცები თავის რჯულისაებრ სწავლით განათლებული იყვენ. მეფემ უბძანა მათ: ეგებ გულით არა გსურთ ქრისტიანობა ⁄ შიშმ გაიძულებდესთო? მე ძალას არ გატანთ, გამითავისუფლებიხართ, წადით, სადაც გინდათო. ამ სიტყვაზე დაიჩოქეს თათრებმა და რჯული ქრისტიანობისა ითხოვეს.

მეფემ პაპუნა წერეთელი მისცა მათ ნათლიათ. ჩაიყვანეს თვით მეფის სახლის ოქროს ჩარდახთან და მონათლეს. მეფემ უბოძა მათ აზნაურობა და მამულებიც დაანათლიავეს. ერთმა მათგანმა—ანანია ჭოლოშვილმა—მიიღო ქართული სწავლა და შვენიერი მწერალიც იყო. ბევრი გრამოტები და განჩინებები არის მისი ნაწერი იმერეთში.

როგორც ზემოთა ვთქვით, ქუთაისის ციხე ფიცის კაცებისაგან იყო შემოკრული. ფოთიდან თათრები საზრდოს ველარ აწვდენდენ, რადგანაც ზურაბ მიქელაძე შიგ კრიჭაში უდგათ. დრო იყო, რომ შიმშილით დაღონებულ თათრებზე იერიში მიეტანათ, მით უფრო, რომ სამი-ათასი, კიბე გარედან ციხეზე მისადგმელი, ფიცის კაცებს მზათ ჰქონდათ და მეორე დღეს კიდეც მიადგენ. ბერმა ლორთქიფანიძემ უბძანა ნაფირის დამკვრელს: სანამდი მე გალავანზე არ შევდგე და ნიშანი არ მოგცე, ნაფირი არ დაუკრაო. ჯარსაც ეს ჰქონდა მისგან ნაბრძანები, რომ პირველ ნაფირის ხმაზე ყველა ერთათ გადამხტარიყო გალავანში. მიიდგეს ღამით გალავანზე კიბეები, შეჩერდენ მაღლა, დაჰკრეს ნაფირი და ყოველი მხრიდან ერთ დროს გადაცვინდენ ციხის გალავანში. შეიქნა დიდი ბრძოლა და მზის ამოსვლამდის იბრძოლეს. მოკლეს კიკიანი ფაშა და ჯარიც სრულებით ამოწყვიტეს. ციხეში გამომწყვდეულმა მტრებმა შიმშილის გამო მაინცა და მაინც დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ამ შემთხვევაში იყო ერთი არგვეთის აზნაური, გვარათ ჩიკვაიძე, თავის სიმამრს ავალიანს ახლდა; შეხვდა ხატაველი კატა, რომელსაც ქართულათ ბარგის კატას ვეძახით: გასულიყო ხეზე და ტოტებზე დახტოდა. ჩიკვაიძემ დაანება თავი ომსაც და საშოვარსაც, მორთო

ჭყივილი და იხვეწებოდა: ეს კატა დამაჭერიეთო, მაგრამ რა დროსი იყო და ვინ აყვებოდა, რომ მოხმარებოდა. გამარჯვებულმა ჯარმა ერთათ შეკრიბა ყოველივე საშოვარი და საომარი იარაღი, მოართვა მეფეს, მაგრამ მეფემ ყოველივე იმათვე უბოძა გარდა ზარბაზნებისა. ეს უკანასკნელი იყო ქუთაისის ციხე, რომელიც ეჭირათ თათრებს ხელში და რაღაი ეს აიღეს, კიდეც გაიწმინდა იმერეთი სრულიად თათრებისაგან. დამშვიდდა ქვეყანა და ძლევა-მოსილი მეფე მიეცა სიხარულსა და განცხრომას. ყოველი მხრით მოდიოდენ დიდებულნი და, მორჩილებით თაყვანის მცემელნი, ულოცავდენ გამარჯვებას.

ქუთაისის ციხე საკუთრათ ფიცის კაცებმა აიღეს, ისე რომ სხვა აღარავინ გაურევიათ; ფიცის კაცები იყვენ შემდეგი გვარისანი: თავადი ლორთქიფანიძეები, აზნაურნი: მესხი, ავალიანი, იოსელიანი, ღოღობერიძე, მიქაბერიძე, ყიფიანი, ქორქაშვილი; იაშვილი, უგრეხელიძე, გრიგოლაშვილი და ჭაბუკიანი. ესენი ცხოვრებდენ სოფლათ: ახალბედისეულში, დედალოურში, ცხუკურში, გვაშტიბში, ჩუნეშში, წყალტუბოში, ქვილიშორში, გუმათში, ჯიმაშტოროში, ოფიჩხეთში, ნამახვანში და რიონში. ამ სოფლებს საზღვრავდა აღმოსავლეთით სოფლები: სიმონეთი, ქვაშავა, ნავენახევი, ძევრული ანუ იგივე ძევრი, ჩხარი და ნაქერჯლას მთა; აქედან გაგრძელდებოდა დასავლეთით, ვიდრე დადიანის საზღვრამდის და ხონამდის; სამხრეთით: ვაკე იმერეთი — ქუთაისი და ჭიშურა; ჩრდილოეთით: კვალადვე დადიანის; საზღვარი, ბომბუას ხიდი, გორდი და ლეჩხუმი, ვიდრე რაჭის საზღვრამდის. ამ საზღვრებს შიგნით, ზემო თქმული სოფლები, ისეთი მიუდგომელი ადგილები იყო, რომ

ვაკე იმერეთიდან და ქუთაისიდან ურმის შესვლა არ შეიძლებოდა: სრულებით მთა-გორა და კლდოვანი ადგილები იყო. ვაკეს სივრცით ერთ ქცევა ადგილსაც იშვიათათ შეხვდებოდით გარდა ერთი ადგილისა, რომელსაც ჰქვია გურეშევი. ამ გურეშევის ზემო კერძოთი უძახდენ ერთ-პატარა ნაკვეთ ადგილს ლეკერწას, სადაც იდგა ერთი შესანიშნავი დიდი მუხის ხე, ფიცის კაცნი, ვიდრე თუთხმეტი წლისა, თავისი ყმებით, სამღვდელოებით და ხატებით მათი ეკკლესიისა ამ მუხის ხესთან შეიკრიბებოდენ ყოველ წლობით თუთხმეტ მაისს და იფიცებოდენ ესრეთ: მეფის ერთგული ვიყოთ და თანაც ჩვენი ოჯახების მტრის მტერი და მოყვრის მოყვარეო. გვარებს კი თვითეულათ აღიარებდენ. როდესაც ერთი მათგანი ფიცს ასრულებდა, მისი ყმები უკან იდგენ და ფიცის შესრულების შემდეგ მიდიოდენ, ხატებზე ხელს ადებდენ და იტყოდენ: ჩვენი ბატონი მართალს ფიცავს ამისმა მაღლმაო. და რომ ფიცი გათავდებოდა, გამოვიდოდენ იქვე გურეშევის დიდ შვენიერ მინდორზე. იქ ქონდათ მომზადებული ნეშოს კარვები, ბარგი, ხაბაზები, მზარეულები და ყოველივე ჭამის სამკაული, ვისაც როგორ თავი მოსწონდა. ლოგინებათ ჰქონდათ ნეშო და ზედ გაგებული ხალიჩები და ქვეშ-საგები საზაფხულო. თუმცა, როგორც ბინა ცალ-ცალკე, ეგერვე სადილ-ვახშამიც კერძოთ კეთდებოდა, მაგრამ ჭამათ-კი ყველანი ერთათ დაჯდებოდენ. პირველათ უმთავრესი სასასმოთი უნდა დაელიათ ღვინო და ეთქვათ: „დიდება ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს მეფეს და მის ერთგულს ერთობით ფიცის კაცს, შენდობა ბატონოო“. იყო სიმღერა, ცეკვა-თამაში და გაუწყვეტლი თოფის სროლა. ეს ლხინი გასწევდა, უკეთუ დარი იქნებოდა, ორ კვირეს.

იყო ყოველ დილაობით ყაბახზე სროლა, საღამოს ჯირითი. პირველი ყაბახის გაგზავნის მოვალე იყო მეფე; აგზავნიდა პტყლათ გაჭედილ ვერცხლს. ამის ჩამოგდების შემდეგ დასვამდენ ყაბახათ ქაშანურს; მაგრამ ყოველი ოჯახიდან იყო მოტანილი ნაცვლათ ყაბახისა ვერცხლის იარაღი, ე. ი. აზარფეშა, თასი და დიდროვანი ვერცხლის სტაქნები და ვის სახელზედაც ყაბახი დაისმოდა, მისი მიტანილი ვერცხლეულობაც იქვე ხის ძირში იდვა. ვინც ყაბახის ქაშანურს გატეხდა, ვერცხლიც მისი იყო. ფიცის კაცს დიდი გავლენა ჰქონდა მეფეებთან, ასე რომ უკეთუ ვისმე მეფე გაუწყრებოდა, შერისხული მიმართავდა ფიცის კაცს და თუ შეასწრებდა ფიცის კაცის საზღვარში, მდევარი ველარ შეყვებოდა; რა კი ფიცის კაცს მიენდობოდა, მეფე ძალით ველარ გამოიყვანდა. შეიკრიბებოდენ ერთობით ფიცის კაცნი, ესენი ცოტანი არ იყვენ: ათასი მეომარი სახელოვანი გამოვიდოდა მარტო თავად-აზნაურნი და მათი ყმები-კი, რა საკვირველია, ზედ მეტი იყო. ფიცის კაცნი, თავის ყმებით შეკრებილნი, ერთ ადგილას ქუთაისის მახლობლათ დაბინავდებოდენ, მიუგზავნიდენ მეფეს მოციქულს და მოახსენებდენ, რომ ეპატიებიათ მათთვის ის დამნაშავე კაცი. არ იშუამდგომლებდენ მხოლოთ მეფისა და ქვეყნის მოღალატეზე; სხვებს კი, როცა შენანებულს ნახავდენ, თავის კალთას აფარებდენ და მეფეც იძულებული ხდებოდა მიეტევებია. ფიცის კაცებს, მეტადრე ომის დროს, დიდი ერთობა ჰქონდათ: ომში ერთათ შედიოდენ,—ერთი მეორეს ვერ დატოვებდა, გაწყდებოდენ ერთათ და გამოვიდოდენ კიდევ ერთათ. როგორც დაჭრილს არ დატოვებდენ, ეგრეთვე არც მკვდარს. და თუ ვისმე შენიშნავდენ, რომ ხელ-გამოუღებელი და ან შეშინებუ-

ლი მოკვდა, იმას აღარ მარხავდენ და არც შინ წამოიღებდენ, მინდვრათ დატოვებდენ მხეცების შესაჭმელათ. უკეთუ ამისთანა კაცი ცოცხალი დარჩებოდა ომის დროს, იმაზე იტყოდენ: ფიცის კაცს უღალატაო და აღარც შეიძლებოდა დაეყენებიათ მათ საზღვარში, აყრიდენ და გადაასახლებდენ, მაგრამ მის ადგილ-მამულს კი ფიცის კაცებივე შეიყიდდენ ღირებულ ფასათ.

პირშავი ერისთავი დიდ ხანს არ მოკარებია მეფეს, სანამ არ დარწმუნდა, რომ ვეფე სახუმროთ აღარ გაძლიერდა და მორჭმით ზის ტახტზეო. მაშინ კი წამოვიდა შვილებიანათ მეფის მისალოცავათ, წყვილი ირემი და საქებარი სახორცეები წინ-დღით მოართვა. მეორე დღეს მოვიდა, ბინა უჩვენეს, გადახტენ, ტანისამოსი გამოიცვალეს და იახლენ მეფეს. ორი დიდებული მეფის კარის კაცი წინ მიუძღოდა. მეფე აუდგა. ერისთავებმა კვანტ გადადებით თაყვანი სცეს და გაჩერდენ. — „ყოვლად ძლიერო მეფეო იმერეთისა, დიდო სოლომონ! — ჰკადრა როსტომმა — მოგილოცავ გამარჯვებას, რათა ძლევა შემოსილმა მარჯვენემა თქვენმა დათრგუნა წინააღმდეგნი მტერნი თქვენნი ქვეშე ფერხთა თქვენთა. თქვენ დააგვირგვინეთ სამეფო თქვენი ესე, ვითარცა წინაპარმან თქვენმან ლეონ ბაგრატოვანმა, რომელსაც დაადგა თვით ანგელოზმა თავსა ზედა ზეგარდამო ხელთუქმნელი გვირგვინი, ვითარცა უბრძანა მაცხოვარმა მოციქულსა პეტრეს: შენ ხარ კლდე და ამა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო. ეგრეთვე შენ ხარ კლდე გმირობისა და სიმტკიცე ქრისტიანობისა. თქვენ შეიმოსეთ ძალი ძლიერი, გაანათლეთ იმერეთი და ამიერიდან მაჰმადიანის მძორებითა აღარ შეიბილწების ნათელ-ღებული სამშობლო ჩვენი. ვთხოვ, ზეგარდმო

განგებას ესრეთ განაგრძოს დღენი თქვენი მრავალ წელს
და შემდეგ თქვენი მეფობისა მემკვიდრეთა თქვენთა ასე-
თივე ძალა და დიდება შეიმოსონ, ვითარცა თქვენ!“
მეფე თვალებში შეჩერებოდა ბ ბოლოს ბრძანა ცივათ: რო-
სტომ ერისთავო, ღმერთსა ვთხოვ ის შემასრულებიოს შე-
ნთვის ბ ჩემი სამეფოსთვის, რაცა მსურდეს ბ გულში მედვა-
სო. დარბაისლებმა დასძახეს ამინ. პაპუნა წერეთელმა-კი ორ-
ჯერ გაიმეორა ამინ, ამინო. ერისთავებმა კვალადვე თა-
ყვანი სცეს. მეფემ ფეხი წინ წამოდგა, როსტომმა გუ-
ლზე აკოცა, მეფემ თავზე, შვილები-კი ხელებზე ეამბო-
რენ მეფეს. ბრძანა მეფემ სელის მოტანა და გვერდით
მოისვა ერისთავი. შვილები-კი მოშორებით კერძო ად-
გილას დასვეს. ისეთი რამ სანახავები იყვენ ერისთავები,
რომ უცნობი ვინმე როსტომს მეფეთ ჩათვლიდა და მის
შვილებს მეფის შვილებათ. დიდ ხანს დარჩენ მეფესთან
ერისთავები, ერთათ ისადილეს და სადილის შენდეგ-კი
გავიდენ ბინაზე. შვილებმა უთხრეს როსტომს: ძალიან
ალერსიანათ გვეპყრობა მეფეო! მამამ მწარეთ გაიღიმა:
თქვენ ვერ ატყობთ, თორემ ეგ ალერსი რისხვაზედაც უა-
რესიაო. პაპუნა წერეთლის ამინ-ამინი კარგს არაფერს
მოასწავებდაო და თუ ჩვენ თავი დღეს არ დავაძვრინეთ
როგორმე, ცუდათ არის ჩვენი საქმეო. შორს გამჭვრე-
ტელმა ერისთავმა პაპუნა წერეთელი და ორი დიდებუ-
ლი გაუგზანა მეფეს და თხოვა: რადგანაც სიშორისა გა-
მო თქვენთან ხშირათ ხლება, სამსახური და ერთგულე-
ბის გამოჩენა არ შემიძლია, გთხოვთ თქვენ მიიღოთ ჩე-
მი ყოველივე სამკვიდრო: ბარაკონში ციხე და სასა-
ხლე, ამბრალეურში კოშკები და სასახლე, სევას ციხე
და სასახლე, ონში ციხე, სასახლე და თვით პატარა ქა-
ლაქიც. ამასთანავე ყოველი ჩემი რაჭის სამფლობელო

აზნაურ-გლეხებით და სამაგიერო აქ მახლობლათ სადმე მიბოძოთო. მეფეს ეს ამბავი დიდათ იამა. აღუთქვა სამაგიეროს ბოძება. როსტომს ვეზირობა უბოძა, მის შვილს გიორგის სარდლობა და მეთოდეს—დივანბეგობა. მერე შემოიკრიბნა ვეზირნი და ჰკითხა, თუ რა მიეცა შენანებული ერისთვისათვის ამ დათმობის სამაგიეროდ. მათი რჩევისამებრ დაიბარა მდივანი და მისცა მას ღრამოტის შედგენაზე თანაშემწეთ ოტია ჩხეიძე: „ჩვენ მეფეთ მეფემან იმერეთისამან სოლომონ პირველმან და დედუფალთ დედუფალმან მაკრინემ ესე წყალობის წერილი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს დიდებულ თავადს როსტომ ერისთავს, შვილთა და მომავალთა თქვენთა, ასე რომ გიბოძეთ ყმათ სოფელს გეგუთში მცხოვრებნი გლეხნი ყოველივე გვარისანი; გარდა ამისა სოფლები: პატრიკეთი, უკანეთი და მესხეთი, რაც ამ სოფლებში მცხოვრებნი გლეხნი და აზნაურნი არიან საჩემო—ყველანი შენ გიბოძეთ; გარდა ამისა სამოსახლოთ გიბოძეთ გეგუთს თამარ მეფის ნასახლი, ციხე და ეკკლესია; რაც ნაკლეულობა აქვს, მე უნდა გავაკეთო. გარდა ამისა სამი ათასი ქცევა ირგვლივ შენი მოსახლობისა გიბოძეთ; გარდა ამისა საშეშეთ საღორიას ტყე—ქუთაისიდან სამხრეთით ხანის წყლის მდინარის ღელემდის, აღმოსავლეთით წყალ წითელას მდინარის ღელე, დასავლეთით რიონის მდინარე. გიბოძეთ მთა საჯოგეებათ—სახელწოდებული „ტიტველათ“. აღმოსავლეთით ქართლის საზღვარი, დასავლეთით ჩიჯავაძის საზღვარი, სამხრეთით ახალციხის საზღვარი, ჩრდილოეთით სოფლები. ესე ზემოხსენებულნი აზნაურნი, გლეხნი მიწა-წყალ-მთებითურთ შენთვის გვიბოძებია. უკეთუ ჩვენი ერთგული და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქნები, ესე წყალობა შენ და

არცა შენს შვილსა და მომავალს არ მოეშალოს არაოდეს ჟამსა. აწ არიან სიგელისა ამისა მოწამენი ვეზირნი და დიდებულნი კარისა ჩემისანი: წერეთელი პაპუნა, აბაშიძე პაატა, მიქელაძე ზურაბ, წულუკიძე ბერი, ჩხეიძე ოტია, ლორთქიფანიძე ბერი, თამაზა მესხი, მამუკა მდივანი, პაპუნა და ქაიხოსრო აბულაძეები, თანდარუხ იოსელიანი და დარბაზისა ჩემისა ერნი". ეს ღრამატა ხელ ჩართულ ბეჭდითურთ უბოძა ერისთავს პაპუნას ხელით. ერისთავი გამოვიდა თავის შვილებით, მივიდა მეფესთან, კვანტ გადადებული მადლობა შესწირეს და მოახსენა, რომ მას მისცეს მეციხოვანები და ციხეები ჩაიბაროს. შინ წასვლის ნებაც გამოითხოვა. მეფემ დასტური უბოძა და ციხეების მისაღებათ მეციხოვანები ბასილა და კვირიკა იამანიძეები გაატანა. გამოეთხოვა ერისთავი მეფეს და წავიდა რაჭას. ნაქერალას მთის გვერდზე შემოხვდა ერთი რაჭველი აზნაური, მეფესთან მომავალი. ერისთავმა ამ მგზავრს გაატანა წიგნი მეფესთან და უბრძანა: თუ შენი ხელით არ მიეცი მეფეს, რაჭის ქვეყანას გამოეთხოვეო. მან დიდი შიშით მოახსენა: მიტანის დროს ორივე ხელები რომ მომჭრას მეფემ, მაინც მივართმევო. წიგნში ასე ეწერა:

„შენსა მოვედ და შევამკობ შენსა ტანადობასა,
შენი უდასტურობა-კი არდვეგს ბატონ-უმობასა".

ეს წიგნი იმ აზნაურმა მიართვა მეფეს. მეფემ წაიკითხა და პაპუნა წერეთელი შემოიხმო და ჰკითხა: ჩემო პაპუნა, როსტომ ერისთავმა ხომ არ დაგვატყუილა, რომ ხელიდან გაგვძრომოდაო? პაპუნამ შორს დაიჭირა, მაშინ გადასცა მეფემ წიგნი და წააკითხა. წერეთელს კიდევ არ ეჯერა და ამბობდა: რა ვიცი, რაც ის გახარებული მიდიოდაო!—გახარებული მიტომ წავიდა, რომ ჩვენ

მოგვატყუა, ხელიდან გაგვიძვრაო — ბრძანა მეფემ. და თუ ასე არ იყოს, ამ წიგნის მოწერას ვერ გაბედავდაო. გზაზე ერისთავმა უთხრა შვილებს: „ასე რომ არ მოგვეხერხებია, ჩვენი საქმე ცუდათ იყო და უთუოდ დაგვამარცხებდენო. ვერ შენიშნეთ, როგორ წვრილ-წვრილათ იკრიბებოდენ ფიცის კაცები: ლორთქიფანიძეები, მესხები, ავალიანები, იოსელიანები და სხვანიო. ოთია და მისი ძმა ივანეც ცალ-ცალკე მოვიდენ, რომ იქვში არ შეეყვანეთო. — „ეგ ორი ძმა მესხი და არჩილ ბატონიშვილი სწორეთ რომ სასაშიშრონი იყვენ და სხვების-კი რა მოგახსენოთო“ — ჩაილაპარაკა მეთოდემ. — „შენმა გაზდამ, არც სხვები იყვენ მაგათზე ნაკლები! ბევრი უკეთესებიც არიან იმერეთში, მაგრამ ერთხელვე მაგათ დავარდნიათ ვაშკაცობის სახელი და ის არისო“ — მიუგო უმცროსმა ძმამ გიორგიმ. ამ საუბრით მივიდენ რაჭაში თავის სასახლეში, სოფელს ბარაკონს. ბასილა და კვირიკა იამანიძეებს ციხის გასაღების მაგიერათ შემდეგი წიგნი გაატანეს მეფესთან:

„ესე ასრე არ იქნების, ბასილა და კვირიკაო!
ციხეს მარომეგს, მინდორს მაძლევს, დავკდე უნდა ვირიკაო?!
წადით, უთხართ თქვენსა მეფეს: მე გახლავარ დიდი როსტომ!
მე ერთგულათ გიახელი, მიპირობდი ფალატს რატომ?
სიტყვით გითვლი, წიგნსაცა გწერ, ხელი აიღე რაჭაზედ!
მიხვდი, რომ ადარ გმორჩილობ, სწორი გიდგები ძალაზედ!
რაჭის ბეგარას ავიღებ, არ გერიდები ამაზედ.
უბაწროთ ვირი დამაბით დამტვრეულ ჩელტის ბაგაზედ?
თუ მიპირებ ამოწყვეტას, აწ მობრძანდი, რადას ეოვნი?
ციხე შიდგას მაღალ კლდეზე და ზედ მოკვრით ბარაკონი.
ხიდის კარში მცველები მყავს და კოშკები სამაგრონი.
ჩემი იყო, ქვეც წაგართვი კუდარო და რაჭა-ონი.

ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი,
თამარ მეფის მამობილსა ყმანი ჰყავდა ორი ბევრი.
მე ვარ მისი ტომისაკან, ვერ მატირებ, ტუვილა მდერი,
გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია შენი გერი“!

ეს წიგნი იამანიძეებმა მისცეს სახლთხუცესს. იმას არ უნდოდა ეჩვენებია მეფისათვის, მაგრამ დაფიცვაც ალარ შეიძლებოდა და მიართვა. ამ წიგნის წაკითხვაზე მეფეს ცეცხლი შემოედვა. მოიხმო სარდალი წულუკიძე და უბრძანა: წადი ახლავე ბარაკონში, ერისთვები გაწყვიტე ცოლ-შვილით, ციხეები, კოშკები და ყოველივე მათი შენობა დაწვი, დაამტვრიე ხიდის კარის კოშკები!.. თუმცა სალი კლდე არის გამოკვეთილი, მაგრამ წაიყვანე ოსტატები, მიეცი ლიღუმი და მოშალე. ერთი სიტყვით ქვა-ქვაზე დაადუღეო!.. ეს რომ დარბაისლებმა და კარის კაცებმა გაიგეს, იუცხოვეს: უჩვენოთ ასე მძიმე საქმე ბატონს ვერ უნდა გადაეწყვიტაო. ერისთავთან ომი როგორ ეკადრება: ერთ მის თავადთან ბრძოლა სირცხვილი არისო! ამას გარდა ერისთავთან, იმის სიმაგრეების პატრონთან, არც ასე ადვილია შებმაო. ყველანი ერთად შევიდენ მეფესთან და თაყვანი სცეს ჩვეულებრივ. მეფე ტახტზე ბრძანდებოდა; შუბლზე რაღაც მწუხარების ხაზი ჰქონდა გადაკრული. მეტი სიფიცხის გამო თვალთაგან ცეცხლს ყრისო, იტყოდი. დიდებულნი თავდახრილი შეყურებდენ, პირდაპირ თვალს ვერავინ უმაგრებდა და საძნელოც იყო. უბრძანა დაჯდომა. ჩამწკრივდენ თავ-თავის ადგილებზე. წერეთელმა მდივანს გადასცა ერისთვის მოწერილი. მდივანმა წაიკითხა. ყველანი განცვიფრებაში შევიდენ და იწყეს დარბაზობა.

ბაბუნა. მეფემ გადაწყვიტა ჯარის გაგზავნა, გაწყვე-

ტა ერისთვების, დაქცევა და დაწვა ყოველი მათი შენობისა, — თქვენ რას იტყვით?

ᲠᲐᲢᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ. ღირსია ყოველ გვარ უბედურების მიყენებისა! როგორ გაბედა ან დატყუება და ან ამ წიგნის მოწერა? დიახ, კარგად უნებებია ბატონ მეფეს.

ᲑᲔᲠᲘ ᲬᲣᲓᲣᲯᲘᲫᲔ. რადგან ნაბძანები მაქვს საომრათ წასვლა, ვერას ვიტყვი.

ᲑᲔᲠᲘ ᲓᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ. ადგება და მეფეს შეჰყურებს.

— რას გაჩერდი, ბერო?

— მეშინია მოგახსენო.

— ნებას გაძლევ, თქვი.

— ერისთავი შენი ყმა არის. საკადრისი ᲐᲠ არის ერთი თავადისათვის აგრე აჩქარება, ბატონო მეფე! მასთან ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ სამასი კაცი იმერეთიდან, ოდიშიდან და გურიიდან თან ახლავს. ესენი ყველა კარგი ოჯახის შვილები და ძლიერ მარჯვეები არიან. ორასი კაცი რაჭველი, ოსი, ჩერქეზები და სვანნი ახლავს. ამას გარდა თავისი საკუთარი ოჯახის გამგე და მოსამსახურეებიცა ჰყავს ყველა იარაღს ქვეშ. ხიდის კარში კოშკები, ორივე მხრით სალი კლდეა გამოკვეთილი. რიონის ხიდის საძირკველის თავები ორივე მხრით კოშკების კარებზე არის მიდებული. ორმოც-ორმოცი კაცი თითოში ჰყავს ყარაულათ. ერთი ათასს დაამარცხებს. ამ-ბრალეურის აღება კი არ არის საძნელო, თუმცა ᲯᲐᲠᲘ იქაცა ჰყავს კოშკებში, მაგრამ რადგან გაშლილი ადგილი არის, როგორც ხოტევიდან დაინახავენ მიმავალ ᲯᲐᲠᲐᲡ, სასახლის კოშკებს დატოვებენ და მიემატებიან ხიდის კარის ყარაულებს. ეს კოშკები ისე მიუდგომელია, რომ ზარბაზანი არ მიუდგება და თოფიც არ მოეხერხება და იმათ კი ხელის გულზე ეყოლებათ მიმსვლელები. ამ ხი-

დის კარს გარდა შესვლა არ შეიძლება. ონის მხრიდან რომ მოიაროს ჯარმა, ცალი მხრით რიონის წყალი მიდის და ჩაივლის ციხის და სასახლის ძირზე და მეორე მხრით სალი კლდე მიდის, შუაში ვიწრო გზა მიყვება. ციხე მისთანა ადგილას აქვს, რომ არც ონიდან მიმსვლელს და არც ხიდის კარიდან მიმსვლელს არ ააცდენენ ზარბაზნის ტყვიას. უეჭველია, დიდ ზარალს მოგცემს ერისთავი და შევრცხვებით...

ზურაბ მიქელაძე. ეჰ, თუ ერთ თავის ყმას მეფე ვერ მორევია, რაღა მეფობა ქვია ამისთანა მეფობას? ყმა კი არა, ამხანაგი ყოფილა და ის არის!

ოტია ჩხეიძე. ერისთავის დასამორჩილებლათ რომ რამდენიმე ათასი თავად-აზნაური დავკარგოთ, რა მოგება იქნება?

თამაზა მესხი. თუ ერთი თავადის დამორჩილება ჩვენს ქვეყანაშივე ასე გაგვიძნელდა, გარეშე მოსაზღვრე მტერი რაღათ ჩაგვაგდებს და არც ჩასაგდები ვიქნებით!

მაშუკა მდივანი. ასეა ბრძენთაგან ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესო, ვინც კი მოიგონებსო“. ძალაცა და ხერხიც ორივე შეგვიძლია. რა საქმე იქნება ერთ კაცს თავი შევაკლათ? და ვის? ისევ ჩვენს ყმას! ის შემძვრალა კლდეში ისე, როგორც დათვი სოროში და იქადება! ამას უნდა მოტყუებით გამოყვანა, მერე რაც ეკადრება....

ბაბუჩა აბულაძე. ნათქვამია ესეც: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“. კაცი შემძვრალა გამოქვაბულ კლდეში, შენი ნასროლი ვერას აკლებს და მისი არ აგცილდება. ამისთანა ადგილზე ომს უომრობა სჯობია, ერთხელაც იქნება ისეც ჩაგვივარდება ხელში.

ქაიხოსრო ხუჯაძე. ათი-ათასი მეომარი რომ გაიგზავნოს ერთ კაცზე, სირცხვილი იქნება: ის არ არის მეფე და არც მთავარი. იმისთანა დიდებული თავადები სხვებიც არიან ჩვენს სამეფოში. მისი ძალაა მხოლოთ ადგილის სიმაგრე და რათ შევაწყდეთ? სჯობია, როგორმე აქეთ მოვიტყუოთ.

თანდარუხ იოსელიანი. შეიძლება არც კი შეგვებას, დაგვიტოვოს ციხეები, გადავიდეს საზღვარ გარეთ, შემდეგისათვის მოემზადოს, შეკრიბოს ოსეთის ჯარი, მოიმხროს ჩერქეზის მთავარი—ყიზილყო ბატონი, მისი დიდი მეგობარი. ამას გარდა სვანეთის მთავართან მომძახლეობა აქვს, აფხაზეთის მთავარი ქელეშ-ბეგ შარვაშიძე შვილობილია მისი. ესენი ყველა ჯარს ათხოვებენ, ერთი სიტყვით, ყოველი კუთხით შფოთსა და უკმაყოფილებას აგვიტეხს. არ ივარგებს ჯარის გაგზავნა. ვაცალოთ რამოდენსამე ხანს და მერე მოვიტყუოთ რამე ნაირათ.

ამ დროს მეფის ძმა არჩილ შემოვიდა. გააშინჯეს იმასაც ნათათბირები და იმანაც ასე ბრძანა: მართალია, ჩვენს ყმასთან ბრძოლა საკადრისი არ არის, როცა იქნება, ჩაგვივარდება ხელშიო. მეფე სრულებით გაჩუმებული იყო, ხმა არ ამოუღია. ჯარის კაცებმა თაყვანი სცეს და წავიდენ თავ-თავის სახლებში.

გავიდა რამდენიმე წელიწადი, ეს საქმე სრულებით დაჩუმდა. ეს კი იყო სამწუხარო, რომ თითო ოჯახიდან რამდენიმე სული ზოგი მეფეს ახლდა და ზოგი ერისთავს. ძმა ძმას ველარ ხედავდა, მამა შვილს, შვილი მამას და ნათესავი ნათესავს. ტკბილი მოყვრობა მწარე მტრობათ შეიცვალა და აირიენ ოჯახები რაჭა-იმერეთში. ერთ დღეს რჩევისამებრ ვეზირთა და დიდებულთა

მეფემ შეიხმო ძმა მისი იოსებ ქათალიკოსი და შეჩივ-
ლა: ხომ ხედავ, რომ როსტომ ერისთავი გამიორგულ-
და!.. მასთან ჩხუბი მცხვენია და ისე კი არ მეპუება. რომ
შეინანებდეს, ყოველსავე მივუტევებ, შევირიგებ და და-
ვიახლოვებ, რადგანაც ყოველ გვარათ შესანიშნავი კა-
ციაო. მშვიდობის მოყვარე ქათალიკოსმა ეს რომ გაი-
გონა, იამა, მოუწონა მეფეს და შუამავლობაც თავს იდ-
ვა. დაიბარა ქაიხოსრო აბულაძე და დაუყოვნებლივ გა-
ემართა თავის კრებულით და მხლებლებით რაჭისკენ.
რაჭის საზღვარს რომ მიაღწია, ერისთავმა შეიტყო და
მოაგება თავად-აზნაურები და ერთი მარქაფა ბედაური,
ძვირფასი უნაგირით და რახტით აკაზმული. მიეგებენ
ნიკოლოზ წმინდის ტაძართან. თაყვანისცეს და გაუძღ-
ვენ, როგორც ჩვეულება იყო. ყველა წინ მიუძღოდა,
გარდა მეჯინიბისა; ის კი უკან მიდევდა: ცოტა მოშო-
რებით მიყავდა მარქაფათ ძუა-ფაფარ შეღებილი ულაყი.
მიაღწიეს რა ამბრალეურის სასახლეში, დაკრეს ეკკ-
ლესიის ზარა და კოშკებიდან ჯაზაირები დაცალეს.
იქ დახვდენ ერისთვის შვილები, იდგა ჯვარით თავში
კარის მწირველი მისი სასახლის მოძღვარი იოანე—მი-
სივე აზნაური, გვარათ ბაქრაძე. გადახტა ცხენიდან ქა-
თალიკოსი, მივიდა ჯ ჯვარს ემთხვია. წინამძღვარმა შესხმა
მოახსენა: „მღვდელ-მთავრობისა კვართითა შემკობილმან
ღვთის მეცნიერათ ქადაგე, შენ, სახარება სასუფევლისა,
იოსებ, და მართლმადიდებლობისა სწავლანი აღმოთ-
ქვენ და ეკკლესია განამდიდრე მოძღვრებითა და
აწ განათლებულათ მამისა თანა ძესა სულით წმინ-
დითურთ ღვთის მეტყველებდეთ და ვადიდებდეთ ყოვე-
ლნი მეუფებასა შენსა, რომელსა ეველრე ცხოვრებათ
და განათლებათ სულთა ჩვენთათვის“. ქათალიკოსმა ჯვა-
რი გადასახა, ერისთვის შვილებმა ხელი მოჰკიდეს, შეს-

ვეს იმ ცხენზე, რომელიც მიაგებეს და გაუძღვენ წინ. ხიდის კართან დახვდენ სამღვდელოება და ხალხი მრავალი საეკლესიო ბაირაღებით. ესენი წინ გაუძღვენ და ჩავიდენ ერისთვის ეზოში. დაჰკრეს დიდი ხმოვანი ზარა— ეს სამღვდელო წესი ანუ პატივის-ცემა იყო სამღვდელოებისა—და ამას გარდა, რადგანაც ეს ქათალიკოსი გვარათ ბაგრატიონი იყო და მეფის ძმა, მეფის წესისაებრ დაუხვდენ: ციხიდან ზარბაზნის სროლა დაიწყეს, ჭიშკარს შიგნით ერისთვის ცოლი მოეგება, თან ახლდა ელისაბედ მონაზონი ღვთის-მშობლის ხატით. მოეგება თვით ერისთავიც, უამბორეს და ხელ-მოკიდებული მივიდენ ეკკლესიის კარებთან. აქ მოართვეს მანტია და კვერთხი. ერისთვის შვილებმა გალობით შესხმა მოახსენეს: „იესო მთავარო-მშვიდობისა მოვიდა დღეს“ და სხვანი. დაჰკრეს დიდ-ხმოვანი გუსლი. მგალობლებმა ზედვე კილოთი დაიწყეს: „უფალო ღაღად ვყავ შენდამი, ისმინე, ისმინე ჩემი, უფალო!“ შევიდენ ეკკლესიაში, ხატებს ემთხვია, მერე საკურთხეველში—ტრაპეზს და გამოვიდა, ორივე ხელით ჯვარი გადასახა ჯარს და მერე შებრძანდა ერისთვის სახლში. საუბრის დროს ქათალიკოსმა სიტყვაში გამოურია, რომ დადიანისა და გურიელისაგან ნამეტანი მორჩილება არის მეფისადმიო: ცხენზე შეჯდომის დროს ერთმა აღვირი უნდა დაუკავოს და მეორემ უზანგი უნდა დაუწიოსო. მიხვდა ერისთავი და უპასუხა: „ვიცი, თქვენო მეუფებავ, ყველანი თავადნი და დიდებულნი ამ წრეში უნდა იდგენ, რადგან მეფობა წარმოადგენს გარეშე მოუწერელ უფლებას თვისთა ქვეშევრდომთა ზედაო.“—„თუ იცი, მაშ შენი ურჩობა რაღას ნიშნავსო?“— განაგრძო ქათალიკოსმა—შენც კარგათ იცი, კანონში წერია: უკეთუ მეფეს მეფობა არ გაუვა, უნდა დატო-

ჭოს მეფობა მისი და შენ-კი ერთი დიდებული თავადთაგანი არ ემორჩილები. ეს სამარცხვინო საქმე არის მეფისათვის: გარეშე მტრები რომ გაიგებენ ამას, შემოესევიან სამეფოს და ქრისტიანობა შეირყევა. მართალია, შენი დამორჩილება არ გაუჭირდება მეფეს, მაგრამ ბევრი უბრალო სისხლი დაიქცევა ამას ერიდება. როგორც სულიერი მამა, გირჩევ, დაფიქრდი ამაზედო.“ ერისთავმა თავი იმართლა: „მე ვიახელი მეფეს, ჩემს გულში ღალატი არ ყოფილა.“ — „ნუ გავიწყდება ხრესილის ომი, როდესაც მეფეს უმუხთლე და დაატყუეო“ — გააწყვეტია სიტყვა ქათალიკოსმა, მაგრამ ყოველივე უნდა დაივიწყოთ, რადგანაც ქვეყნისათვის საჭიროა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება, — მე შეგარიგებ მეფესო“. როსტომ ერისთავმა სიხარულით თანხმობა განაცხადა, მხოლოთ იმ პირობით კი, რომ ქათალიკოსს ეკლესიაში ბარძიმზე დაერწმუნებია ერისთავი. ქათალიკოსმა აღუთქვა და რომ მეფის თანხმობაც მიეღო, გამოეშურა მეფესთან ქუთაისისაკენ. მეფემ რომ ერისთავი ვერ ნახა მოყვანილი, დიდათ ეწყინა. ქათალიკოსმა ყოველიფერი დაწვრილებით უამბო და დაამატა: „ცხადია, რომ მხოლოთ სიკვდილის ეშინიაო“. მეფემ გაიღიმა: გაძლევ სიტყვას და ვფიცავ შენს ხახულისა ღვთის-მშობელს, არც ის და არც მისი შვილები არ მოვკლა და ისეთი პატივისცემითაც მივიღო, რომ საარაკოთ დარჩესო. ამ სიტყვების შემდეგ ხელ-მეორეთ წაბრძანდა ქათალიკოსი რაჭას და ბარძიმზე ხელის დადებით დაარწმუნა ერისთავი. შეიქნა დიდი სიხარული. დიდი ხნის დაშორებულები აწ კი ფიქრობდენ თავის ნათესავებისა და მოყვრების ნახვასა და შერიგებას. ამ დღესვე დაიბარა ერისთავმა ციხის მოურავი ალი ენგიჩარი და იმას ჩააბარა ყველა ციხეე-

ბი. ეს ალი ენგიჩარი სტამბოლელი იყო — დიდი ხნის კაცი, მაგრამ ოცდა-ათი წლის კაცათ თუ ჩაითვლებოდა. ოცი წლის რომ შესრულებულიყო, ასის თაობა მიეცათ, მაგრამ გულ-უმაძღარ ახალგაზდას მეტი მოენდომებია, მით უფრო, რომ ენგიჩრების ამბავი გულში ჩაჭროდა. ერთ დროს ენგიჩრებს დიდი ძალა ჰქონდათ სტამბოლში: ხონთქარს ხან აიყვანდენ ტახტზე და ხან გადააგდებდენ. ვინც კი კაკგი გამოვიდოდა მათ სამეფოში, ყველა ენგიჩრათ მიდიოდა და ამ გვარათ ენგიჩრების რაზმი დღითი-დღე სქელდებოდა. მათი თავ-გასულობა უსაზღვრო იყო. უკანასკნელ ენგიჩარს რომ ეთხოვა პირველი დიდებული კაცის ქალი, უნდა დათანხმებოდენ; უარს ვინც გაბედავდა, შეიკრიბებოდენ ყველა ენგიჩრები ერთათ, დაესხმოდენ თავზე ურჩს, აიკღებდენ და ქალს-კი მათ ამხანაგს მიგვრიდენ. გზაზე მომავალ ენგიჩარს ხელი ხმალზე ედვა და ვინც წინ შემოეყრებოდა, თუ ნებით არ გადაუხვევდა, ვინც უნდა ყოფილიყო, თავს გააგდებინებდა.

ერთმა ახლათ ტახტზე აბრძანებულმა ხონთქართა-განმა ველარ აიტანა მათი ძლიერება, მოიტყუა ყველა და ღალატით ამოწყვიტა. ეს ამბავი რომ ჰქონდა გაგონილი ახალგაზდა ალის, მოინდომა ძველი დროის აღდგინება და ახალი ენგიჩრების გაჩენა. შეუტყვეს შეთქმულებს და ბევრი მათგანი ჩამოახრჩვეს. ალი ასის თავმა-კი მოასწრო გადავარდნა. დაუწყეს დევნა. ოცდა-თუთხმეტ წელიწადს გადავარდნილი იყო, იმალებოდა სათათრეთშივე და ბოლოს ერთი მისი ნათესავი კიკიანი ფაშა რომ დანიშნეს იმერეთში მყოფ ჯარის უფროსათ, გადმოვიდა და მოენდო მას. ფაშამ მისი მეფის მოღალატის შენახვა რომ ვერ გაბედა, როსტომ ერისთავს გა-

უგზავნა. ერისთავმა მიიღო და ციხეები ჩააბარა. დიდ პატივში ჰყავდა და ალი ენგიჩარიც მიეთვისა, აღარ შორდებოდა და მეციხოვნეებიც გამოუზარდა. აი, ეს კაცი დატოვა ერისთავმა მოადგილეთ და თვითონ-კი მეფეს ეახლა. მეორე დღეს სადილი ტყიბულში ჭამეს; იმ ღამეს ქაიხოსრო აგიაშვილის საზაფხულო სადგომში დაბინავდენ ცუცხვათს; იქიდან კი შეფეს უნდა ხლებოდენ ვარციხეს. ერისთავის მგზავრობა ესრეთი იყო: ბარგს, სამზარეულო იარაღს, პურს და ღვინოს ასი ცხენი და ჯორი უნდებოდა. სადაც დაბინავდებოდა, იქვე უნდა გაკეთებულიყო ხარჯი. თანვე მიქონდათ შუაზე გახერხილი თორნეები და მალე გამართავდენ ხოლმე. უკეთუ ხსნილი იყო, ჯოგათ მირეკავდენ სახორცეებს. ახლაც ამ რიგათ მოგზაურობდა. მეფე დიდი ჯარით მიეგება და, ცოტა არ იყოს, ერისთავს გაუკვირდა ეს სიმდაბლე. ერისთავებმა ხელზე უამბორეს მეფეს და მხლებლები-კი დამწკრივდენ, დაიჩოქეს და ისე თაყვანი სცეს მეფეს. აქ შეიქმნა ერთი აღდგომის ლიტანიობა. დიდი ხნის უნახავი ძმები ერთმანეთს ეხვეოდენ, კოცნიდენ და ტიროდენ. ზოგმა მამა ნახა, ზოგმა შვილი და ზოგმა ძმა. ჯარმა თოფის სროლის ნება გამოითხოვა. მეფემ დასტური ბრძანა. სულ სროლით მივიდენ ვარციხეს, მაგრამ ერისთვის ჯარისაგან უფრო ფიცხელი თოფის ხმა ისმოდა, რადგანაც სვანური წამალი ქონდათ; თვითონ ერისთავი თავის სასახლეში აჭრევინებდა. ვარციხეს ერისთავს სახლები მიუჩინეს, მაგრამ არ ისურვა, რადგანაც ნაბდის კარვები ჰქონდა საკმაოთ წამოღებული ჯარისთვის და ერთიც დიახ დიდი და ძვირფასი ნაბდის კარავი სარკმლებიანი თავისთვის და თითონაც იქ მოისვენა შვილებთან ერთათ. ერისთვის ჯარს თავისი ხარჯი ჰქონდა,

მაგრამ მეფეც აძლევდა. ერისთავი-კი შვილებიანათ ყოველ დღე მეფის იჯრაზე იყო და მხოლოთ შემდეგ ბრუნდებოდა ხოლმე ბინაზე. ოც დღეს ამ ლხინსა და შექცევაში იყვენ. ერთ ღამეს შეკრიბა მეფემ საიდუმლო კარის კაცები და გამოუტყდა: „ვერ ხედავთ, რა სიფრთხილით გვეკიდება ერისთავიო? მაგის გული არ გასწორდება, კიდე ბევრს ცუდს შეგვამთხვევს და დრო არის, ქვეყნის მოღალატეს ახლავე საკანონო მოვახდევინოთო!“ დიდ ხანს ითათბირეს კარის კაცებმა, მაგრამ ერთმანეთს ვერ დაეთანხმენ. არჩილ ბატონიშვილი ბრძანებდა: მე გიორგის მიმაჩემეთ, რადგანაც დიდი ვაშკაცია და სხვა თქვენ იცითო. პაპუნა წერეთელი ურჩევდა, რომ ოთია და ივანე მესხიც მოეწვიათ. ბერი წულუკიძე და ზურაბ მიქელაძე ამბობდენ: ხელ-ცარიელი არც ისინი დაგვრჩებიან: ერისთვის ჯარი ხელს გამოიღებს დი ბევრი სისხლი დაიღვრებაო. თამაზა მესხი შებმას თხოულობდა. მამუკა მდივანი წინააღმდეგი იყო. ბოლოს წამოდგა პაპუჩა აბულაძე და მოახსენა მეფეს: ხედავთ, ბატონო მეფევ, რომ ამ გვარი რჩევით არა გამოდის-რა! თუ არ გამირისხდებით, მე მაქვს საიდუმლოთ ცოტა რამ მოსახსენებელი და თუ მოგეწონოსთ, მე მომანდეთ მისი ასრულებაო. მეფე დათანხმდა. დაიშალა დარბაზი და დარჩენ მარტო ორი—მეფე და პაპუჩა აბულაძე.

მეორე დღეს დილით ადრე მეფე გაბრძანდა და სეირნობა დაიწყო; ცოტ-ცოტათ ერისთავის ბინისკენ იწია. ერისთავმა რომ დაინახა, მაშინვე მივიდა, თაყვანი სცა ლ მოახსენა: ასე ადრე რათ აბრძანებულხართო?—როგორც მონადირე, კურდღლობას ვარ დაჩვეული, აგერ ოცი დღეა, აღარ მინადირნია; დღეს სურვილმა ამიყოლია და აღარ დამეძინა—ბრძანა მეფემ. ერისთავი ნადირობის

დიდი მოყვარული იყო და კურდღლობაზე რომ სიტყვა ჩამოვარდა, გამხიარულდა. მეფემ ბრძანა: მოდი, ერთი ვქნათო—დღეს გავიდეთ გეგუთს იაშვილისას, საღამოს იქ ვიკურდღლოთ, ხვალ დილით ჩემი კურძუალები ბევრ სეირს გვიჩვენებენ: იქიდან ქუთაისამდე კარგი სანადირო ადგილი არსო. ჯერ ხომ შენ არ გინახავს ბროწეულას კურდღლები, თუ რა ცქვიტნი არიანო? თქმა და ასრულება ერთი იყო. განაძრახა პაპუნა წერეთელი და წინ-და-წინ გაგზავნა იაშვილისას. მეფეც მალე მიბრძანდა სანაოზე. რადგან ეს რიონი მეფის სახლის წინ მიმდინარეობდა, ნავით უნდა გასულიყვენ. პირველათ მეფე გაბრძანდა, მთელი მისი ხლებულებიც გაიკრიფენ. მეფე მაშინვე იაშვილისას წაბრძანდა. შემდეგ როსტომ და მისი შვიდი შვილები და რვა აზნაური, რომელთაც ბატონუბის თოფები ეჭირათ, ჩასხდენ ნავში და გავიდენ გაღმა. პაპუჩამ მენავეებს მიაძახა: ჩქარა, აბა თუ გიყვარდეთ, ბატონი მეფე, სანამ ერისთავი არ მიბრძანდება, მანამ სადილს არ მიირთმევსო. პირველათ ცხენები მოართვით ერისთავებს და შემდეგ ჯარის გამოყვანასაც ნულარ დააგვიანებთო. მენავეებმა ნავი გააქანეს, ატაკეს ჯილეს და გადააბრუნეს. მენავეები გადაცვივდენ წყალში და როგორც კარგი მცურავები, ყვინთვით წავიდენ, ზოგმა კმედოს ცურვით მიმართა და ზედ ჩამოკიდებულ ხის ფესვებს დაეკიდა. შეხედეს, რომ ნავიც დაიღუპა და მენავეებიც დაიხრჩვენ. აბულაძემ დაუძახა ერისთვის ჯარს: ქუთაისზე მოიარეთო; ერისთავს კი ასე მოახსენა, რომ თქვენთვის ცხენები უნდა დავიბაროთო. რამოდენსამე ხანს შემდეგ მოუვიდათ იაშვილიდან ცხენები. შეჯდენ და წავიდენ. ერისთავს ეგონა, რომ, ან მეფის საჯდომ ცხენს გამოუგზავნიდენ და ან ხუცისას მაინც. მაგრამ რომ ვერ

ხედავს, არ მოსწონს პატივის-ცემა და ფიქრობს: ვაი, თუ მიპირებდენ რამეს, მაგრამ ქათალიკოსი ბარძიმს როგორ უღალატებდაო! ამ მოგზაურობაში ძალიან დიდი ხის წვეროდან სკვინჩამ დასძახა. გიორგიმ თოფი მოთხოვა თავის აზნაურს, ესროლა ცხენ-და-ცხენ, თავი მოწყვიტა და სიცილით თქვა: ყველა ჩემი მტრისათვის ასე მექნასო! როსტომ ერისთავი ფიქრებისაგან იყო წაღებული და ხმას არ იღებდა. იაშვილისას რომ მივიდენ, გადახტენ. ჭიშკარში შესვლისათანავე მიეგებათ რამდენიმე კაცი, ვითომ პატივის საცემლათ. ერისთავებმა გამარჯვება უბძანეს და მიმართეს მეფისაკენ. ისინი უკან მოექცენ და მოულოდნელათ თითოს ოთხ-ოთხი კაცი ეცა. ესენი წინათვე არჩეულები იყვენ, როგორც მარჯვე და ღონიერები. როსტომი სხვა შვილებით მალე დაიმორჩილეს, გიორგი-კი გაუძალდათ: ორი კაცი ცალი ხელით დასცა; ერთ მათგანს, ჯიმშელა ორჯონიკიძეს, რომელიც იკვეხდა: გიორგიზე მომხმარე რათ მეჭირვებაო, დაჰკრა ხანჯალი და შუა გააპო. შეუტია მეფეს. მეფე შუა ეზოში იჯდა. გიორგის ორი ახოვანი კაცი ზურგზე მოეკიდა, სხვებმა მკლავში ტაცეს ხელი, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერეს, თრევით წაიღო ისინი და მიუახლოვდა მეფეს. მაგრამ მეფემ შეხედა მრისხანეთ; ადგომა და იმ ადგილის გადანაცვლება არ იკადრა. ამ დროს მოეშველენ ჯარის კაცები და დაურთეს თავში თოფის დუმები; მაგრამ მაინც ვერა დააკლეს-რა, სანამ ერთმა მათგანმა ჩახმახი არ დაჰკრა თოფის. ჩახმახის ვერძი ტვინში ჩავიდა და მაშინ-კი წაიქცა. მივარდა თეიმურაზა ორჯონიკიძე ძმის სისხლის ამოსაღებათ და დანით ამოკუჭა თვალები. როსტომი, მეთოდი, ცაგუნი, კუხნიტი, გივი, ბარძიმი და სვიმონ, თოკებით შეკრულნი, ხედავდენ გიორგის თვალების ამოჭრას და თვითონაც იმავე

სატანჯველს მოელოდენ. ახლა სხვებსაც მიჰყვეს ხელი. პირველათ როსტომი დააწყვინეს გულ-აღძა, ბევრი აცოდვილეს და მაშინ თითონვე ურჩია თვალის კილოები ჩამჭერით ლა მერე თავისით გამოცვივდებიან თვალის კაკლებიო; და მართლათაც, სხვებს უფრო ადვილათ მოთხარეს თვალები.

ეს ამბავი რომ მოხდა. მეფე შეტრიალდა სახლში და გარეთ აღარ გამობრძანებულა. იახლა შიგ სარდალი წერეთელი და მეფე რომ შეწუხებული ნახა, თვალ-ცრემლიანი, გაკვირვებულმა მოახსენა:—თუ მაგრე სანანებლათ დაგრჩებოდათ, ნეტავი არ დაგესაჯათ ის ცოდვისშვილებიო... მეფემ წყენით ბრძანა: „მებრალება კაცი და დავსაჯე კი ღვთისა და ქვეყნის ორგული მოღალატე“...
— კიდეც ეგ არის მეფეო—კადრებს სარდალი—განა არ მოგეხსენებათ, რა კაცია როსტომ ერისთავი? ეგ გულს ვერაოდეს ვერ გაიწმენდდა და, თუ ოდესმე შეიძლებდა, იმას, რაც დღე დღეს დაადგა, ჩვენვე დაგვაყენებდა!...
—კი მაგრამ შვილები? ჰკითხავს მეფე.—შვილები უარესიც იქნებოდენ. ეკალზე ვარდი ვის უნახავს? მაგის ნაშიერი არ უნდა დარჩეს!.. ფიცი რომ არ დაგედვათ, უმჯობესი იყო ყველასთვის თავი დაგვეყრევინებია. ამ შვიდ შვილს გარდა კიდევ ჰყავს სხვა შვილებიც საშუალო ცოლის ხელში და ნუღარც იმათ დავტოვებთ თვალ-დაუთხრელათ. დრო არის გავგზანოთ ჯარი რაჭას, ავიკლოთ მაგის სახლ-კარობა ლ დავანახოთ ქვეყანას, თუ რა დღე მოელის თქვენს მტერს ლ ორგულსო. მეფე დიდ ხანს ყოყმობდა, მაგრამ წერეთელი აღარ მოეშვა ლ მოახსენა: მაგისი ცოდვა ჩემ კისერზე იყოსო. მაშინ უბრძანა მეფემ: „მიჩუქებია შენთვის, როგორც გინდოდეს, ისე მოეპყარიო!“ თვითონ ხანდაუყოვნებლათ შებრძანდა ცხენზე და იმ

დღესვე გაეშურა ქუთაისისაკენ. დარჩა იქ პაპუნა წერეთელი მისიანებით და გაიმართა ლხინი. იმღერიან, ივსებენ ღვინით ყანწებს, მიდიან და ულოცავენ სარდალს: ღმერთმა ყოველთვის ასე გაგამარჯვებიოს ქვეყნის ორგულზე და თქვენ მტერზეო! პაპუნა ამბობს: ახლა დამიფარცხოს ჩემი ხვადაბუნებიო!.. სადილს ვახშამიც მოაბეს დიდი განცხრომით. ერისთავები კი ხელშეკრულები ეყარენ გარეთ ეზოში. ეს დრო დეკემბრის თვის მეორე დღე იყო. დაღამების დროს დაიწყო თოვა-ქარიშხალი, მაგრამ ვინ გაბედავდა, რომ დასჯილებისთვის შემწეობა აღმოეჩინა. როსტომ ერისთავს ერთი ძაღლი ჰყავდა, რომელიც მოართვა ალი ენგიჩარმა. ის ძაღლი, როგორც სიდიდით, ისე გონიერებითაც შესანიშნავი იყო. არასოდეს არ შორდებოდა პატრონს და ახლაც ფეხთით მიუწვა. შუაღამე გადასული იყო, წერეთელი ისევ სუფრაზე იჯდა; მხიარულების გამო ღვინო მოკიდებოდა. ძაღლის ყმუილი რომ შემოესმა, იკითხა: ეს რა ამბავიაო? მერიქიფემ მოახსენა: ერისთავების მოტირალი გახლავსო. ბძანა და მაშინვე მოაკვლევინა ის გულშემატკივარი ძაღლიც. მეორე დილით პაპუნა ადრე გამოვიდა გარეთ, გადახედა და დაინახა, რომ ერისთავები ეზოშივე ეყარენ თოვლში, მაგრამ ნაბდები კი ჰქონდათ გადაფარებული და რომ დაინახა, იკითხა: — ეს ვის უქნიაო? მოახსენეს: ქაიხოსრო აგიაშვილმა — ნამალავათო. ერთმა ჯარის კაცთაგანმა სიცილით მოახსენა წერეთელს: წუხელის კარგი მხეცები ვინადირეთ და მოსამკცლელოც ერგებათ: კიკნაძეს, ორჯონიკიძეს, დევდარიანს და ცოტა გურგენიძესაცაო. როსტომმა მოჰკრა ყური მათ ლაპარაკს და თქვა: „ცუდრუკეობდენ ჩემზედა ყოველნი მტერნი ჩემნი და იტყოდენ ჩემთვის ბოროტსო“. მერე მიუბრუ-

ნდა შვილებს: „შვილებო, ღვთის განგებას ვერავინ აცდება! ყოველივე ღირსეულათ მოგვეგო, ნუ ვიტყვით ძვირსა და საყვედურსო. ავიტანოთ ეს სასჯელი ისე, როგორც ეკადრებოდეს ჩვენს ოჯახს!“—ჭეშმარიტათო, მიუგეს შვილებმა—ჩვენი სულმოკლეობით ნუ გავახარებთ მტრებსო. მართლაც ვერც ერთისაგან ვერ გაიგონებდით ვერც კვნესას და ვერც საყვედურს ვისმეზე!.. ეს დიდი კაცები, ბრწყინვალე ტანისამოსებით და სხვა-და-სხვა ძვირფას ფარჩებით შემკულნი, ეყარენ თოვლში და მაინც მედიდურობა ეტყობოდათ. ხმას არ იღებდენ; მხოლოთ მოხუცი როსტომ კი აიტანა სინანულმა და მისი ბოხი ხმით წამოიძახა: „დიდებულო რუსთველო ლხინში ძლიერი ჭირშიაც მანუგეშებელი ხარ!.. ტყუილათ არ გითქვამს“:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისკენ კასწორდეს ეოველნი, სუსტი და ძალ-გულოვანი.
ბოლოს შეეარნეს მიწამან ერთად მოუმე და მხცოვანი
ჯ სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

მაგრამ, ვაი, რომ სახელოვანათ ვეღარ ვკვდებით — დაამატა ამოსკვნით.—არა, ბატონო, დიახაც სახელოვანათ ვკვდებით—გააწყვეტია მეთოდემ. დიდებულმა მეფემ, რომელმაც სტამბოლი შეაძრწუნა, პირდაპირობა რომ ვეღარ გაგვიბედა, ღალატით დაგვიმორჩილაო. სირცხვილი მისი და არა ჩვენი. ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე სულ ერთი კანონი ბრუნავს: „ეყვენ და ბღარ არიან, ვართ და აღარ ვიქნებით, იქნებიან და აღარ იქნებიან“. ამით დაასრულეს საუბარი და გაჩუმდენ. როსტომმა პირჯვარი გამოისახა და დაფიქრდა. წარმოუდგა მას მის ბარაკონში დილაობით სხვა-და-სხვა ფრინველეის ხორცზე ბრძოლა და მისი ირმების ბღავილი, რო-

დესაც ჩვეულებისამებრ მარილს ითხოვდენ. გაიხსენა თავისი შემკობილი ცხვრები და გულში სევდამ გაუარა... მოაგონდა, ნებიერს რომ დაკლავდენ ხოლმე ყოველ დილობით, გაატყავებდენ და მიუშვებდენ ზედ სხვა-და-სხვა მემძოვრე ფრინველებს; მიცვინდებოდენ ზედ ქორები, მიმინოები, შევარდენები, სონღულოები, ორბები, სვავები, ყვავები, კაჭკაჭები და სხვანი; ჰქონდათ შფოთი ერთმანეოთან, მეტადრე თოვლის დროს, მაგრამ ბოლოს, როდესაც გამოიყვანდენ არწივებს, მაჩხუბარი ფრინველები შიშით მიიფანტ-მოიფანტებოდენ. — აი, რა ყოფილა ჩვენი ცხოვრება და ექამდის არ ვიცოდი!.. ყველგან შფოთი და ძალმომრეობაა, ყოველი კაცი ცრუ არს და ცდება, მხოლოთ შენ ხარ უტყუარი და შეუცდომელი, მაღალო ღმერთო! ცანი და ქვეყანანი წახდენ, მხოლოთ სიტყვანი შენი არა? სად მე და სად მეფე სოლომონ?! მიეცით კეისრისა კეისარსაო. რატომ არ ვჯერდებოდი ჩემს ყოფა-ქონებას? სად არიან ახლა ჩემი ბარაკინის სასახლე, ამბრალაური, ხიდის კარის კოშკები, სევას სასახლე, ონში ციხე-სასახლე და ქალაქი? სხვა სიმდიდრესთან ოთხმოც მეწველ შინაურ ირმებს რომ ველარ ვნახავ!.. ესენი ამიერიდან ყველა სიზმარივით გაქრებიან... ვინღა გამაგონებს ჩვეულებრივ ლხინს და შეწყობილ ძლის პირებს!.. გაიტაცა ისევ სოფლიურმა ძრახვამ, გაიღვიძა ისევ მის გულში ძველებურმა მედიდურობამ, მით უფრო, რომ იქვე იმ დროს მისმა შვილმა გიორგიმ სული დალია და წარმოთქვა შეჩვენება: „ჰოი, ყოვლად ძლიერო მაღალო ღმერთო, სადაცა დაიქცა სისხლი თვალთა ჩემთა და ძეთა ჩემთა, აღმოფხარი ქვეყანა იგი და მიეც ნიავ-ქარსა გასაფანტველათ ჰაერთა შინა!.. ჰოი, ყოვლის შემძლებელო, გარს შემოუწერელო უფლებითა ღმერ-

თო, მოკითხე სიცხლი ჩემი და შვილთა ჩემთა მეფე სოლომონს, ქათალიკოსს იოსებს და არჩილ ბატონიშვილს!.. მიაგე სამაგიერო შურისმაძიებელთა ჩემთა: პაპუნა წერეთელს, პაატა აბაშიძეს, ზურაბ მიქელაძეს, ბერ წულუკიძეს, ბერ ლორთქიფანიძეს, ოტია ჩხეიძეს, თამაზა მესხს, მამუკა მდივანს, თანდარუხ იოსელიანს, ქაიხოსრო და პაპუჩა აბულაძეებს. შეაჩვენე და აღმოფხარ მათი სახლკარი და გასწყვიტე სახსენებელი მათი უკუნისამდე!“ წერეთელმა გაიგონა ეს წყევა და შეუტია—აღარ იშლი? გინდა დასძინო უსჯულოება უსჯულოებასაზედაო? შენს სახლში საღმრთო წერილი იბეჭდება და როგორ არ წაიკითხე, თუ რას გვიწერს ყოვლის შემძლებელი: „დაემორჩილენით უფალთა თქვენთაო“. შენზეა ნათქვამი: „ხნარცვი თხარა და აღმოკვეთა და შთავარდა მთხრებლსა მას შინაო“.—წერეთელო, მართალს ამბობ, მაგრამ არ მეგონა, თუ სამღრთო წერილი იცოდი და ნურც იმას დაივიწყებ, რომ: „ნურცა უფალნი განირისხებენ მონათა თვისთაო“.—ნუ გიხარია, შენც ეს დღე მოგელის წერეთელო, მეფეს ფრთებს აკვეც, გინდა დიდებულები ჩამოაშორო და შენთვის კი ყოველივე მოაგვარო!.. შეგშურდა ჩემი ციხე-ქალაქები და მონასტრები? ახლა კი იშოვი, მაგრამ ნუ დაივიწყებ: რა გზითაც მიგიღიეს, იმ გზითვე გაგეძევის. ახლა კი ძლევა-მოსილო, როგორც დამორჩილებულს, ერთი თხოვნა ამისრულე: შემავედრე მეფეს, რომ ასე ნუ გვტანჯავს და თავები დაგვაყრევინოსო. წერეთელმა აღუთქვა, მაგრამ წავიდა მხოლოთ მიტომ, რომ რაჭაში ჯარი გაეგზავნა და ერისთავის ოჯახობა აეკლო.

ამ დროს მოვიდა იაშვილის მოურავი—ბუჭუა გრიგოლაშვილი. ის ორი კვირის წინეთ სადღაც ყოფილი-

ყო წასული. რომ დაბრუნდა და მის ბატონის სახლში ეს ამბავი ნახა, ცეცხლი მოეკიდა და უსაყვედურა ბატონს: „რა გიქნია ეს, რომ შენი სახლი გოლგოთათ გაგიხდიაო! რატომ არ დაამშვიდეთ ბატონი მეფე და მის დიდებულ სახელს ნიშანი დაადევითო? ან ახლა რატომ არ უპატრონეთ ამ საბრალოებს?“ მივიდა თვითონ, გაუხსნა ხელები დასჯილებს, წამოაყენა, მოკიდა ხელი, წაიყვანა და საყდრის უკან საქალებოში შეიყვანა, რადგანაც შიშით მათ სახლში შეშვებას ვერავინ ბედავდა. იქ მოასვენა, მკვდარი გიორგიც იქვე დაასაფლავა. ამ დროს იაშვილი სხვაგან წავიდა, რომ ბრალი საკუთრათ მის მოურავს დადებოდა და რისხვა თავიდან აეშორებია. მთელი ღამის ნაწვალებმა ერისთავებმა საქალებოში სული მოითქვეს და ძლის პირებით ეველრებოდენ უფალს. როსტომ ერისთვის უცნაური ბოხი ხმა გულ-საკლავათ გამოისმოდა. ბუჭუა წავიდა მეფესთან, შამოიხსნა ხმალი და ყოველი იარაღი დაუწყო მეფეს წინ. მეფე ბუჭუას იცნობდა, როგორც კარგ სახელოვან ვაშკაცს და ჰკითხა: — რა დაგიშავებია, ბიჭო? მოახსენა: თვალდათხრილი ერისთავები ეკკლესიის გადახურულში შევიყვანე და მკვდარი იქვე დავმარხეო; ჩემმა ბატონმა სიკვდილი მომინდომა ამისათვის, მეც ვიცი, რომ ღირსი ვარ სიკვდილის და ახლა თქვენ გადამახდევინეთო. მეფემ უბრძანა: — ადექი, კარგი გიქნიაო. სამართალი გაუსწორდა, საკანონო მოხდილი აქვსთ და მეტი რაღა ეჭირვებაო. დაუბრუნა იარაღი და გაისტუმრა. ეს რომ ქაიხოსრო აგიაშვილმა გაიგო, მაშინვე გაუგზავნა ერისთვებს მომკითხავი, ტანისამოსები გაატანა და გადაიყვანა თავის სახლში. ერისთვებს ყმა და მამული ჩამოერთვათ, რაჭაში დაბრუნების ნება აღარ მიეცათ

და დიდ ხანს სხვის კარზე ცხოვრებდენ. თვითონ როსტომ ერისთავი პაპუნა წერეთელმა საჩხერეს გაგზავნა და მეთოდე სვიმონ კანდელაკმა გადაიყვანა თავის სახლში და იქ ემსახურებოდა ერისთავს, სანამ ორ წელს შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფემ ირაკლიმ არ მიიწვია თავის-თავთან და თვითონ მასპინძელიც თან იახლა.

სარდლის გაგზავნილმა ჯარმა ბრძანებისამებრ პირველათ ანტონი მონახა და ყარაულები დაუყენეს. დედა მისი, როსტომის ცოლი, იაშვილის წანართმევი, ეზოში ფეხით ათრიეს და საბრალო მუცელს გადაყვა. შემდეგ შეესიენ ოჯახს, ააოხრეს, აიკლეს, ციხეები ლაღუმებით დაამტვრიეს, დაიჭირეს ნიშა ირემი ქორბუდიანი; ის იყო ჩერქეზ ბატონის გამოგზავნილი, ძლიერ დიდი იყო, შეუკრეს ფეხები და წააქციეს დასაკლავათ. ამ დროს მოვიდა ხიტუა გავაშელაშვილი — ის იყო მეჯოგეთ უხუცესი. ბატონის შემთხვევა არ იცოდა და რომ დაინახა, ნიშა ირემს კლავენო — და იყვირა: ვინ უბედავს ბატონს ამ საქმესო? მივარდა, მისი ხელთ-საჭერი დიდი თავ-სხვილი რკინის ჯოხი დაჰკრა თავში თემურაზა დევდორიანს და ტვინი ამოასხმევია. მიცვივდენ ჯარის კაცები და საწყალი ხიტუა ნაკუწ-ნაკუწათ აიღეს. ააოხრეს იქაურობა, გადაწვეს, გადაბუგეს და გამოემგზავრენ ქუთაისისაკენ. პატარა ანტონიც თან წამოიყვანეს მისი ძიძებიანათ. ქუთაისში რომ მივიდენ, სახუცესმა პატარა ანტონის თვალების დათხრაც ბძანა, მაგრამ პატარა მეფის ასულმა ელენემ ანტონს თვალი მოკრა, მიიკრა გულში დი აღარავის ანებებდა; იმ დღიდან მეფის სასახლეში იზდებოდა. მაგრამ პაპუნამ მაინც საიდუმლოთ გააძრახა მსახურები. ერთხელ ბურთი ჩაუგდეს ანტონს გახურებულ თორნეში და რომ გადიხედა ბავშვმა, იმდენ ხანს გააჩერეს ძალათი და აყურებიეს, სანამ თვალები არ გა-

უფუჭდა: ამას ყველაფერს, როგორც მეფეს, ისე მის ასულსაც უმალავდენ. ბოლოს თვალ-დამდგარი და ავაო მყოფი ყმაწვილი ჩააბარეს ძიძებს და მათთან რაჭაში გაისტუმრეს.

იოსებ ქათალიკოსმა რომ შეიტყო გაენათში ერისთავების თვალების დათხრა, შეიცხადა, გადმოვარდა ტახტიდან, დაეცა მიწაზე, წაიშინა თავ-პირში ხელები და წვერ-ულვაში დაიგლიჯა. შეიმოსა ძაძით და გაცხარებული მიეჭრა მეფეს ქუთაისს. მეფემ თვალცრემლიანი ქათალიკოსი რომ დაინახა, მიაყვირა: რა ამბავია, ქათალიკოსოვო? — მე დღეს ქათალიკოსი აღარ ვარ — მიუგო მან, არამედ იუდა ისკარიოტელი, ჭეშმარიტების გამცემელი!.. მეფეო, რათ შეურაცხყავ ან შენი მეფობა და ან თვით სამეფო?! სად არის შენი აღთქმა და რათ გამატეხინე ფიცი მე ცოდვილს! მეფემ შეიკრა წარბები და მდაბალი ხმით ბძანა: — მე დიაღაც ავასრულე ჩემი სიტყვაო. როგორც აღგითქვი, სიკვდილით არ მომიკლავს და საარაკოთაც მოვექეცი. — არა, ბატონო მეფევ, ღმერთთან სიტყვის ჭახრაკობა გამოსადეკი არ არის!.. ოს მალეთის მხედრობა განდევნე და ერთი თავადის დამორჩილება როგორ გაგიჭირდა, რათ ჩამაგდე საფრთხეში? რა პასუხი ვაგო უკანასკნელ განსჯის დროს? — შემცდარი ხარ, ქათალიკოსო. ერისთავების თვალების დათხრა გაშფოთებს და იმას კი ივიწყებ, რომ თვით იმ ერისთავს უნდოდა საქრისტიანოს სამეფოს თვალების დათხრაო — უპასუხა მეფემ და გადახედა დარბაისლებს. ისინი თავჩაღუნულნი იდგენ შეწუხებული, ხმას არავინ იღებდა. მეფესაც სახეზე მწუხარება დაეტყო. სიჩუმეს შემდეგ ხმის კანკალით წამოიძახა ისევ ქათალიკოსმა: „მეფეო, შეჩვენებული იყოს შენი მეფობა, უკეთუ მეც არ გამას-

წორო ერისთავთან და თვალები არ დამთხაროო!“ კარის კაცები აშფოთდენ. მეფემ ზურგი მიაქცია ქათალიკოსს, გაბრუნდა. ქათალიკოსი კი თითქმის გონება დაკარგული გავარდა გარეთ და წავიდა გაენათისკენ. უბძანა კრებულს მეორე დღეს წირვის მომზადება, შევიდა ეკლესიაში; უბძანა არქიელს კათედრაზე შემოსვა, თვითონ შიგნით შეიმოსა. არხიდიაკონს მისცა დაწერილი ქაღალდი და უბრძანა: რაც წერია, არ შეცვალოო. გამოვიდა შემოსილი, შევიდა კათედრაზე: მიართვეს ჯვარის სანთლები და ააპყრო ხელები. უკმიეს. დიაკონმა დაიძახა: უფლისა მიმართ ვილოცოთო. არხიდიაკონმა გადანაცემ ქაღალდში ამოიკითხა: არა ბრწყინევდის ნათელი შენი წინაშე კაცთა და არცა იხილონ საქმენი შენნი კეთილნი და არცა ადიდე შენ მამა ზეციერი ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო. ამ სიტყვაზე ქათალიკოსმა თითონვე დაამხო ჯვარის სამთლები და გადასცა. კიდევ დაიძახა დიაკონმა: უფლისა მიმართ ვილოცოთო. არხიდიაკონმაც ღაღად ჰყო: „არა დაგადგა თავსა შენსა გვირგვინი პატიოსნის ცხოვრების, არა თხოვე და არცა მოგცა შენ ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო. მოიხადა გვირგვინი და ამ გვარათ განიძარცვა ყოველივე სამღვდელთმთავრო წირვის შესამოსელი. ყოველ გახდის დროს არხიდიაკონი ბძანებისაებრ მისისა იძახოდა: „არა ღირს არსო“. ფერმიხდილი ჩამოვიდა ქათალიკოსი კათედრიდან, შევიდა საკურთხეველში, ემთხვია ტრაპეზს, გამოვიდა, მივიდა ხახულის ღვთის მშობლის ხატის წინ, დაიჩოქა და ტირილით დაემხო. იმ დღიდან აღარც უწირავს, თავს ეღირსათ ხდიდა და იყო მარად სინანულში.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან)

ა

— აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო.

— არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ ხეხო ქვიშითო.

— აქლემი ისე არ დავარდება, ვირის საპანე კიდევ არ აიკიდოსო.

— ამანათს მგელიც შეინახავსო.

— ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდაო.

— ავი არ მაკადრიან, კარგი არ მაღირსიანო.

— ადამიანის პირის კანი ხახვის გარსზე უფრო თხელია, თუ ერთხელვე გაიხა, კამბეჩის ტყავზე უფრო გასქელდებაო.

— ან არ ვარგა ნავთა ჯდომა ანუ მენავეთა ბრძოლაო.

— ამყოლს აჰყევი, დამყოლს დაჰყევიო.

— ავი კაცი აღდგომასაც ავიაო.

— ამხანაგი ნუ გძულს, სარგებლობა ნუ გშურსო.

— ავი მუშა კვირა დღეს გახალისდებაო.

— არა გყავდეს მოახლეო, თავი მოიმუახლეო.

— ავი შემნახავი ქურდზე უარესიაო.

— არა მკითხე მოამბეო-მიტყეპე და მიაგდეო.

— ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.

— ამირან გულში მღეროდა, მოყვარე ბანი მითხარიო.

— ავი ძაღლი არც თვითონა ჭამს, არც სხვას აჭმევსო.

— ალიას დარდი ფლავიაო.

— ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსაო.

— აზნაური მჭადს არა ჭამსო, მოშივდება ჭირსაც მომჭამსო.

— ასლის პურო ჯერ არ მიჭამიხარ და ახლავე მუცელსა მგვრემო.

— არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო.

— აზამბურელი თათარი გოჭის თავს მედავებოდაო.

— არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმათ მყოლიაო, ძველი პური, ძველი ღვინო წლის წლობამდინ გამყოლიაო.

— აქლემს უთხრეს: კისერი ბრუნდი გაქვსო და სხვა რა მაქვს სწორიო.

— ასეთმა ფურმა დამწიხლოს, დერგით მიდგამდეს ყველსაო.

— ახალ წელიწადს ვირმა ბაგაზე შეიტყო—დღემ მოიმატაო.

— ასი წლის ბებერმა იანვარში მარწყვი ინატრაო.

— ასეთი გოდორი დასწანით, თქვენ შვილებსაც გაზოადგესო.

— ახალ კიტრს და ახალ ამბავს ძვირათ ნუ იყიდი, მალე გაიაფდებაო.

— აქლემმა თქვა, რომ არ დამაჩოქებდენ, ქვეყანას ავიკიდებო.

— აჩქარებით სოფელი არავის მოუჭამიაო.

— აქლემები წაიკიდენ, კოზაკი შუაში გაჭყლიტესო.

— ასეთი ხიდი გადევი, რომ შენმა შვილიშვილებმაც ზედ გაიაროსო.

— ავ მოვალეს, რაც მოგცეს—გამოართვიო.

ბ

— ბევრი ხელი ჯაფაშიო, ცოტა-ხელი ჭამაშიო.

— ბედაური მათრახს არ დაიკრავსო.

— ბუზმა სპილოს ყურში ზამთარი გაატარა, სპილომ უთხრა მადლობის დროს: შენი არც შესვლა გამიგია და არც გამოსვლაო.

— ბალი წვერში გამწარდებაო.

— ბუზი ბევრს ბზუის, ფუტკართან ყველა სტყუისო.

— ბაღდადს ვირი კიტრათ იყიდება, მაგრამ ჯორი საგზლათ მოუნდებაო.

— ბრმას რა უნდოდა და ორივე თვალებიო.

— ბევრი გამდლის ხელში ბოვშვი დახაშრული შეიქნებაო.

— ბედაურები გადაშენდენ, ვირს მოედანი დარჩაო.

— ბოლოკმა თქვა: უკადრისმა გამთალა, მსუნაგმა გამფხიკაო.

— ბედაურს სჭედდენ და ბაყაყმაც ფეხი აიშვირაო.

— ბებია, მიტომ გაკოცებ წირპლიან თვალში, რო კვერი მიტეხოვო.

— ბრიყვი კაცი იზდებოდა და ვირდებოდაო.

— ბედი ხნავს და ბედი თესავს, ბედი მოიყვანს ყანასო.

— ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილი-შვილს კბილი მოკვეთაო.

— ბრმა ლობეს მიადგა: შენს იქით გზა არა მაქვსო.

— ბერი კაცი თვრესო, ვაჟკაცს ერთი ხვდესო და ბავშვს რომ სული ეცესო, ღმერთს თაყვანი სცესო.

— ბრძენთა შორის ცალთვალიო არს პირველი სარდალიო.

— ბრმა თვალ-ხილულს ატყუებდაო.

— ბრიყვ კაცს ჭკუა თვალში აქვსო.

გ

— გავბრიყვდი და შევჯექ ვირსა, მიკვინტა და დამცა ძირსა.

— გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულიაო.

— გაუთლელი სჯობს ალმასი გათლილსა ფირუზანასაო.

— გამქცევი და მიმწევი ორივე ღმერთს ეხვეწებოდაო.

— გადი, გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო.

— გამხიარულდი, ბუხარო, გულ ჩახვეული ნუ ხარო.

— გადარეულისთვინ ნიადაგ ლხინიაო.

— გადამხდა გადასავალი, აწ უარესსა მოველიო,

— გიჟი ის არის, ვინც აბნევს და ვინც კრეფავს, ის ჭკვიანიაო.

— გიჟი ქორწილში შევიდა: ჩემს სახლს ესა ჯობიაო.

— გველი ეკალზე ნახა გადაკიდებული ურიამ და თქვა: ჭირი ჭირზე გადაუკიდებიათო.

— გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილათ მოუბარიო.

— გველი გარედგან არის ჭრელი, კაცი კი შიგნიდანო.

— გაპირვება მიჩვენე და გაქცევას გაჩვენებო.

— გაპირვების ტალკვესიაო.

— გაუგონიათ ალია მამკვდარაო ტ არ იციან, როშელი ალიაო.

დ

— დედაკაცი, მინამ ქმარი ჰყავს, ამირანია და როცა მოუკვდება ქმარი—ამირანთ-ამირანიო.

— დათვმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო.

— დილას ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლათ იქცევი, თუ ხანი დაგიგვიანდა სპილენძათ გადაიქცევი.

— დავბერდი დავჩაჩანაკდი წვერი შემექნა ჭაღარა შინ ჯალაბს მოვძულებივარ ბატონს უნდივარ აღარაო.

— დაჩვეულსა ნუ მოუშლი, დაუჩვეველს ნუ დააჩვევო.

— დედაკაცს თმა გძელი აქვს და ჭკუა მოკლეო.

— დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვეღარ დაკავებსო.

— დედა მიწა გრილია, მკვდარს რო მიაბარებენ, მალე დაავიწყდებათო.

— დრო დროთი, თორემ ჟამი ნიადაგ იწირვისო.

— დედაბერმა იანვარში მოცვი ინატრაო.

— დიდ კაცს დიდი სულგრძელობაც მართებსო.

— დიდ აღმართს დიდი თავდაღმართი აქვსო.

— დაჟეჟილს გატეხილი ჯობიაო.

— დამ დასა საცერში გახედა:—როგორა მხედაო? ისე, როგორც შენაო.

— დაიამ დაიას საცვალი ათხოვა და ტანი არ ჩადვა შიგაო.

— დახლიდან რომ ნემსი ამოიღო, მახათი უნდა ჩაგდოო.

3.

— ერთმა ფარა ცხვარმა რომ ხეს შებღავლოს, გახმებაო.

— ერთი ალილუია ღვდელსაც შეეშლებაო.

— ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო

— ეშმაკები ტიკებს ალბობდენ და ღვინო არსად იყოვო.

— ეშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშაო.

— ეშმაკის წინ მალაყს ვერ იზამო.

— ერთ ადგილს რომ ვირი ტალახში ჩაიფლოს, მეორეთ იქ აღარ გაივლის.

— ერთი თხილი ცხრა ძმა კაცმა გაიყოვო.

— ერთი პირი ძილი წყალსაც მოუაო.

— ერთი რეგვენი მოიქნევს ძვირფასს ალმას ზღვაში ჩააგდებსო და ათასი ჭკვიანი რომ მიგროვდეს, ველარ ამოიღებსო.

— ერთი ხიდგან ბარიც გამოვა და ჯვარიცაო.

— ერთ სოფელში გამდელი არ იყო და ვირს პირმთვარისას ეძახოდენო.

— ერთი კაცი ჭამაშიდაც ბრალიაო.

— ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო.

— ერთი დღის საგზალი გინდ ხელით გიტარებია და გინდ მუცლითო.

— ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობს კაცსაო.

— ერთი პირის ჭირიმე და ბევრი ხელისაო.

— ერთი წლის ბერწობისთვის ფური არ დაიკვლიოს.

3

— ვირს რომ ზურგი მოქავდება, წისქვილს მიადგებაო.

— ვაის გაკვეყარეო, უის შევეყარეო.

— ვირს რქები არ გამოუვიდა და ხბოებში გაერიაო.

— ვინც მოკვდება, თავს მოუკვდებაო.

— ვირს პიტნა ძულდა და ცხვირში ატენიდენო.

— ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.

— ვირმა პალო მოგლიჯა; ერთს რომ სხვას მიახვედრებდა, ოცს თვითონ დაირტყამდაო.

— ვირის წიხლი არ უნდა გეწყინოსო.

— ვაი, დედაო, დედაო, რა დიდი ღორი კვდებაო.

— ვაი, ჩვენსა წერასაო, თავი გიგავს ძერასაო, გულითადი ვეზირი ორგული, ჰყავს ყველასაო.

— ვაჰ, თხოვნაო, ვაჰ კარზე დგომაო.

— ვაჰი, ჩემო ტიკჭორაო, რა ტყუილებს მიჭორაო.

— ვაშლი რომ მაღლა შეაგდო, მის ჩამოვარდნამდინაც დრო გაივლისო.

— ვაი უშველებელსაო.

— ვინც ძაღლს მოკლავს, იმანვე უნდა გადაათრიოსო.

— ვინცა ენა ჭარტალია, მისი სიტყვა მართალიაო.

— ვერიდებოდი ღვალოსო, დამიხვდა სოფლის ბოლოსო.

— ვირი ჩიოდა: ხუთმეტი მუტრუკი გავზარდე, მაგრამ ჩემი კურტანი ზურგს არ მოცილდაო.

— ვეშაპი ისეთს არას ჩაყლაპავს, რომ ვერ მოინელოსო.

— ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.

— ვინც ჭამა ქათმის გული, ვერ მოიგო კაცის გულიო.

— ვინც რომ კაცია—ჩოხა ჯაჭვია, ქუდი ნაბდისა, ჩაბალახიაო.

— ვისაც ვინ სძულს, მისი ლაპარაკი რახა-რუხია, ჭამა ხლამანლუმია და სიარული ბრახაბრუხიაო.

ზ

— ზურგ წამხდარი ვირი კაჭკაჭს ზეცაში დაინახავსო.

— ზოგს მღვდელი მოწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო.

— ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო.

— ზოგი რჩებოდა ბედითა, ზოგი ვერც მოჭირვებითაო.

— ზოგი ჭირი მარგებელიაო.

— ზღვა კოვზით დაილევაო.

— ზოგი კაცი კაციაო ზოგი კიდევ კაცუნაო.

— ზოგისა ბამბა ჩხრიალობს, ზოგის კაკალიც არაო

— ზოგიერთმა კაცმა იცის გაძღება და გაგორდებაო, რა გინდ საქმე უხდებოდეს, საქმე აღარ აგონდებაო.

— ზღვა ისე არ დაშრება, გუბის ოდენი კიდევ არ დარჩესო.

თ

— თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო.

— თაგვმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო.

— თხამ ნეკერი დაინახა ⸗ სახტომი კი არ გაუშინჯაო.

— თაგვი ბუჯერში შიმშილით არ მოკვდებაო.

— თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო.

— თაგვებმა თქვეს: კატას ეჟვანი შევაბათო, არჩიეს, მაგრამ შემბმელი კი არავინ გამოარჩიესო.

— თხოვნელი და წუნებელი ღმერთსაც ძულს და კაცსაცო.

— თავათ არ იყო ძმარიო, შიგ შეურიეს წყალიო.

— თუ ჭკვიანი არ ცდებოდეს, რეგვენი კლდეზე გადავარდებაო.

— თავდები ხელით ჭკიდიაო.

— თევზმა თევზს უთხრა: პატარა იქით მიიწიეო. —საით-ღა მივიწიო, ორივე ერთს ტაფაში ვიწვითო.

— თევზი მარხვაში—ცხენი აღმართშიო.

— თევზმა თქვა: სალაპარაკო ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო.

— თევზი თავიდან აყროლდებაო.

— თუნდ გახიე, თუნდ გაფხრიწეო.

— თუნდ მკვდარი—თუნდ შინ მოუსვლელიო.

— თეთრი კბილი—შავი გულიო.

— თუ მტერი არ გყავდეს ძმას გაეყარე და მტერს გაიჩენო.

— თვალებ შუა რომ ცხვირი არ იყოს—ერთმანეთს შეეამდენო.

— თუ მასპინძელი არ ლხინობს, სტუმარსაც მოეწყინებისო.

— თვალი დაუდგა ხუროსო, დაჯდეს და აბრახუნოსო.

— თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმებაო.

— თაფლი კარგია, მაგრამ ძაღლის გუდა'ბიაო.

— თოვლი იმისთვის მოვა, რომ ხელ-ფეხს მოსწვავსო.

— თოვლი თეთრია, მაგრამ სიცივე დიდი იცისო.

— თაფლი კარგია, მაგრამ ცოტა კუპრი ურევიაო.

— თივაში ცეცხლი არ დაიმალებაო.

— თავის ქება მწვანე კიტრათა ღირსო.

— თითო სახლში თითო ქოთანი შეჭამადი დუღსო.

— თითო თავიდან თითო ჭკუა გამოდისო.

— თავ-დაძვრენილი კუდ-გაბზეკილიო.

— თავისის ქონით თვალებს სწვავსო.

— თავის სიცილს კაცი არ მოუკლავსო.

— თუ ურემმა შეშა არ მოიტანოს, ურემი შეშათ იქცესო.

— თეთრი ძაღლი ბამბის ზარალიაო.

ი

— ისეთმა ფურმა დამწიხლოს — საწველელს მივსებდესო. (ზოგგან: დერგით მიდგამდეს ყველსაო).

— ინდოეთში ვირი ხეზე გავიდაო, ეს ვირი და ეს ხე, აბა, აქაც გავიდესო.

— ირემმა ირემს ფოთოლი წაუშვირა, შენც გეშოვება, მაგრამ სიყვარულობა არისო.

— ისე მგელი არ მოკვდება, რომ თხის დასამარხათ გახდესო (ზოგგან: თხამ ყურში ჩა — ყოს),

— იმედიანი შიმშილიც კარგიაო.

— იმერელმა თქვა: არცა მაქვს და არც მშიაო.

— იმისთანას ნურას იტყვი, რომ ბოლოს შეგრცხვესო.

კ

— კაცი რომ დაღარიბდება, თავში ჭკუა გამოუაო, ზოგს ძილათ გადაექცევა, ზოგსა ძილიც არ მოუვა და რა ქნას კარგმა მონადირემ, თუ დუშაში არ მოუაო.

— კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

— კაცი მგზავრობაში გაიცნობაო.

— კაცია და გუნებაო.

— კაცი კაცის წამალიაო.

— კაცი რომ ნავში იჯდეს, მენავეს არ უნდა ეჩხუბებოდესო.

— კაცის თვალი ხარბიაო.

— კაცი, რასაც თავის თავს უზამს, იმას მტერი ვერ უზამსო.

— კაციც ის არის და ქუდიც მას ხურავსო.

— კბილი კბილია, მაგრამ როდესაც შეგაწუხებს, მოიგლეჯ და გადააგდებო.

— კაი მთქმელს, კაი გამგონე უნდაო.

— კაი მამა იყავიო, — კაი ჭამა გიყავიო.

— კედელს ყური და მიდორს თვალი ასხიაო.

— კედელს ცერცვი შეაყარეო.

— კამბეჩმა თქვა: ქვეყნის დაქცევის რომ არ მეშინოდეს, ისეთს გავიქცევი, რომ ფრინველი ვერ მომეწიოსო.

— კარგისათვის კარგი ვის უქნიაო.

— კარგი არ მაკადრიან და, ცუდი არ მაღირსიანო.

— კბილი კბილს მოხვდება და ქუჩი კარს გააღებსო.

— კატამ შეჭამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო.

— კატას ძეხვი თავში ჩაარტყეს: — მაგისთანა მეხი ნუ დამელიოსო.

— კბილის ნაჩიჩქნი კაცს ვერ გააძღებსო.

— კატას თევზი უყვარს და ფეხის დასოლება კი ეზარებაო.

— კურდღელმა, რაც იმალა, ის იხტუნაო.

— კურდღელმა სთქვა: სანამ გამახტუნებენ, მანამ უფრო მეშინიანო.

— კვიცი გვარზე უნდა ხტოდესო.

— კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

— კამბეჩის მარჩოლარ ხარს რქები არ შერჩებაო.

— კვიცი იყიდე და დედა იკითხეო.

— კვიცი რომ დედის წინ ხტომას დაიწყებს, მგელი შეჭამსო.

— კითხვის კითხვით ინდოეთს მიხვალო.

— კვერცხის გემო თავის წონა მარილითო.

— კოკასა შინა რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისო.

— კოკა წყალზე გატყდებაო.

— კუმ ფეხი გამოყო: მეც ნახირ-ნახირო.

— კუდა ხარი თავისთვინ არ იყო და სხვას ბუზებს უგერებდაო.

— კოლოსაც კი შეუძლიან ვნებაო.

— კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო: პარასკევია დღესაო.

— კვერნასაც თავის ტყავი სჯისო.

— კაი ღვინის ნაძირალი და კაი კაცის ნაცოლარიო.

ლ

— ლუკმა გავარდეს და ჯამში ჩავარდესო.

— ლომს ხერხით კოლო მოერიაო (თურმე ცხვირში შეუძვრა და დასცა)

მ.

— მეგობარს პირში უძრახვენ, მტერს პირს უკანაო.

— მეჭურჭლე, საითაც უნდა, ყურს იქით გამოაბამს ქოთანსო.

— მოციქულის მოციქული მატრაკვეციაო.

— მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო.

— მგელი ცხვარში გაერია: ვაი ერთის პატრონსაო.

— მწყერს ერთი დღე შეხვდა ისიც ავდრიანიო.

— მგლის თავზედ სახარებას კითხულობდნენ: — ჩქარა გაათავეთ ცხვრები მიდიან მეშურებაო.

— მგელმა ძაღლივით რო სუნი იცოდეს — ქვეყანას ამოაგდებდაო.

— მგელმა თქვა: ჩემ დამჭირავ ძაღლს ერთი შეხედვით შევატყობო.

— მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.

— მგელს მგლობა შეერქვა, ტურამ ცა და ქვეყანა დააქციაო.

— მადლი ქენი, მარილიც მოაყარეო.

— მადლი მატლათ გადამექცაო.

— მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ყავდეს: თქვას და წავიდესო.

— მამალმა თქვა: მე კი ვიყივლებ და გინდ გათენდეს და გინდ არაო.

— მეშურნეთა თვალიო — ცეცხლის მინათვალიო.

— მარწყვი მპირდება გასუქებასო, არველი გასრულებასო.

— მე შენსკენა ვარ, — შენ ეშმაკებისაკენაო.

— მე ალა-ლალას ვიძახდი, სხვები მწყერს იჭერდენო.

— მამიდასაც ვნახავ, კვიცსაც გავხედნიო.

— მესტვირის ცოლს კითხეს: თამაშობა იციო — მეტი რაღა მისწავლიაო.

— მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო.

— მგზავრს კითხეს: რა მომიტანეო და შენ რაღა გამატანეო.

— მელამ თავისი კუდი მოწმათ მოიყვანაო.

— მელიას, რაც აგონდებოდა, ის ესიზრმებოდაო.

— მელას თავისი მახრჩობელა უყვარდაო.

— მე რომ ვხედავ ნიშანსაო—ხარს დამიკვლენ ნიშასაო.

— მელა მახეში გაება: თავს მოვიმძინარებ და გამომეხსნებაო.

— მწევარი კურდღელს შისდევსო, მაგრამ კურდღელი რაღას მისდევსო.

— მწიხლავს წინ დაუდგებიან, მკბენარს უკანო.

— მზეს ვინც ტალახს ესვრისო, მას ვერ მისწვევს, თითონვე თავზე დაეცემაო.

— მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.

— მწვადი ისე შეწვი, არც მწვადი დაწვა და არც შამფურიო.

— მანამ ხმალი მოვადოდა, ენამ თავი მამჭრაო.

— მტყუანს ტყუილის კარამდე მიჰყევიო.

— მწიფეს ესვრიდენ, მკვახე ცვიოდაო.

— მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო.

— მთა მთას ვერ მოხვდებაო. თორე კაცი კაცს კი შეხვდებაო.

— ფრინველია—რომ მის ხორცსა ჭამენ—ფრინველია რომ ხორცს აჭმევენო.

— მიზეზ მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

— მღვდელს ჭილობში იცნობენო.

— მტერმა რომ მტრის ამბავი იცოდეს, ადვილათ დაამარცხებსო.

— მთვარე რომ ჩემსკენ იყოს; ვარსკვლავებს არ არ შევეპუებიო.

— მუცელს აქორებ—ქორია, აღორებ—ღორიაო.

— მოვიდა სომეხი, მოიტანა სხვა მეხიო.

— მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო.

— მოკლას ხარი თივამაო.

— მპარავი ძაღლი უარესია მყეფარზეო.

— მკვდარი მკვდარს აეკიდა: სამარემდის მიმიტანეო.

— მდიდარს ღარიბიც მდიდარი ჰგონიაო.

— მორთული ტიტველს პერანგს აძრობდაო.

— მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო.

— მე კი დავაყრი და გინდა ზედა წისქვილმა დაფქვას, გინდა ქვედამო.

— მგორავ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო.

— მარტი ქალია: დღეში ათჯერ გამოიჭიატებს და ათჯერ მოიქუშებაო.

— მჭედელს დანა-არა ქონდა და ხარაზს ჩუსტებიო.

— მუცელი ჩემს ქვეით არის და არა ჩემს ზევითო.

— მეზობელმა რომ შამოგაფურთხოს, თუ მაგიერი არ შეაფურთხე, უტუჩო ეგონებიო. (ზოგგან შემო—უოსო)

— მარილს თუ არ მამცემ, მარილიანი სიტყვა მაინც მითხარიო.

ნ

— ნუ დასცინი სხვასო, გადაგხდება თავსაო.

— ნუ იქ ავსა და ნუ გეშინია ავისაო.

— ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდაო.

— ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ თრთიო.

— ნათხოვარი ათხოვეო, მამის სული აცხონეო.

— ნათლიავ, შენსას ჩემი მირჩევნია—სხვისას შენიო.

— ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მოყვარესაო.

— ნაჩუქარს ცხენს კბილი არ გაეშინჯებაო.

— ნამუსიც კარგი საქონელიაო.

— ნიორმაც შეინახა სამი დღე სიმყრალეო.

— ნაჯხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდებაო.

— ნათქვამია: კატა შეხედავს მეფესო.

ო

— ორი კაცი ერთ კაცზე ლაშქარიაო.

— ოთოთაანთ ქორს უთხრეს: ჰკარ გარეულებს, თორე შინაურები სად წაგივლენო.

— ობოლს ძლივს ერთი კვერი ხვდა ბ ისიც დამწვარიო.

— ობოლი გაზდას მოელის, ღარიბი გამდიდრებასო.

— უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო.

— ორი ნესვი ცალ ხელში არ დაიჭირებაო.

— ობლის მამა ღმერთიაო.

— ობლის კვერი გვიან ცხვებაო.

— ოდეს ტურფა გაიაფდეს, არა ღირდეს არცა ჩირადო.

— ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.

პ

— პური მეპურეს გამოაცხობინე, ერთი პური მისთვინ ნუ გშურსო.

— პურ-მარილის დასწავლა ძალლმაც კი იცისო.

— პური და გული სტუმარსა, წავა შინ გაახსენდებაო.

— პირში მაქებარი ეშმაკს მოციქულიაო.

— პურს რო გთხოვენ, ქვას ნუ მისცემო.

— პურად-ძვირი თუ გამხიარულდა, ბედ დოვლათს გადააჭარბესო.

— პაღური კბარ მეტკინება—მეწყინებაო.

— პურ-მარილი ქვაზე დადე, გამოიკვლი წინ დაგხვდებაო.

— პურ-მარილის დასწავლა ქვამაც იცისო.

— პური და ღვინო ძველი ჯობს, ბატონი ახალ-ახალიო.

— პურმა თქვა: მე პირს არ მოვძებნი, თუ თვითონ არ მომძებნაო.

— პირი წყლითა მაქვს სამსეო.

— პირის გამთავებელი ძმაზე უკეთესიაო.

რ

— რასაცა გასცემ—შენია, რაც არა—დაკარგულიაო.

— რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ გახვალ თავსა შენსა.

— რწყილს დააწვენენ და აქლემს აშობინებენო.

— როგორიც მლვდელი, ისეთი ერიო.

— რასაც კბილს დაადგმენ—აყროლდებაო.

— რომელ თითსაც მამჭრი, ყველა მეტკინებაო.

— რას დასდევ ჭრელსა პეპელსა, გაგიფრინდება წაგივა. არც არა ხორცი გიხორცებს, ტყავი სულ არად გაგივაო.

— რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერი ვერ უზამსო.

— როგორც თვალი შორს, ისე გულიც შორსო.

— როგორიც ტყეა, იმისთანა ნადირი ბუდობსო.

— რაც არ მერგება, არ შემერგებაო.

— რამდენი ვირი ვიყიდე, იმდენი კ—ნა გამომადგაო.

— როგორცა ჰქუხს, ისე არა წვიმსო.

— რკინა სანამ ცხელია, მანამ გაჭედეო.

— რასაც დათესამ, იმას მოიმკიო.

— რაც თხამ თრიმლს უყო, ის თრიმლმა თხის ტყავსაო.

— რკინას ჟანგი სჭამს, კაცის გულს ჯავრიო.

ს

— სტუმარს სტუმარი ძულდა, მასპინძელს ორიეეო.

— სადაც ძალი შევა, სამართალი ბანიდან ავაო.

— სტუმარო, გაისაჯე, შენი სახეთქიც არისო.

— საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსო.

— სვავი კისერზე მიიზმანს და ძვალს ისე გადაყლაპავსო.

— სხვისი ხელით ნარს ნუ მოგლეჯ — ეკლიანი ბალახიაო.

— სული სულს იცნობს, გული გულსაო.

— საყდრის კარი ღია იყო, ძაღლს ნაშუსი არა ქონდაო.

— სული ტკბილიაო.

— სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო.

— საქონელი პატრონს ეგვანებაო.

— სხვის ამარა ფართო ლოგინს ნუ დაიგებო.

— სირცხვილი დიდი კომბალიაო.

— სხვათა ჭირი — ღობეს ჩხირიო.

— სიკვდილმა თქვა: ისე ვერავინ მოვკალი, რო არას დააბრალესო.

— საქებურმა ხარმა ნიახური გადაქელაო.

— სიცილს ტირილი მოსდევსო.

— სხვათა მაზიარებელი მოკვდა უზიარებელიო.

— სიკვდილმა თქვა: მოგკლაო და—მჯერა შენი ჭკვიდამაო.

— სხვილისა და წმინდის დამფქველს ორივეს ერთი ფასი აქვსო და, ვაი, წმინდის დამფქველსაო.

— სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო.

— სიფთხილეს თავი არა სტკივაო.

— სხვას სხვისი მკვდარი მძინარე გონიაო

— საბზელი რო გეწოდეს, ხელები ძოითბეო.

— სწავლა კაცს სიბერემდის არ მოჭარბდებაო.

— საბზელმა თქვა: ქარის არც გატანილი მინდა არც მოტანილიო.

— სიკივე მიტომ მოვა, რომ ხელფეხი მოგვწვასო.

— სართი დასწრებისა არისო.

— საიდამ სადაო, წმინდაო საბაო.

— სადაც არ იყოს — ცოტაც კმარიყოსო.

— საქმე თუ თავიდან არ დაიწყე, ბოლო რა მოსახმარისი იქნებაო.

— სანეხვეს რამდენსაც გაქექენ, უფრო უარესად — აყოლდებაო.

— საქონელმა თქვა: ღმერთო, მისთანას მიმეცი, მოხმარება შეეძლოსო.

— სადაც არა სჯობს, გაცლა ჯობს კარგისა მამაცისაგანაო.

— სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო.

— სანამ თორნე ცხელია, პური მანამ უნდა ამოაკრაო.

— საღამოს ხეირს დილის შარი ჯობიაო.

— სამი დღის ხბო თავის თავათ წავა წყალზეო.

— სითაც გავიქეცეთ, იქით წავიქეცეთ.

— სადაც დაბალი ღობეა, ყველა მას გადაქელავსო.

— სადაც კვამლი მაღალია, ის იმისი მაყარიაო.

ტ

— ტრედს მისი სიმშვიდით ნისკარტი მოჭრესო.

— ტერტერამ უღელი გადააგდო, კურდღელი მოკლაო.

— ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ დაუჯერებენო.

— ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო.

— ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო.

— ტერტერამ თქვა: მე რომ გაქცეული კურდღელი მინახავს, მისი ხორცი ღმერთმა ნუ მაჭამოსო.

უ

— ურია რომ გალარიბდება, ძველს ვალებს გამოუდგებაო.

— ურემმა თუ შეშა არ მოიტანოს, ურემი შეშად იქცესო.

— ურიამ ცხენის ნალი ნახა და—ღმერთო, სარკინეთი ამოაგდეო.

— უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო.

— ურია წყალს მიჰქონდა, გზაც იქით ქონდაო.

— ურიას ერთი დღე ხვდა, ისიც შაბათიო.

— ურიავ, ღმერთს ნუ ფიცავ ტ „არა, ღმერთმანიო“

— ურია და მისი შვილი ორივე ღმერთმა დააშამათაო.

— ურიამ თაფლი გასცა, უკანვე მიტიროდაო.

— ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდებაო.

— უნამუსო ვირზე შესვეს, „აჩუ ვირო“ — დაიძახაო.

— უნაგირი ვიშოვე — ცხენი ვერ ვიშოვე, ცხენი ვიშოვე — უნაგირი ვერ ვიშოვეო.

— უკუდო ხარი თავისთვინ არ ბყო, სხვას ბუზებს აგერებდაო.

— უნაგირი გქონდეს — ცხენს ბევრჯერ იშოვიო.

— უნამუსო თხაო, ტყიდან გამოხტაო.

— ურჩი მიუშვი ნებასო, თვით შეეყრება სნებასო.

— უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულიაო.

— უშვილო და პურა-ძვირიო.

ფ

— ფული პატარა ღმერთიაო.

— ფონი გასვლის შემდეგ უნდა დალოცოვო.

— თებერვალი და მარტი რომ წინ გედვას — ზამთარს ნურც აქებ, ნურც აგინებო.

— ფეიქარი ფაშა გახდა, მაგრამ მუდამ იგონებდა ვა, შენ ჩემო საფეიქრო, მასრაქო და მასრა მაქოვო.

— ფებერვალი ბერავსო, მარტი ტყავსა კერავსო, აპრილი გაჩქარებულა, სახნის საკვეთს ფერავსო.

— ფებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმაჩიორამ საძირკველი გასკვნაო.

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

— ფერი ფერსა — მადლი ღმერთსაო.

— ფლავი ვის უდგია და მადა ვის აქვსო.

— ფარჩა-ფურჩა გაცვდა და შავი ჟამი დარჩაო.

— ფაფით შეშინებული დოს უბერავდა სულსაო.

ქ

— ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო.

— ქალაქი კარგი სათლელი დუმა არისო.

— ქაჩალმა წამალი იცოდეს — თავს მოირჩენდაო.

— ქაჩალს კითხეს: ვინა გძულსო „ვინც თავი დამბანაო“.

— ქვრივმა ქვრივს მიუტირა, მერე ერთმანეთი თვითვე ანუგეშესო.

— ქათამმა თქვა: ცხვარი დაკლეს ზედ დამაკლეს, ძროხა დაკლეს, ზედ წამაკლეს, ხარი დაკლეს ზედ წამაკლესო.

— ქათმისა მიყვარს ენაო, მაღლიდგან გადმოფრენაო (პატარძალს უთქვამს), მხარ-ბარკალ-მკერდ-კისერ-კურტუმი ცოტა რამ საწეწკელაო, თუ საბძელსაც დაუმატებთ, ისიც არ მეწყინებაო.

— ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო.

— ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო.

— ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო.

— ქვეითი ცხენიანს დასცინოდაო.

— ქალი ქებით გათხოვდება, კარგი რძალი ვის უნახავსო.

— ქალი მორცხვი, ვაჟი ხასი — ქვეყნის ფასიო.

— ქალი იჯდეს, ბედს ელოდდეს, ვაჟი იჯდეს ბერდებოდესო.

— ქურდი რო ფიცზედ მიაგდო, ასჯერ შემოგფიცავსო.

— ქურდმა თუ ვერა იშოვა-რა, თავის ქუდს მოიპარავსო.

— ქურდის შემნახავი ქურდზე უარესიაო.

— ქურდმა ერთი ცოდვა ქნა და დამკარგავმა ათასიო.

— ქარავანს დაცილებიხარო.

— ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს უყვებოდაო.

— ქვევრს რასაც ჩაძახებ, იმას ამოგძახებსო.

— ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვეღარ დააკავებსო.

— ქალი თმიანი—მწვადი მცვრიანიო.

— ქურდს რომ ყური დაუგდო, ღღეში ათჯერ გატყდებაო.

— ქვეყნის ქურდი მთხლეზე მოკლესო.

— ქვა თავის ადგილს მძიმეა, დაიძვრება გამსუბუქდებაო.

— ქოთანი დაგორდება, სარქველს ნახავსო.

— ქოთანმა თქვა: ოქროს ძირი მაქვსო, კოვზმა უთხრა: —მე სულ მუდამ იქ დავტლიკინობ და რაცა გაქვს, არ ვიციო.

— ქალის აშენებული ოჯახი ღმერთმა ვერ დააქციაო და ღვთის აშენებული ოჯახი ქალმა დააქციაო.

ღ

— ღმერთი ჭკუით იცნესო.

— ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდებაო.

— ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, პირველათ ჭკუას გამოულევსო.

— ღვინით გალახულს, ჯოხით გალახული ჯობიაო.

— ღარიბი კაცის პურის ჭამა მადლიაო.

— ღმერთი ვისაც მისცემს, ორივე ხელით მიმცემსო.

— ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო.

— ღაღანიძემ სამი დღის სიცოცხლისთვის, ძალლის ლეკვი შეჭამაო.

— ღვთისაც მეშინიან, ღვთის რისხვისაცო.

— ღმერთსაც თავისი პირით შეეხვეწებიანო.

— ღმერთი მთას დახედავს და თოვლს ისე დადებსო.

— ღმერთმა ქვეყანაზე გადმოიხედა და თქვა: ბევრი ჩემი უნებური მკვდარი არისო.

— ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაშ კაცსა ცოლს ყბედსა და მძინარსაო, ის შეშლის, ის დააბერებს, ის შეჰყრის წყალსა მდინარსაო

— ღვინოსა ვსვამდი კახურსო, არც თავს მატკენდა არც გულსო.

— ღორმა თქვა: გოჭები რომ დამეხვია, წმინდა წყალი ვეღარ დავლიეო.

— ღორს უთხრეს ქეჩოში ქერი გიყრიაო.

— ღორის ტილს რომ ფეხზე დაისვამ—თავში აგიღოღდებაო.

— ღორ-მუცელა კაცის აშენება არ შეიძლებაო.

— ღორი რომ გასუქდება, მგლის დაჭიდებას მოინდომებსო.

— ღმერთი ჩემსკენ იყოს თუარა,—ეშმაკები ვერას დამაკლებენო.

ყ

— ყმაწვილი თუ არ იტირებს—დედა ძუძუს არ მიაწოდებსო.

— ყურძნის სიყვარულით ღობესა კოცნიდენო.

— ყბად აღებული—წყალ წაღებულიო.

— ყვავსაც თავის ბარხალა მოსწონსო.

— ყვავს არ ქონდა, ბუს გაჰქონდაო.

— ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო.

— ყმაწვილი ტირილით გაიზდება, გოჭი ჭყვირილითო.

— ყვავი ნეხვს ჩხრეკავდა და ბოლოს არიდებდაო.

— ყური მიტომ არ იზდება—ბევრი ჭორები ესმისო.

— ყველა ფავისას ჩიოდა, მენახირე ბუზანკალასო.
— ყრუსთვინ ორჯერ არ დარეკენო.
— ყმაწვილის ენა დედას ესმისო.
— ყმაწვილი მიტომ ტირის, რომ გაუდისო.
— ყვავს თვალი არ ქონდა და წამწამს ინატრიდაო.
— ყვავს რა აქვს—კაჭკაჭს რა მიცესო.

შ

— შეგნებულთან ომი ჯობია შეუგნებელთან ლხინსაო.
— შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველსაო.
— შავი თეთრთან დააბი, ან ფერ იცვლის, ან ზნესაო.
— შენ სულ-გრძელობას ჩემი დღე-გრძელობაც უნდაო.
— შუბი ხალთაში არ დაიმალებაო.
— შავ ღორს გინდ ალმა შეფხანე, თუნდ თავდაღმა ჩაფხნე, მაინც ღორიაო.
— შეჭამადს თვალი სჭამს და თვალი სვამსო.
— შავ ღორას შავ-ტრუხა არ დააკლდებაო.
— შინ დაბარებული გარეთ არ გამოადგებაო.
— შორს მოუარე, შინ შვიდობით მიდიო.
— შენი თუ არა იხარჯებოდეს რა—ლხინს ნურა გირჩევნია რაო.
— შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო.
— შეუნდოს ჩემს მკვდარსო, ჩაუდვას ჩემს ყბასო.
— შინ რომ ბავშვები შიმშილით გიკვდებოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო.
— შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო.

— შვილი მტრულათ გაზარდე, მოყვრულათ გამოგადგებაო.

— შენ რომ დიდი მადა გქონდეს — რა ჩემი ქონების ბრალიაო.

— შენ ნახირში წაბძანდი, მე ქორწილში წავეთრევიო.

— შვილმა რომ დედის გულისთვის გულზე ერბო-კვერცხი მოიწვას ყოველდღე, დედის ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო.

ჩ

— ჩემი შენ გითხარიო — გული მოგიკალიო.

— ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

— ჩიტი საცა გაიზდება, მისი ბაღდადი იქ არისო.

— ჩიტი ბდღვნათ არა ღირდა უკან დევნა, მეტი იყოო.

— ჩქარს უგვიანდებოდესო.

— ჩიტი ღობეს მიტომ შეეხიზნება, ქარს ნუ გამატანოო.

— ჩათრეულს ჩაყოლილი ჯობიაო.

— ჩიტი ნარს შეეხიზნა: წვიმა მომიფარეო.

— ჩემი ურგები ქოთანი — ქვასო და შეჭამადი — ძაღლსო.

— ჩხუბში ისეთს სიტყვას ნუ იტყვი, რო შერიგების დროს შეგრცხვესო.

— ჩიკორა ცემით გახეთქეს: რატომ ძმა არა გყავსო.

ც

— ცხრაჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერიო.

— ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო.

— ცარიელმა თითმაო პირი გამამქლითაო.

— ცხვრის დუმას არა ჭამს: უკანიდამ რათ აბიაო.

— ცოტა მოთოხნე, ცოტა მოხოხნეო.

— ცუდათ ყოფას ცუდათ შრომა ჯობიაო,

— ცხვირს მოიწმენდენ და არ მოიგლეჯენო.

— ცას არავინ შეაბერდებაო.

— ცხვარს ცხვრის ფეხით დაჰკიდებენ, თხას თხის ფეხით და ხარს, ძროხასაც თავის ფეხითო.

— ცა ქუდათ არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნათო.

— ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანიო.

— ცდა ბედის მონახევრეაო.

— ცოდვა გამჟღავნებული ჯობიაო.

— ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა—ცხარიაო.

— ციხეს კარი უნდა, კარს უკან კაციო.

— ცეცხლი და გული სტუმარსა, წავა შინ გაახსენდებაო.

— ცეცხლი თივაში არ დაიმალებაო.

— ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირი დაამტვრიესო.

— ცეცხლი ვთქვი და პირი არ დამწვაო.

— ცეცხლის პატარა ნაპერწკალი დიდ ხორას გადაწვავსო.

— ცის ვალი დედამიწას არ შერჩება, დედამიწისა ცასაო.

— ცული პატარა არის, მაგრამ დიდ ხეს წამოაქცევსო.

— ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელიო.

— ცალი ხელით ტაში არ დაიკვრისო.

— ციხე შიგნიდან გატყდებაო.

— ცალიერი ტომარა ზეზე ვერ გაჩერდებაო.

— ცოლ-ქმრის ამბავი მხოლოთ ლოგინმა უნდა იცოდესო.

ძ

— ძმა ძმისთვინაო და ამ დღისთვინაო.

— ძაღლსა სცემდენ და რძალს ასმენდენო.

— ძმამა და ძმამ ანგარიში ქნეს და ისევ ძმები იყვ-ნენო.

— ძილმა სასთუმალი არ იცის და შიმშილმა საჭუკარიო.

— ძაღლი სამჭედლოდან რას გაიტანსო.

— ძერას შვილი მოუკვდა და ბუს მიუგდო: „დიდი თავი გაქვს და იტირეო“.

— ძნა იწოდა, ულო იცინოდაო.

— ძაღლის კუდი კალაპოტში არ გასწორდებაო.

— ძაღლი ძაღლის ძვალს არ გატეხსო.

— ძაღლი ჭიბოსანს ტლაკავდა: ენაში სისხლი გადიოდა ბ ეგონა: ჭობოსანს გადისო.

— ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო.

— ძალა ალმართს ხნავსო.

— ძაღლისა ბატკანი ვის უნახავსო.

— ძაღლისა წინიდან გეშინოდეს, ცხენისა უკანიდანო.

— ძროხამ იწველა, იწველა, ჰკრა წიხლი და დააქციაო.

— ძაღლი არის ძაღლისაო, ორივ ერთი გვარისაო.

წ

— წისქვილის ქვები თუ ერთმანეთს არ ეხმარებოდენ, ცალმა რამდენიც უნდა იბრუნოს, ვერას დაფქვავსო.

— წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

— წკნელი სანამ პატარაა—მოგრიხე, გაიზდება, აღარ მოიგრიხებაო.

— წითელი ოქრო შავი დღისთვისო.

— წავიდა დღე და ფათერაკი.

— წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.

— წყალში თევზი არ დაფასდებაო.

— წყალ გაღმა წაედავე, გამოღმართი ხელთ დაგრჩებაო.

— წაიქცა ჯირკი და მიესია ჯინჭველაო.

— წინა კაცი უკანისა, ნათქვამია, ხიდიაო.

— წიფეს უსვრიდნენ და კუხე ცვიოდაო.

— წედისი (ჭედისი) დაიწვაო და რაც იმას ბერვა ქონდა; ან აქამდინ როგორ გაძლოვო.

ჭ

— ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო.

— ჭკუავ, გიყიდი ფასადა, თუ მოგიღებდა ვაჭარიო.

— ჭირს გაძლება უნდაო

— ჭამამ რა მიყო, ლუკმამ რა მიყოსო.

— ჭკუა მოგონებაზე კიდიაო.

— ჭიას რომ ფეხს დაადგამ, ისიც გიკბენსო.

— ჭორი თქვას და მეჭორე ხელში დაიჭირეო.

— ჭირო, მეზობლისას წადი, მე კი მამშორდიო.

— ჭირიც აღარ მიუბრუნდება მეორეთო.

— ჭინჭარი ჭირის ჭირია, სატაცური ბალღამიაო.

— ჭედე რკინა, სანამ ცხელიაო.

ხ

— ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო.

— ხვნაში პირობა ჯობია მკაში პირობასო.

— ხნიერ კაცს სიზმარიც დაეჯერებაო.

— ხარმა ხარს ურქინა და კარგ ბალახში გადააგდო.

— ხერხი ჯობია ლონესო, თუ კაცი მოიგონებსო.

— ხარი სხვისა, სახრე ტყისა, გაჭკა და გაუჭირეო.

— ხუცესს არ უჯერებდენ და ხუცის ძაღლს კიო.

— ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ზედ მიეხვევაო.

— ხელმა ხელი დაბანა, ორივემ პირიო.

— ხარი ქირაზე მოკვდება, კოკა წყალზე გატყდებაო.

— ხარბს თვალს შავი მიწის მეტი ვერა გააძღებსრაო.

ჯ

— ჯერ თავო და თავო მერე, ცოლო და შვილოვო.

— ჯორჯმა ძაღლმა რომ კურდღელი მოგიბრუნოს, დაჭირვაში ჩავარდებაო.

— ჯერ ძილო და მერე სიზმაროვო.

— ჯერ ფონს იკითხვენ, მერე წყალში შევლენო.

— ჯერ შობა არ მინდოდა და მერე სიკვდილიო.

— ჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო.

— ჯდომას და დგომას ერთი ფასი აქვსო.

— ჯერ ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკებს ალბობდენო.

— ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდენო.

მ ა რ გ ა ლ ი ტ ა.

(ზღაპარი, ქართლში ჩაწერილი ვანო ლალიაშვილისაგან.)

I

იყო და არა იყო, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთ დროს იყვნენ ერთი ღარიბი ცოლ-ქმარნი. იმათ ბედზედ არა მოიპოვებოდა რა: არც ერთი ხეირიანი სახლი, არც კარი და არც სარჩო-საბადებელი. სცხოვრობდენ ერთ უდაბურს ტყეში თინია და ბერიკა; აგროვებდნენ იმავ ტყეში ფიჩხს, მიჰქონდათ იქვე შორი-ახლოს მდებარე ქალაქში, ჰყიდდენ და ამით დღიურათ თავს ინახავდნენ. ასე, ამ ყოფით იყვნენ რამდენიმე წელიწადს. ერთს დღეს ბერიკა ტყეში წავიდა ფიჩხის მოსატანათ, თინია კი სახლში დარჩა, რადგან ორსულათ იყო, სიარული არ შეეძლო და დღე-დღეზედ მორჩენას ელოდებოდა. ბერიკა კარგა შორს იქნებოდა წასული, რომ საბრალო თინიას მუცელი ასტკივდა. რაკი თავის თავის მეტი მომვლელი არავინა ჰყავდა, ისევ თითონ შუა ცეცხლის პირთან დააგო თივა, ზედ ლოგინი გაშალა და დაწვა. ტკივილმა თან-და-თან შეაწუხა. რამდენიმე ხნის შემდეგ იმათ ღარიბ ქოხში შემოვიდნენ სამი ბებერი ქალები, მოუარეს ავათმყოფს, როგორც რიგი იყო, თავაანთებურათ უბებიეს და მოარჩინეს კიდეცა. თინიას შეეძინა ქალი. ბებრებმა აიყვანეს ბავშვი, დააწვინეს პა-

ტარა ჩაჩაბაზედ და მერე დედას დაუწყეს მოვლა. აგერ თითქმის საღამოს ჟამმა მოაწია და ბერიკა არსაიდან ჩნდა, იმ ბებერ ქალებსაც წასვლა ეჩქარებოდათ; წასვლის დროს სთქვეს: მოდი ბარედამ მოვნათლოთ და ისე წავიდეთო. მართლაც ასე მოიქცნენ. მონათლეს ყმაწვილი და სახელათ მარგალიტა დაათქვეს. ეხლა რა დავანათლიოთო? სთქვეს. ერთმა სთქვა: მე ჯვარს დავკიდებ გულზედ! ის ჯვარი თუ მოშორდეს, მოკვდეს და თუ არ მოშორდეს და მუდამ ჰქონდეს, საუკუნოთ იცოცხლოსო. მეორემ სთქვა: მე სილამაზეს და გაზრდა-მატებას დავანათლიებ; ერთი წლისა რომ გახდეს, სამისა ეგონოთ, ხუთისა რომ გახდეს, ათის და თხუთმეტისაო; ისეთი ლამაზი, მშვენიერი, მომხიბვლელი და ეშხიანი გამოვიდეს, რომ მთელი ქვეყანა მაგას შენატრიდეს და ბედნიერი იყოსო. მესამემ სთქვა: როცა სტიროდეს ან ლაპარაკობდეს—მარგალიტის მარცვლები და ძვირფასი თვლები მოსცვივოდეს პირიდგანაო. ყოველივე ეს გაათავეს, ბავშვის დედას კიდევ მოუარეს, საჭმელი დაუტოვეს და წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბერიკაც მოვიდა. რომ ნახა თავის მეუღლე მშვიდობით მორჩენილი და ბავშვით, ძალიან გაუხარდა. ცოლმა ყოველივე უამბო, როგორ მოაოჩინეს ქალებმა. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვს გამოეღვიძა და ტირილი დაიწყო. მართლაც გადმოცვივნდა პირიდგან და თვალებიდგან მარგალიტები და ძვირფასი თვლები. ისე მალე აივსო იქაურობა, რომ ბერიკა ვერც-კი ასწრობდა აკრეფას: როგორც სეტყვა, ისე დაცვინდა ძირს იმოდენა მარგალიტები. ბერიკას სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. მალ-მალ ჩაიტანდა ხოლმე ქალაქში და ჰყიდდა კარგ ფასათ. ერთი წლის განმავალობაში ბერიკამ იყიდა ერთ მშვენიერ ალაგას სამოსახლო ადგილი, შიგ აა-

შენა მშვენიერი და უზარმაზარი სასახლე, კარ-ფანჯრები გაუკეთა სულ ოქროსი და თვალ-მარგალიტით მოჭედილი; ეზოზედ შემოავლო ოქროს გალავანი, ჭისკარიც (ალაყაფის კარები) ოქროთი და თვალ-მარგალიტებით მორთო. ქალიც გაიზარდა. ათი წლისა რომ შეიქნა, ისეთი მშვენიერი რამ გახდა, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა. იმის ტოლი. იმ ქვეყანაში არავინ იყო და ყველა მას შენატროდა.

სცხოვრობდა ბერიკა თავის ცოლ-შვილით და მოსამსახურეებით რამდენიმე წელიწადს. მარგალიტა თან-დათან იზრდებოდა, უფრო და უფრო მშვენიერდებოდა, ამომავალ მზეს ემგზავსებოდა და მამის სიმდიდრესაც უმატებდა.

ერთ დღეს ერთი ხელმწიფის შვილი თავის ვეზირებით წასულიყო სანადიროთ ერთს თავაანთ სახელმწიფო ტყეში. ინადირეს საღამომდის ისე, რომ სახლში წასვლა სულ-დაავიწყდათ და შეუძლებელიც იყო მაშინ იმათი წსვლა, რადგან ძალიან დაღამდა. გაჩერდენ ერთ ადგილს და დაიწყეს ფიქრი, თუ სად გაეთენებიათ იმ ღამეს. ბოლოს გაიხედეს და დაინახეს სანთლის შუქი. სთქვეს: აქ სწორეთ ვინმე მოსახლე უნდა იყოსო. გაიარეს ცოტა და დაინახეს ოქროს, ბრჭყვიალა გალავანი და შიგ მშვენიერი ქალი, ოქროსივე და ძვირ ფასი თვალ-მარგალიტებით მორთული სასახლე, რომლის ზურმუხტ-ლალებს ათას-ნაირათ აბჭყვრიალებდა გარშემო სანათურები. წავიდნენ და პირდაპირ ჩავიდნენ იმ სასახლესთან. ხელმწიფის შვილმა ვეზირი ჩაგზავნა ეზოში, თვითონ გადმოღმა გაჩერდა და შეუთვალა სასახლის პატრონს: (სასახლის პატრონი ბერიკა იყო) დღეს სანადიროთ ვიყავით ამა და ამ ტყეში, უცბათ დაგვიღამდა,

სახლში წასვლა ველარ მოვასწარით და, თუ შეიძლება, ამაღამ თქვენსა ღამე გაგვათევინეთ. ვეზირი მივიდა ბერიკასთან და უთხრა ყოველივე, რაც დააბარა ხელმწიფის შვილმა. ბერიკამ, რა გაიგო უცხოსი და ძვირფასი სტუმრების მოსვლა, მაშინვე დიდი სიამოვნებით მიიღო.

ბერიკა, როგორც ეკადრებოდა ხელმწიფის შვილს და მის ვეზირებს, ისე გაუმასპინძლდა; იმისთანა ვახშამი გაუკეთა, რომ თვით ხელმწიფის სასახლეშიაც არ გაკეთებულა იმისთანა. იმ ღამეს ბერიკამ კარგი პატივი სცა სტუმრებს, კარგი დროებაც გაატარებინა და მეორე დღეს გამოემშვიდობენ სტუმრები, დიდი მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს და წავიდნენ.

თურმე ხელმწიფის შვილს იმ ღამეს მარგალიტა ძალიან მოწონებოდა. რამდენმა ხანმაც გაიარა, იმდენი უფრო შეუყვარდა, სიყვარული გულში ჩაეჭრა. რამდენი დღეც გადიოდა, იმდენათ უფრო და უფრო უცხოველდებოდა და ერთ ადგილას ველარ დგებოდა: სიყვარულმა საშინლათ გაიტაცა, რა ექნა, ალარ იცოდა... სანადიროთ სიარულს უფრო მალ-მალე მოუხშირა; დადიოდა იქეთ, საითაც მარგალიტა ეგულებოდა. ერთი კვირა ისე არ გაივლიდა, რომ ორჯერ-სამჯერ მაინც არ გაევლო მარგალიტა მამის სასახლისკენ და მარგალატასთვის თვალი არ გადაევლო გულის თრთოლვით. რა დღესაც მარგალიტას ან იმის ახლო-მახლო არე მარე არ დაენახა, ის დღე დღეთ ალარ მიაჩნდა.

ასე, ამ ყოფით გაატარა რამდენიმე თვე ხელმწიფის შვილმა, როშელიც ისე ძლიერ მოიხიბლა იმ ღამეს მარგალიტასაგან. ხელმწიფის შვილმა გაუგზავნა ბერიკას თავის უმცროსი ვეზირი და სთხოვა, რომ უეჭველათ

უნდა თქვენი ქალიშვილი მომცე ცოლათო. ბერიკამ შეუთვალა: მე თქვენი საკადრისი ქალიშვილი არა მყავსო და არც ღირსი ვარ თქვენი დამოყვრებისაო. ვეზირი წავიდა, მივიდა ხელმწიფის შვილთან და ყოველივე მოახსენა, რაც ბერიკამ დააბარა. ხელმწიფის შვილმა ისევ უკან დააბრუნა ვეზირი და სთხოვა: იქნება თქვენ არ მკადრულობდეთ მე სიძეთ, თორემ მე დიდი ხნის სურვილი მაქვს, რომ თქვენი ქალიშვილი შევირთოვო. ბერიკამ უარი ველარ შეუთვალა, რაკი მეორეთა სთხოვა და უთხრა ვეზირს: თანახმა ვარ და მოხარულიც, რომ ხელმწიფის შვილს ჩემი ქალიშვილი სურვებიაო; მობრძანდეს საქორწილოთ, მზათ დავხვდებიო. ვეზირი მაშინვე დაბრუნდა და მოახსენა ხელმწიფის შვილს: ბერიკა თანახმა არის და საქორწინოთ მოემზადეთო; თვითონაც ემზადება და თქვენც გელითო. ხელმწიფის შვილი მაშინვე მოემზადა, როგორც ეკადრებოდა ხელმწიფეს: შეჰყარა მრავალი ნაზირ-ვეზირი, წაიყვანა თავის მამის სახელიწოდგან საუკეთესო კაცები და წავიდენ. მივიდენ ბერიკასთან, დაიწერეს ჯვარი მეფედოფალმა და გიიმართა დიდი ლხინი. თითქმის ერთი თვის განმავლობაში საერთო ლხინი არ შეწყვეტილა ბერიკას ოჯახში. ბოლოს წასვლის დრომაც მოაწია. გამოაწყო ბერიკამ და თინიამ თავის ქალიშვილი წასაყვანათ: ჩაულაგეს მრავალი ძვირფასი ნივთები მზითვად, აჰკიდეს ჯორცხენებზე უთვალავი თვალ-მარგალიტი და ოქროები და გაისტუმრეს სიძე და ქალიშვილი. ერთი გადია ჰყავდა მარგალიტას, რომელიც თითქმის ბავშობიდან იმის გაზდილი იყო და ძალიანაც უყვარდა მარგალიტას. ისიც თან გაატანეს. გადიას ერთი ქალიშვილი ჰყავდა, რომელიც მარგალიტას ძალიან ჰგავდა და ერთიც

კატა. ისინიც გადიამ თან წაიყვანა და გაუდგენ გზას სიმღერით და ცეკვა-თამაშით. ბევრიიარეს თუ ცოტა, მივიდენ ერთ მაღალ, დაბურულ ტყეში, რომელშიაც გზა. წვრილი მიდიოდა და იქ უნდა გაევლოთ. შუა ტყეში რომ შევიდენ, გადიამ უცბათ კატა გაუშვა ხელიდგან. კატა რასაკვირველია გაიქცა. გადიამ ყვირილი მოართო: არიქა, მიშველეთ, კატა წამივიდა, დავიღუპევო! თავ-მომწონე მაყრები მაშინვე გამოუდგნენ ცხენებით კატას დასაჭერათ და ხელმწიფის შვილი (ნეფე) თან მიჰყვა. მაგრამ ისე უცბათ რას დაიჭერდენ: კატა ხან ერთ ხეზე შეხტებოდა და ხან მერეზე, კარგა შორს გაიქცა და მაყრებიც ⁄ ნეფეც სულ ერთიან იმას გამოეკიდნენ. ქალები კი მარტო დარჩნენ ერთ ადგილს გზის პირზე. სანამ მაყრები კატას დაიჭერდნენ და მოვიდოდნენ, გადიამ უცბათ გადმოაგდო მარგალიტა თავის ცხენიდგან, გახადა ტანისამოსი, ააძრო გულზე ის ჯვარი, რომელიც იმათ დაანათლიეს მაშინ, ჩააცვა თავის ქალიშვილს მარგალიტას ტანისამოსი, დაჰკიდა გულზე ის ჯვარი, შესვა მარგალიტას ცხენზე და საწყალი მარგალიტა წაიყვანა და ერთს ეკლიანს და ჭაობს ადგილში გადააგდო. ჯვარი რომ მოშორდა მარგალიტას გულზე, დასუსტდა და ადგომა ვეღარ შესძლო. ძლივს-ძლივობით დაეჭირათ მაყრებს და კატა მოუყვანეს გადიას. გადიამ დაარიგა თავის ქალიშვილი, როგორ უნდა მოქცეულიყო. აიღო მარგალიტები, ჩაუყარა პირში, უბეში და ჯიბეში ⁄ უთხრა: როცა დაილაპარაკო, თითო-ოროლა გადმოაგდეო. მარგალიტა და გადიის ქალიშვილი ძალიან ჰგვანდნენ ერთმანეთს და რომ მოვიდენ მაყრები და ნეფე, ვერ იცნეს, თუ გადიას მარგალიტა გამოეცვალა. შესვეს გადიაც ცხენზე და რაზმებათ დარიგდნენ წასასვლელათ. გადიამ დაიძახა წა-

სვლის დროს: თუ არ წამოხვალ, ჯანდაბაშიაც წასულხარ, ცოცხალიც ნულარ ადგები მანდედგანაო!—ვინ არისო?—ჰკითხა ხელმწიფის შვილმა.—ჩემი ქალიშვილი გახლავთ, ბატონო! აქ რომ წამოვიყვანე—გაჯავრებული არის და შინ დაბრუნება უნდაო—მიუგო გადიამ. ნეფემაც ყურადღება არ მიაქცია. წავიდნენ მაყრები, წაიყვანეს ნეფე-დედოფალი და მიიყვანეს თავის მამის სასახლეში. იქაც დიდი ლხინი და ქორწილი გამართეს. ერთ თვეს თითქმის ლხინის და საკრავების ხმა არ გაწყნარებულა.

II

სადაც გადიამ მარგალიტა გადააგდო, იქ თურმე ახლოს ერთი პატარა გზა-წვრილი მოჰყვებოდა. იმ დღეს, რა დღესაც ეს საქმე მოხდა, იმ გზაზე ჩამოიარა ერთმა მოხუცმა კაცმა: ნაშხირით სავსე გუდა მოეკიდა ზურგზე და გასასყიდათ მოჰქონდა. რომ მიაწია იმის პირდაპირ, სადაც მარგალიტა ეგდო ჭაობში, რაღაც ხმაურობა მოესმა: ვაი, მიშველეთ, ვინა ხართ პატრონიო! მოხუცი ამ ხმაურობაზე შეჩერდა და დაუძახა: ცოტა ხანს მოიცადე, ამ ნახშირს გავყიდი, მოვალ და გიშველიო! კიდევ დაიძახა ჭაობიდგან: თუ ადამიანი ხარ ვინმე, დროზე მიშველე, რად გინდა ნახშირი, ერთი აქ ჩამოიხედეო! მოხუცმა ჩაიხედა ჭაობში, მაგრამ რას შეხედავდა უკეთესს!.. ჯერ მშვენიერი ქალი ესვენა შიგ და მერე თვალ-მარგალიტებით იყო იქაურობა სავსე!.. საჩქაროთ გადააგდო ზურგიდგან გუდა, გადმოყარა ნახშირი და ჩავიდა ჭაობში მარგალიტასთან. ჯერ მოხუცმა აავსო თავის გუდა მარგალიტებით, სულ აკრიფა, ერთიც არ დაუტოვებია და მერე უთხრა მარგალიტამ თავის თავ-გადასავალი, რაც მოსვლოდა იმ დღეს და მერე

სთხოვა მოხუცს: წამიყვანე შენს სახლშიო. მოხუცმა მაშინვე წაიყვანა მარგალიტა და ის ერთი გუდა ძვირფასი თვლებიც წაიღო.

მარგალიტამ მოხუცის სახლში ერთი თვე კიდევ იცოცხლა, ბევრი ძვირფასი თვლები და ოქროები დაუტოვა და ძალიანაც გაამდიდრა მოხუცი. როცა კვდებოდა, მოხუცს დაუბარა: რომ მოვკვდე, ამა და ამ სახელმწიფო ტყეში, სადაც მე გადიამ გადამაგდო, იმ ადგილს გააკეთე ერთი დიდი და ძალიან მაღალი სამრეკლო, სვეტები სულ ოქროთი იყოს მოჭედილი, ოქროსივე სახურავით დახურე, ოქროს კიბე გაუკეთე ზედ ასასვლელათ, ოქროს კუბო გამიკეთე, სულ ძვირფასი თვლებით მორთე და მე რომ მოვკვდე, ჩამასვენე შიგ, ამიტანე იმ სამრეკლოზე, შუა ალაგას დამასვენე და ოთხი დიდი ოქროს სამთლები დამინთე: ორი თავით და ორიც ფეხებითო და მერე თავისუფალი ხარო. მოკვდა კიდეც საბრალო მარგალიტა. მოხუცმა კაცმა, როგორც დაუბარა, ისე მოიქცა და ყოლიფერი აუსრულა. გაუკეთა სამრეკლო, ჩაასვენა ოქროს კუბოში, აუნთო ოხთი სამთელი, დასტოვა და წავიდა თვითონ.

III

გაიარა რამდენიმე ხანმა; ბევრმა დრომ და ჟამმა განვლო. მოუნდა კიდევ იმ ხელმწიფის შვილს სანადიროთ წასვლა. ადგა და წავიდა მარტო სანადიროთ. მივიდა იმ ადგილს, სადაც მარგალიტა დასტოვა გადიამ, ინადირა იმ ტყეში საღამომდის. მზე ჩავიდა და უცბათ ამ შუა ტყეში დაუღამდა. წასვლის დროს აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა; ძალიან ბნელოდა. და თითქმის წასვლას ვეღარ ბედავდა. მეორეთ კიდევ გაიხედა და სადღაც შორს

სინათლეს მოჰკრა თვალი. გასწია და პირდაპირ მივიდა სინათლესთან ახლოს, აიხედა ზედ, რას შეხედავს! დიდ მაღალ, თვალ-უწვდენელს სამრეკლოზედ დიდრონი სანთლები ანთია და სულ იქაურობას ანათებს. ხელმწიფის შვილს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა და სთქვა: რაც უნდა მომივიდეს, ერთი ამ სამრეკლოზედ ავალო! მართლაც ავიდა ზედ, გაიხედა — რას შეხედავს! ოქროს კუბო დგას პირ-გადახდილი და შიგ მშვენიერი ქალი ასვენია. ხელმწიფის შვილს კინაღამ ბნედა მოუვიდა, რომ დაინახა ისეთი მშვენიერი, ლამაზი ქალი უდროვოდ მკვდარი. დიდ ხანს გაშტერებული უყურა, უყურა... მერე ტირილი მოუვიდა; ბევრი იტირა და სთქვა: ცოდვა არ არის შენისთანა ადამიანის სიკვდილიო!.. ხელმწიფის შვილმა ქალს ხელი მოჰკიდა, გასინჯა, მაგრამ მკვდარს არა ჰგავდა, როგორც ახალი დაძინებული ადამიანი, ისე იყო. რადგან დაღამებული იყო, ხელმწიფის შვილი სადღა წავიდოდა? იმ ღამეს სამრეკლოზედ დარჩა, მეორე დღეს დილით ადგა და წავიდა სახლში. გაიარა სამმა თვემ და კიდევ მოვიდა იმ სამრეკლოზედ დასაოვალიერებლათ; გაშინჯა კიდევ, ნახა მიცვალებული, ისევ ისე დახვდა, როგორც წინათ, და მუცელი გაზრდოდა მიცვალებულს. წამოვიდა. კიდევ სამმა თვემ განვლო. კიდევ წავიდა სანახავათ. ნახა მიცვალებული: ეხლა უფრო მომატებოდა მუცელი. დაბრუნდა კიდევ. იმის მეტმა არავინ იცოდა და რომ შესრულდა ცხრა თვე, მივიდა კიდევ სამრეკლოზედ, ავიდა ნახა: შვებულა ბავშვი, ძირს გადმოფორთხებულა და სტირის. დაინახა თუ არა ხელმწიფის შვილმა, რომ ქალი ისევ მკვდარი იყო და ბავშვი-კი ცოცხალი, — ძალიან გაუკვირდა, დაიჩოქა, ილოცა ცოტა ხანს, ახსენა ღმერთი და წაიყვანა ბავშვი სახლში და წავიდა. მიაბარა ძიძას, მო-

ულარეს კარგათ და გაზარდეს ყმაწვილი. სამი წლისა რომ შეიქნა, აიტეხა ბავშვმა ტირილი, იტირა და იტირა და, უსრულებლათ. მოუტანეს ბავშვს ათასნაირი სათამაშოები, მაგრამ არც ერთი არ მიიკარა. მოუტანეს ბოლოს ჯვრები. ბავშვმა დაუწყო ჯვრებს შინჯვა; ამ ჯვრებში ამოარჩია ერთი უფერული ჯვარი, დანარჩენები გადააგდო და ის ერთი ჯვარი დაიჭირა ხელში და გაჩუმდა. ეს ის ჯვარი იყო, რომელიც მარგალიტას დაანათლიეს. ერთი საათის შემდეგ კიდევ დაიწყო ტირილი ბავშვმა, მოჰკიდა ხელი ხელმწიფის შვილს კალთაზე და დაუწყო წევა იქითკენ, საიდგანაც მოიყვანა. ერთ დღეს კიდევ უყურა ხელმწიფის შვილმა ბავშვს და მერე იფიქრა: ამას სწორეთ იქ უნდა წასვლა, საიდგანაც მოვიყვანეო. დაუძახა მეჯინიბეს, გამოაყვანინა ცხენი, შეჯდა, ყმაწვილი დაისვა და წავიდა ჭისკრისკენ. ჭისკართან რომ მივიდა, განგებ დაბრუნდა ხელმწიფის შვილი. ყმაწვილმა ტირილი მოართო. ადგა ტ წავიდა პირდაპირ სამრეკლოსაკენ, მივიდა სამრეკლოსთან, ცხენი ძირს დააბა, აიყვანა ყმაწვილი და ავიდა ზევით. გაუშვა ბავშვი თავის ნებაზე, თვითონ ერთ კუთხეში დადგა და დაუწყო ყურება. ბავშვმა ფეხზე სიარული არ იცოდა, წავიდა ფორთხვით, მივიდა კუბოსთან, აფორთხდა დედის გულზე, აიღო ჯვარი, დაადვა დედას გულზე, აიღო ბოლოს ჯვარის საბმული და გადააცვა კისერზე. თვითონ გადმოფორთხდა ძირს და კუბოს გვერდით მოუჯდა. ხელმწიფის შვილი გაკვირვებული უყურებს ამ ბავშვის ამბავს. ცოტა ხნის შემდეგ ქალმა თვალები გაახილა, სახეზე ხელები გადაისვა და წამოჯდა ზევით. გაიხედ-გამოიხედა აქეთ-იქით და კუთხეში გაჩერებული დაინახა თავისი ქმარი. ქმარმა ვერ იცნო. ქალმა აიღო თითი

და უჩვენა ქმარს მისი ნიშნათ მინატანი ბეჭედი. ხელმწიფის შვილმა მაშინვე იცნო თავისი მარგალიტა, ძალიან გაუკვირდა: ამას რა ამბავსა ვხედავო! მარგალიტამ ყოლიფერი დაწვრილებით უამბო, რაც დღე გადიამ დააყენა, როგორ გადააგდო ჭაობში, როგორ დაუძახა, როგორ თვითონ ხელმწიფის შვილმა ჰკითხა: ვინ არისო, და რაც გადახდა—სულ უთხრა. მაშინვე ხელმწიფის შვილმა იქვე იშოვნა მეორე ცხენი. შესხდნენ ორივე თავიანთი შვილით და წამოვიდნენ შინ. ხელმწიფის შვილმა დაუძახა მომტყუილებელ გადიას და თავის ცრუ მეუღლეს და ორივენი მაშინვე დაახოცვინა ერთათ. მარგალიტამ და იმისმა ქმარ-შვილმა ბოლოს მშვიდობით იცხოვრეს.

ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე.

დ ა რ დ ი ა ნ ი

(ჩაწერილი მიხეილ როსტომაშვილისაგან)

ერთი კაცი ქვეყნიერობისთვის დარდობდა: რა დღეს-აც ქვეყნის ავი სიტყვა გაეგონა, იმ დღეს პურს აღარ შესჭამდა. ერთ დღეს ვერა გაეგონა რა, იყიდა ოთხ ნაირი ხორაგი, მიიტანა სახლში და უთხრა ცოლს: დედაკაცო, დღეს ქვეყნის მშვიდობიანობა მესმის, კარგი სადილი მომიმზადეო. რასაკვირელია გაუკეთა სადილი და როგორც რო დაჯდა სუფრაზე, შამოვიდა ერთი პატარა ბიჭი და უთხრა: — ოსტატო, ახალი ანბავი არ გაგიგიაო? — რა არის, შვილო, ახალი ამბავიო? — ქვეით უბანში ერთ ფურს უკუდო ხბო მოუგიაო.

დაღონდა ეს კაცი და უთხრა ცოლს: აალაგე სუფრა, თორემ პური გამიმწარდაო. ცოლმა უთხრა: კაცო, შენ იმისთვის რასა დარდობ, შენ ხომ ცეტი არა ხარო! — მაშ იმას მკათათვეში რომ ბუზები დაეხვივნენ, რით უნდა მოიგეროსო? და ადგა სუფრიდგან.

სოლომონ ბრძენი

(მისივე)

სოლომონ ბრძენმა ერთი სასახლე ააშენა, რომელიც თვალ-მარგალიტის იყო. თავის ნაზირ-ვეზირებს უთხრა: ჩემი სასახლის ფასი უნდა გამიგოთო.

წავიდნენ სამნი, სამი წელიწადს იარეს, მაგრამ ფასი ვერ გაიგეს და უკანვე დაბრუნდნენ. მომავლობაში ერთი მენახირე შეხვდათ. ჰკითხა მენახირემ:---რას დადიხართ, რას დაეძებთო? იმათ შესჩივლეს: ჩვენ სოლომონ ბრძენის კაცები ვართ, იმან ერთი სასახლე ააშენა და ჩვენ გამოგვგზავნა, რომ იმისი ფასი შევიტყოთ; სამი წელიწადი ვიარეთ, ვერა შევიტყეთ-რა და ახლა უკანვე მივდივართო. მენახირემ უთხრა:--მაგას მე გასწავლით, აი, მაგის ფასი: შვიდ მაისში რომ წვიმა მოვა, ის არისო. ნაზირ-ვეზირებს ძალიან გაუხარდათ, წავიდნენ და მოახსენეს სოლომონ ბრძენსა.

სოლომონ ბრძენმა უთხრა: – ვინ გასწავლათ ეგაო? —ერთმა მენახირემო—მიუგეს ნაზირ-ვეზირებმა. სოლომონ ბრძენმა მაშინვე გაგზავნა კაცები და მოაყვანინა იგი მენახირე.

სოლომონ ბრძენის სასახლის მახლობლად ერთი მდინარე ჩამოდიოდა, ზედ ერთი დიდი მორი იყო გადებული ბოგირად და ვისაც იმ წყალს გაღმა-გამოღმისას სჭირდებოდა გასვლა, იმაზე უნდა გაევლოთ. როცა მენახირე მოუახლოვდა ბოგირს, გაიხადა ფეხთ და წყალში გამოჭყუპა. სოლომონ ბრძენი ამ დროს თავის სასახლის აივანზე იდგა და დურბინდით იყურებოდა. მენახირის ასეთი საქციელი ეუცხოვა და გადასწყვიტა გამოეკითხა მიზეზი, თუ რისთვის არ გამოიარა ბოგირზე. როცა მენახირე მოვიდა სოლომონ ბრძენთან, სოლომონმა ჰკითხა:--რისთვის არ გამოიარე ბოგირზეო? მენახირემ მიუგო:—მე ჩემი თავი ღირსად არ ვცანი მისი დალახვისა, რომ დამელახა იგიო. სოლომონმა მიუგო: განა ის ისეთი რა არისო, რომ ეგრე ეკრძალებიო? მენახირემ მიუგო:--როდესაც ადამი სამოთხიდაგნ გამოაგდეს დ ა

აუკრძალეს იქ შესვლა, მაშინ ანგელოზებს შეეხვეწა: მაშ ერთი ხელ-საბჯენი მაინც მამეცით, რომ მანამ ცოცხალი ვარ, ვატარო სამოთხის სახსოვრადო. ანგელოზებმა აუსრულეს თხოვნა და მისცეს ერთი პატარა ღერი. ადამი მანამ ცოცხალი იყო, ის ღერი ხელით ატარა ბ როცა გარდიცვალა, მისმა შვილებმა ის გამხმარი ღერი დაურჭეს ადამის საფლავზე. გამხმარმა ხემ იხეირა, გაიზარდა უშველებელი ხე და, აი, ახლა თქვენ ის ხე გაგიდვიათ ხიდათ მდინარეზე და ამისათვის არ გამოვიარე მასზეო. სოლომონ ბრძენმა ჰკითხა მენახირეს:--შენ რომ ეგეთი ბრძენი ხარ და იცი ყველაფერი, მაშ გეცოდინება — ღმერთი სად არისო? მენახირემ მიუგო:--როგორ არა, მე ვიცი, ღმერთი საცაა — ღმერთი ტყეშიაო. სოლომონმა მიუგო: ტყეში რას აკეთებსო?

— ტყეში კიბეს აკეთებს — მიუგო მენახირემ.

— კიბე რათ უნდა? ჰკითხა ბრძენმა.

— ზოგი აჰყავს, ზოგი ჩამოჰყავს — მიუგო მენახირემ.

II

სოლომონ ბრძენს ერთი მოსაგები ფურ-კამეჩი ჰყვანდა. მენახირეს აჩვენა და ჰკითხა: — შენ რას იტყვი, როგორს ზაქს მოიგებს ეს კამეჩიო? მენახირემ მიუგო: ზაქს კუდზე პატარა თეთრი ექნებაო. სოლომონმა უთხრა: არა, შუბლი აქვს თეთრიო. მენახირემ მიუგო: კუდი შუბლზე უდევს და ამიტომ თეთრათ გეჩვენებათო. მართლა და იმ ღამეს კამეჩმა მოიგო და ზაქს კუდი გამოადგა თეთრი.

III

სოლომონ ბრძენმა უთხრა მენახირეს: ეგეთი მეცნიერი ხარ და რათა ხარ ეგრე საწყლადო? მენახი-

რემ მიუგო:—ცაში ერთი ყოჩი აბია, მე რო ვიბადებოდი, ყოჩმა მოიფხანა და რქა კანჭში მოიხვედრა, იმიტომ ასრე ვარ მჭლეთო. შენ რომ იბადებოდი—მოიფხანა და დუმაში მოიხვედრა, ამიტომაც თქვენ ეგრე მსუქნათ ხართო. სოლომონმა უთხრა: რამდენიც გინდა, მოგცემ სარჩოს, წაიღე და იცხოვრეო. მენახირემ მიუგო: თუ ღმერთი არ მამცემს, შენი მოცემული რას მარგიაო!..სოლომონმა შვიდი ჯორი მაინც აუკიდა და თავის კაცების თან გაყოლებით გაატანა და თავის კაცებს უთხრა: შინამდის მიუტანეთო. მენახირემ მადლობა უთხრა და წავიდნენ. იარეს. იარეს, და ერთ ხევში შევიდნენ; აქნამდის წყალი პატარა მოდიოდა, მაგრამ უცბათ ადიდდა და ჯორები საქონლიანათ წაიღო, სოლომონ ბრძნის კაცებიც დაიხრჩვნენ, მენახირე ფორთხა-ფორთხა გავიდა. ნაპირზე რომ გავიდა, თავის კომბალი წინ დახვდა.

IV

სოლომონ ბრძენს ერთი მოახლე ჰყვანდა. ამ მოახლეს ერთი გოლიათი ფალავანი კაცი ჰყვარობდა და კვირაში ერთხელ მოდიოდა; სახელად დამშელი ერქვა ერთ დღეს სოლომონი აივანზე იდგა და დურბინდით იყურებოდა: შორს დამშელს თვალი მოჰკრა. გზაზე ერთი გორაკი იყო; დამშელი რომ მოუახლოვდა გორასმოწიწებით და დახრით გამოიარა. სოლომონმა ეს რომ დაინახა, ძალიან გაუკვირდა და გადაწყვიტა თავის გულში: გამოვკითხავო. სოლომონი მივიდა ლ თავის მოახლეს შეეხვეწა: დამშელს გამოკითხე, რათ დაიხარა, რასი შეეშინდა იმისთანა ვაჟკაცს ამა და ამ გორასთანო. სო-

ლომონი რომ მოშორდა მოახლეს, ამ დროს დამშელი მივიდა თავის სატრფოსთან. ქალი ძალიან კარგად დახვდა, პატივი სცა და ბოლოს გამოჰკითხა: რა იყო მიზეზი, ამა და ამ გორასთან რომ დაიხარე და მოერიდეო? დამშელმა უთხრა:---მაგ გორასთან მოსე წინასწარმეტყველი ღმერთს ელაპარაკებოდა, ღრუბელში ღმერთმა მოსეს ბეჭედი გადმოუგდო, მაგრამ მოსემ ვერ იპოვნა და იმ გორაში დაიკარგა, ახლა ის ბეჭედი იქ არის და ყველა ფრინველნი დღეში სამჯერ მოდიან საოაყვანოთ, დაუკრავენ თავს და ისევ წავლენ ხოლმე, მე იმისი მორიდება მაქვს და ამისათვისაც მოწიწებით მოვდივარო.

დამშელი რომ წავიდა, ქალმა სულ ყველაფერი უთხრა სოლომონ ბრძენს. სოლომონი წავიდა იმ გორასთან, რომ სიმართლე თავის თვალით ენახა. ნახა და დარწმუნდა კიდეკ. სოლომონმა კლდე სულ დაანგრევინა და გაჰყო ორათ. მოვიდენ ფრინველნი და ერთს დაუკრეს თავი; სოლომონმა ახლა ეს გააყოფინა სამათ. ასე გაყოფ-გაყოფით ისე შეაცოტავა ის კლდე, რომ ხელის გულზე დაიყარა და იპოვნა ბეჭედი.

ფრინველები მოვიდნენ და დაუწყეს თაყვანის ცემა სოლომონ ბრძენს. ამასობაში სოლომონმა ფრინველთა ენაც შეისწავლა. ერთ დღეს დაგროვდნენ ფრინველები და მოახსენეს სოლომონ მეფეს: ჩვენში ერთი უფროსი (ხელმწიფე) ამოარჩიეთ და დაგვიდგინეთო. სოლომონმა უთხრა: ახლა წადით და ვინც დილაზე ადრე მოვა ჩემს სასახლეში, მას მივცემ ხელმწიფობასო. ფრინველები წავიდნენ. სოლომონი რომ ადგა დილით, ნახა, რომ ერთი მაწანწურა პატარა ჩიტი მოსულიყო. სოლომონმა იფიქრა: ეს რა სახელმწიფო ჩიტი არის, ამას როგორ მივცე ხელმწიფობაო და უთხრა: წადი, ისეთი ჯოხი მომი-

ტანე, რომ არც ბრუნდე იყოს და არც სწორეო. ჩიტი წავიდა და დღესაც დაეძებს ღობეში იმ ჯოხს, ამისათვისაც იმ ჩიტს დღეს ეძახიან „ღობე-მძვრალას“. სოლომონმა-კი ფრინველთ ხელმწიფობა ფარშავანგს მიუბოძა.

მკითხავი

(მისივე)

ერთს დედაკაცს ქმარი მოუკვდა და დარჩა ერთი ზარმაცი მაზლი. რძალმა უთხრა მაზლს: აქამდინ ჩემი ქმარი გვინახავდა და ეხლა შენ წადი, სადაც იყოს, იმუშავე და შეგვინახეო. ადგა ეს კაცი, დაადგა გზასა და წავიდა. გაიარა ცოტა და დაინახა ერთი აკიდებული აქლემი სდგას ტყეში. გაიარა ამ კაცმა ცოტა და შემოხვდა ორი სოვდაგარი.--აქლემი ხომ არსად გინახავსო? ჰკითხეს სოვდაგრებმა ამ კაცსა.—აქლემი კი არ მინახავს, მაგრამ მე მკითხავი ვარ და, თუ გინდათ, გიკითხავთო. —აბა, გეთაყვა, ერთი გვიკითხეო —უთხრეს სოვდაგრებმა —რას მამცემთ, რომ გიკითხოთო? ჰკითხა სოვდაგრებს. სოვდაგრებმა უთხრეს: — იმ აქლემს ასი თუმნის საქონელი ჰკიდია და მეოთხე ნაწილი შენი იყოსო. — კარგიო, დასთანხმდა ეს კაცი და წაიყვანა აქლემთან; თუმც აქლემი ახლო იყო, მაგრამ შორს მოატარა და მიიყვანა სოვდაგრები და უთხრა: აი, ძმანო, ეს თქვენი აქლემიო. აიღეს სოვდაგრებმა და მისცეს ოცდა ხუთი თუმანი ამ კაცსა. წამოვიდა შინ გახარებული და მოუტანა ფულები თავის რძალსა. ეს სოვდაგრები წავიდნენ ერთ ქალაქში სავაჭროთ. იმ ქალაქში ხელმწიფეს დაჰკარგოდა ერთი ძვირფასი ბეჭედი და მეცნიერებსა ჰკითხავდა. ამ სოვდაგრებმა უთხრეს: ამ ქვეყანაში ერთი მკითხავი არის, თუ გაიგებს ისა, თუ არა და სხვა ვერავინ გაიგებსო; ჩვენც აქლემი დავკარგეთ და იმან გვიპოვნაო.--აბა, მაშ წადით ჩქარა და ის

მკითხავი აქ მოიყვანეთო. მივიდნენ მკითხავთან და უთხრეს: ადექ, ხელმწიფე გიბარებსო. რასაკვირველია, თუმცა უარი უთხრა, მაგრამ თავი არ დაანებეს, მიიყვანეს ხელმწიფესთან. ხელმწიფემ შეჰყარა ფილოსოფოსები, ის კაციც ბოლოში დასვეს. მაშინ ხელმწიფემ ერთს პატარა ყუთში კალია ჩასვა, ჩამოატარა და ჰკითხა ფილოსოფოსებს: აბა, რომელიც გამოიცნობს, ამ ყუთში რა არის, ჩემ თვალსაც ის იპოვნისო. ვერავინ გამოიცნო. მიიტანა იმ კაცთან და იმ კაცმა წამოიძახა: ახ, ჩემო რძალო, რა უბრალოდ მომკალიო! მაშინ იგრძნო ხელმწიფემ: ჯერ არ მიმიტანია და ეხლავე იძახის კალიაო. მაშინ უთხრა ხელმწიფემ: რახან ეგ გამოიცან, ჩემი თვალიც უნდა იპოვნოვო. იმ კაცმა უთხრა: ორი დღე ვადა მომეცი და გიპოვნიო. მისცა ერთი ცარიელი ოთახი ‌დ იქ დააყენა ეს კაცი. თვალი, თურმე, ერთ ვეზირს მოეპარა. ერთ შუაღამეს მივიდა ვეზირი ამ კაცთან ‌დ დაუ: რახუნა კარები. გაუღო და ჰკითხა: რა გინდაო? შეეხვეწა ვეზირი და უთხრა: არ გეცოდებიო? შენი ჭირიმე, თვალი ჩემთან არის და როგორმე მომარჩინეო. მერე უთხრა იმ კაცმა ვეზირს: განა არ ვიცოდი, რომ შენა გქონდა, მაგრამ როგორ გამოგაჩენდიო. — თქვენ ბატები არა გყავთო? — ჰკითხა ვეზირს. — როგორ არაო.-ეს ბეჭედი ერთს ბატს ჩააყლაპეო და ფრთა ‌ბოსტეხე, რომ ნიშნიანი იყოსო. მეორე დღეს, დაიბარა მკითხავი ხელმწიფემ და ჰკითხა: აბა რა ჰქენიო? მკითხავმა უთხრა: ეგ თვალი ადამიანის ხელში არ არისო, — თქვენ ბატები არა გყავსო? — როგორ არაო. აბა აქ მოარეკინეო. ბატები მორეკეს. უთხრა: აბა, ეგ ფრთა მოტეხილი ბატი დაკალითო. დაკლეს და კუჭიდან ამოიღეს ბეჭედი. მაშინ ხელმწიფე გაჰკვირდა და მრავალი აჩუქა. ვეზირმაც ჩუმათ მისცა ბევრი საჩუქარი. შემდეგ მკითხავი წამოვიდა თავის რძალთან.

ამირანი

(მისივე)

ამირანი იყო ღვთის ნათლული და ღონიერი. ერთ-ხელ გზას მიდიოდა მარტოკა; ერთ ქალს მკვდარი მოჰქონდა მარხილით. ამირანი რომ დაინახა ამ ქალმა, მკვდრის ერთი ხელი ძირს გადმოიღო და მიწაზე მოათრევდა. ამირანი რომ მიუახლოვდა, ქალმა უთხრა საცდელათ: მოდი ერთი, და-ძმობას, ეს ხელი გაასწორეო. ამირანი ეწია და ვერ დასძრა ხელი. მერე ქალმა უთხრა: თუ შენთვის და-ძმობა არ მეთქვა, მოგიქნევდი და ცის ღრუბელში გაგრევდიო. დაფიქრდა ამირანი და სთქვა: ღმერთო, მე შენი ნათლული ვიყო ! ქალი ჩემზე ღონიერი უნდა იყოსო! მაშინ ერთი ჩარექი ღონე მიემატა ამირანს. წავიდა და შეხვდენ ორნი ძმანი ჩინელნი — ბადრი და უსუფი. ესენი თუმცა ღონიერნი იყვნენ, მაგრამ ამირანთან ვერ მოვიდოდნენ. ამათ უთხრა ამირანმა: ან უნდა მეძმოთო და ან უნდა მეყმოთო. იმათ უთხრეს: გეძმობითო. წავიდნენ ! ერთ ციხეს მიადგენ:

სამი დღე-ღამე უარეს, ვერ იპოვნეს კარი მისი,
ამირანმა წიხლი ჩაჰკრა, იქ შეადო კარი მისი,
შიგ ერთი მკვდარი ესვენა, საწუალი და საბრალისი,
თითებსა და თითებს შუა წიგნი უდევს ქაღალდისა;
ამირანმა წაიკითხა, შიგ ეწერა გვარი მისი:
„არც აგრე დაკარგული ვარ, ძმისწული ვარ უსუფისი,
სანამ ვიუავ, მტერი ვმუსრე, არ შევეწამე ჯავრი ვისი,
მდევსა ბაუბაუს ვერ შევები, ჯავრი ჩამუვა მეტათ მისი,
ვინც რომ ბაუბაუ დევს მომიკლავს, ჩემი ხმალი ალალ მისი,
ვინც რომ მიწას მიმბარებს, ჩემი რაშიც ალალ მისი“.

ამირანმა ანდერძი აუსრულა, აიღო იმისი იარაღი და წავიდა მდევთან. მდევი წინ შემოხვდა; ამირანმა უთხრა: მდევო, სად მიხვალო? დევმა უთხრა: ციხეში ერთი მძორი არის და უნდა შევჭამოვო.—შენ იმას ვინ შეგაჭმევს, ჩემი მოკეთე არისო!

ამირან, მდევი შეიბნენ, მიწას გაჭრონდა გრიალი,
ამირანმა მდევი დასცა, ადგილი შეხვდა ქვიანი,
დასცა და ბეჯი მოსტეხა, დაწეებინა ღრიალი.

მივიდენ ერთ წყლის პირას და დასხდენ. ერთ ბერ-კაცს ეშმაკი ვირათ ექცა, შეჯდა ბერი-კაცი ტ მიდიოდა.

ამირან და ჩიხოველნი სამნივ ისხდნენ წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ლესდა, ჩინოველნი უწყობს პირსა,
ერთი ვინმე ბერი-კაცი ტურფათ მოაგოგებს ვირსა,
წან ამირანი გადუდგა, თავი მოუკვეთა ვირსა,
აიღო და კაბა მისცა, ექვს-შვიდ თუმნათ ისიც ღირსა.
ჩივის, ტირის ბერი-კაცი: ჩემი ვირი მეტათ ღირსა.
ძრიელ გაჯავრდა ამირან, პირიდგანა ჭერიდა ცეცხლსა.
— აცა, ამირან, ნუ მამკლავ, მამაცო, მარდო ხლმიანო!
წყალ გალმა ქალსა გასწავლი, სახელით კამარ ჭქვი ნო,
წადი და გამოიყვანე, ამომაკვალი მზე არის,
თან ღვინო გამოატანე, სასმელად შარბათი არის.

ამირანი წავიდა კამარის გამოსაყვანათ. კამარის მამა ხელმწიფე იყო და იმ დროს სანადიროთ წასულიყო, ქალი მარტოკა იყო შინ. მივიდნენ და ქალი მოიტაცეს. ქალმა უთხრა: რახან მე უნდა წამიყვანოთ, რაც ჭურჭელია პირქვე დაამხვე, თორე ხელმწიფეს ამბავს მიუტანენო. მაშინ ყველა ჭურჭელი პირქვე დაამხვეს. ამირანმა, რაც ჭურჭელი იყო, სულ გადმოაბრუნა. ხელმწიფეს ანბავი მიუტანეს: კამარი მაიტაცესო. ხელმწიფემ მაშინვე შაყარა ჯარი და გამოუდგა. ქალმა ნახა, რომ თავის მამის ჯარი მისდევს და უთხრა:

ამირან, გოლე, გოლერ, მუხლით გაქებენ მალეო,
გასწი და უკან მოგდევენ, ომი იციან ცხარეო!
— არცა ვარ ჭალის ხოხობი, მომინადირონ ქორითა,
არცა ვარ მინდვრის კურდღელი, რომ დამიჭირონ მწევრითა;
მოვდევნ და მე აქ დავხვდები ამ ჩემი გორდა ხმალითა...

ერთს ციხეს მიატანეს და შიგ შევიდნენ. მოვიდა ჯარი და შემოერტყა ციხეს გარშემო. უსუფს უთხრა ამირანმა: ჩადი, ნახე, რამდენი ხმლის მოქნევა არისო. ერთი ჩარექის ტოლა დახოცა უსუფმა და მოკლეს. ამირანმა უთხრა: ადე, ბადრი, რასა გძინავს! ღვინო გისვამს, განა ბანგი! უსუფის იარაღის ჟღრიალი აღარ მოდისო. ბადრიმ უპასუხა ყვედრებით:

ჩვენც გვიყვარს ლამაზი ქალი,
რომ ვიგორებდეთ მკლავზედ!..
წავალ და შეც აქ მოგკვდები
იმ ჩემი ძმისა თავზედ.

ჩავიდა ბადრი, ნახევარი ჯარი გაწყვიტა და მოკლეს ბადრიც. დარჩა ამირანი. ჩამოვიდა, გაუსო ხმალი და ეს ჯარი სულ გაწყვიტა. შეხვდა ხელმწიფე; ხელმწიფეც მუხლებამდინ ფოლადში იჯდა; მოუხდა ამირანსა და ამირანი სცემდა თავში, მაგრამ რკინას რას დააკლებდა? დიდ ხანს იომეს. ქალი მაღლიდან უყურებდა და დაუძახა:

ამირან, დედაბრიშვილო,
კილო არ იცი ომისა!
მადა რათა სცემ სპილოსა
ძარს დაუწიე რბილოსა,
შარაზე გაეფეთოსა...

მერე მამამ დაუძახა:

დახედე ბოხსა კამარსა, ქმარი არჩია მამასა!
რისთვის გაგზარდა დედამ, რისთვის გეტყოდა ნანასა?
— არც გავუზრდივარ დედასა, არცა მეტყოდა ნანასა.

გამხვევდა ჩალა-ბულაში, მიმაგდის კარის ძირასა,
შიგნით დაიდგის აკვანი, გარედგან მუტეკვის ნანასა.

მაშინ ამირანმა შემოჰკრა და ფეხები დააყრევინა. რა ამირანი მორჩა ომს, ერთ ჯვარედინ გზაზე ერთი პალო დაურჭო და სთქვა: ვინც ამას ამოაძრობს, ის უნდა გავიხადო ძმათო. ვინც გაივლიდა და ვერ აძრობდა, ხოცავდა. მერე თითონ უფალი გამოეცხდა თავისი ანგელოზით. მოდიან, ამირანი წინ გადაუდგა და უთხრა: მართალია, ჩემ ნათლიას გევხარ, მაგრამ ეს პალო უნდა ამოაძროვო.—მიუგო: აბა, ჯერ შენ ამოაძრე და მერე ჩვენ ამოვაძრობთო. ამირანმა უთხრა: ბატონი ბძანდებითო დაეწეოდა თუ არა, უნდა ამოეძრო, გადასწერა ჯვარი და ზედ დააბა, მიიტანა ერთი გორა და ზედ დაადგა, საზრდოც შიგ აუჩინა. ამირანს გოშიები ჰყავს. ის გოშიები ლოკამენ, ლოკამენ ჯაჭვსა და როცა ძალიან გაწვრილდება ჯაჭვი, მაშინ დიდ ხუთშაბათობით მჭედლები უმძრახათ დაჰკრამენ ხოლმე კვერსა და ის ჯაჭვი იქა მთელდება. ის გორა, საცა ამირანი იმყოფება, შვიდ წელიწადში ერთხელ იღება. ერთხელ ღია ყოფილიყო და ერთ გლეხ-კაცს გაევლო იქითკენ, ამირანს დაენახა ეს კაცი და დაეძახა: კაცო, კაცო, აქ მოდიო! მივიდა ეს კაცი და ჰკითხა: რა გინდაო?—მოდი ერთი ეს ხმალი მომაწოდეო. მივიდა ეს კაცი, უნდოდა მიეწოდებინა, მაგრამ ვერ დასძრა. მერე ამირანმა უთხრა: წადი, ერთი ხელი ხმალს წაავლე და ერთ ხელში მე გამოგწევ და მოვათრევო. წააავლო ერთი ხელი ამ კაცმა ხმალსა, მეორე ხელში ამირანმა გამოსწია და ამ კაცმა დაიძახა: გავწყდი, გავწყდიო!.. მერე უთხრა ამირანმა: შენ წადი და თქვენებური ღვედი მაიტანეო; თუ რომ დაგინახოს ვინმემ, უკან არ მიიხედოვო. წავიდა ეს კაცი ღ ღვედი წამა-

იღო. თავის ცოლმა დაინახა და დაუძახა: სად მიგაქვს, კაცო, სად მიგაქსო? იმდენი უძახა, რომ უკან ძოახედა და სანამ ის მიიტანდა ღვედსა, გორა დაიკეტა.

როსტომი

(მისივე)

ერთი როსტომ ფალავანი იყო, მას ვერავინ უძლებდა თავის ქვეყანაში. ადგა და წავიდა-სხვა ქვეყანაში. შეხვდა ერთი ოღუზი კაცი და უთხრა როსტომს: შენ ვინა ხარო?—მე როსტომ ფალავანი ვარო. ამ ოღუზმა კაცმა წაავლო ხელი როსტომსა და სამ საჟენზე გადაადგო. როსტომი გაუცხარდა და ის გამოუდგა; როსტომი გაექცა. ერთს გუთნის დედას კალთაში პური ეყარა და სთესავდა, როსტომი მივიდა ტ შეეხვეწა: შენი ჭირიმე, დამმალე სადმე, ის კაცი მამდევს მოსაკლავათო. მეგუთნემ აიყვანა და კალთაში ჩაისვა. მოვიდა ოღუზი კაცი და უთხრა: კაცი გამამექცა, აქ მოვიდა და რა იქნაო? მეგუთნემ უთხრა:არ მინახამსო. - როგორ არა, აქ მოვიდაო! მეგუთნემ უთხრა: გაბრუნდი, თორემ ამ გუთნეულს თავში დაგარტყამო! ის კაცი გაბრუნდა და წავიდა. მეგუთნემ ჩაიხედა კალთაში ტ როსტომი აღარ იყო.—ვაიმე,ის კაცი ჩამიყლაპავსო! თურმე ერთი მოტეხილი კბილი ჰქონდა და იმ კბილში დარჩომილიყო და იქიდან დაუძახა: —არა, მამი,აქა ვარო.ჩაიყო ხელი და ამოიყვანა. ამოიყვანა და სთქვა: მადლობა ღმერთსა, კაცის სისხლით არ ვეზიარეო!.. მერე როსტომი შეეხვეწა ტ ჰკითხა: მამაშვილობას, მითხარი ეგ კბილი რისგან მოგტყდაო? მეგუთნემ უთხრა: თორმეტი ცხენოსანი ვიყავით გავარდნილი, ხალხს. ვცარცვავდით; ერთ მთის ძირას, ბაშინელმა სეტყვამ

და ქარმა მოგვასწრო, ერთ ადგილას ერთი გამხმარი კაცის თავი ეგდო, თორმეტი ცხენოსანი იმ თავში შეეედით, მანამ გადიღებდა; როცა ცოტა გადიღო, ერთმა მეცხვარემ ცხვარი გამოუშვა; აუტყდა ერთი მგელი. ამ მეცხვარემ ხან კლდე მოგლიჯა, ხან ხე ესროლა, მაგრამ მგელი ვერ მოიშორა. მერე მოვიდა და სადაც ჩვენ ვიყავით კაცის თავში თორმეტი ცხენოსანი, ხელი დაავლო და ესროლა მგელს. აი, ეს კბილი მაშინ მომტყდა, ზოგს თავი გაუტყდა, ზოგს მკლავი მოსტყდა. თუ არა გჯერა, აგერ იმ მთასთან მიდი და ნახეო. როსტომმა მადლობა გადაუხა ა და წავიდა სანახავად. ნახა მართლა ერთი უშველებელი. სამი დღე ღმერთს ევედრა როსტომი: ღმერთო, ეს გააცოცხლე და თვალებს ნუ მისცემო. უსმინა ღმერთმა და გააცოცხლა; აიმართა ერთი უშველებელი კაცი. როსტომი ამ საქმეს ჰკვირობდა. იმ კაცმა უთხრა: შენ როგორი ფალავანი ხარ, შენი ხმა ძირიდგან თავამდინ ძლივს მესმისო? როსტომმა უთხრა: ღვთის სახელს გაფიცებ, მითხარი: შენ უპატიურათ აქ რას აკეთებო? იმან უთხრა: შევცოდე უფალს და აქ იმიტომ ვგდივარო. მე გამოჩენილი ფალავანი ვიყავი, ქვეყანაზე რომ აღარავინ გადამირჩა, ჩემმა ღონემ ძალა დამატანა და უფალს ვუთხარი: მოდი შენ მაინც დამეჭიდე-მეთქი. უფალმა მითხრა: მე კი ნუ დამეჭიდები, წადი იმ მთას წიხლი წაჰკარი, იქიდგან ფალავანი გამოვა და ის დაგეჭიდებაო. მოველი ამ მთას წიხლი წავკარი, ნახევარი გვერდი შევანგრიე და აქედგან ისეთი ჭიანჭველები გამოცვინდნენ და თავით ფეხამდინ გამომხრეს. ახლა არ ვიცი, რათ ჩამიდგა სული. როსტომი ამ საქმეს ძალიან ჰკვირობდა. როსტომი წამოვიდა და ის ისევ ძვლათ იქცა. თუმცა როსტომი ფალავანი იყო, მაგრამ იმის მნახველმა თავი დაანება ფალავნობას.

მკვეხარა.

(მისივე)

ერთი კაცი ცოლს თავზე კვერცხს ადებდა, თოფს ესროდა და კვერცხს გადმოაგდებდა ხოლმე ძირს. დედაკაცს გული უსკდებოდა შიშისაგან და ქმარი კი იკვეხოდა: ჩემისთანა ვაჟკაცი კიდევ იქნებაო? ქალმა იჩივლა თავის დედასთან, რომ ჩემი ქმარი ესე მიშვრებაო და ძალიან მეშინიაო. დედამ უთხრა: ერთიც რო დაიკვეხოს, შენ უთხარი: მჯობნზე მჯობნი არ დაილევა-თქო. როდესაც იმ კაცმა თავზე კვერცხი დაუდო და თოფით გადმოაგდო, მოჰყვა კვეხნას; ცოლმა უთხრა: რას იკვეხამ? მჯობნზე-მჯობნი არ დაილევაო. ა! კაცმა ერთ სოფელში გაიარა, ნახა რომ ერთმა ქალმა წყალი აავსო და მიჰქონდა. — ერთი წყალი დამალევინეო — უთხრა მკვეხარამ. — აი, წყარო, მიდი და დალიეო. — შენ დამალევინეო. — მე კოკას ვერ დავანაკლულებო. — დამალევინე, თორემ კოკას გაგიტეხამო! ქალმა ამ ბიჭს ფეხში ხელი წაავლო, კოკა და ბიჭი ორივე აიკიდა და შინ აიტანა, ხელ-ფეხი შეუკრა და ისე დააგდო. ამ ქალს მამამთილი მოუვიდა. ნახეს — კაცი შეკრული გდია. უთხრა: ვინ არის, შვილო, ეგაო? — მაგას კოკა უნდა გაეტეხა ჩემთვის და იმისთვინ შევკარიო. მერე ის ბიჭი შეეხვეწა ბერი კაცს: სთხოვე — გამიშვასო. ბერმა კაცმა უთხრა რძალს და გაათავისუფლეს ეს ბიჭი და დაარიგეს: წადი და თავ-მდაბლათ მოიქეცი, თორემ უარესი დღე დაგადგებაო. ეს ბიჭი წამოვიდა, თავის ვაჟკაცობა დაავიწყდა და ამბობდა: ჩემი ცოლი მართალს მეუბნებოდა, რომ მჯობნზე მჯობნი არ დაილევაო.

სოვდაგარი

(მისივე)

იყო ერთი სოვდაგარი, ფრიად მდიდარი. მას ჟამთა ბრუნვამ სიმდიდრე ხელიდგან გამოაცალა და გასაწყლდა. სთქვა: მე ვხედამ ჩემ საქმეს, რომ უკან დაბრუნდა ჩემი ცხოვრებაო. მან გააკეთა ხუთიოდე საპანე ფარჩა და წაიღო სხვა ქვეყანაში. შევიდა, ჩამოხტა ერთ ქარვასლაში და დაჯდა საპანეზე. იმ დროს შევიდა ერთი დედაკაცი, ამოიღო ერთი თვალი და უთხრა: მამაშვილობას, ამისი, რაც მერგება, ფარჩა მომეცი, ყმაწვილები ტიტველა მყავსო. სოვდაგარმა უყურა, უყურა და ნახა, რომ ძვირფასი იყო, აიღო და ერთი ცალი გადმოუგდო. დედაკაცმა უთხრა: შე დალოცვილო, რა მასხარათ მიგდებ? თუ მაძლევ, მომეცი, თუ არა და უკანვე წავალო. სოვდაგარმა მეორე ცალიც გადმოუგდო. დედაკაცმა უთხრა: სამასხაროთ ხომ არ მოვსულვარო!.. სოვდაგრმა უთხრა: არა, დედავ, მე მასხარათ არ გიგდებ, რაც გერგება—გაძლევო. დედაკაცს გაუხარდა, აჰკიდა მუშას და წააღებინა. ამ სოვდაგარმა ოცი წელიწადი გაატარა ამ ქვეყანაში და დიდ-ძალი ფული შეიძინა. ერთხელ თავის ქვეყნის კაცი მიდიოდა შინ და ამ სოვდაგარმა უთხრა: თუ შეიძლება, ერთ ამანათს გაგატან და ჩემ ცოლს მიეცი ო. —ბატონი ხარ, წავიღებო. შეუხვია თვალი და გაატანა. ამ კაცმა გახსნა ქაღალდი და ნახა ეს თვალი, რომ ძვირფასი რამ იყო; ერთი ათი თუმანი ჰქონდა, იმ ფულში ჩადვა, გახდა ოცი თუმანი; იფიქრა ამ კაცმა: მე აღარ მივცემ ამ თვალს სოვდაგრის ცოლსაო. ეს კაცი თუმც ქოხში იდგა, ააშენა კოშკები. ამ სოვდაგრის ცოლს, რაც რამ ებადა, სულ დააგირავა და იმითი იც-

ხოვრა. როდესაც იდროვა ამ სოვდაგარმა, ადგა და თავის ქვეყანაში წავიდა. რაც საქონელი ჰქონდა, ქარავანს აჰკიდა და წამოიღო. იმისი ქარავანი ორ ვერსამდის მოდიოდა. როდესაც ქალაქში შევიდა, ერთი წვერი დაინახა ამ სოვდაგრის გოგომ და ქალბატონს უთხრა: ქალბატონო, ამისთანა აშენებული სოვდაგარი ჯერ არ მოსულაო. ქალბატონმა უთხრა: აბა წადი, ნახე, რომელ ქარვასლაში ჩამოხტებაო. წავიდა გოგო და ნახა. სამი-ოთხი ქარვასლა აამსო საქონლით ამ სოვდაგარმა. წამოვიდა გოგო და ამბავი მოუტანა თავის ქალბატონს. ქალბატონმა უთხრა: წადი ორი აბაზი სთხოვე, იქნება გაჩუქოს და ამალამ აღების ღამეა და იოლათ წავიდეთო. წავიდა გოგო, ვერ იცნობდა თავის ბატონს და უთხრა: შენი ღვთის გულისათვის ერთი ორი აბაზი გვაჩუქეო: — ჩემი ბატონი სოვდაგარი იყო და ოცი წელი წადია, წასული არისო; ამალამ აღების ღამე არის და შენ სადღეგრძელოთ გვაჩუქე რამეო. უყურა, უყურა სოვდაგარმა და იცნა, რომ თავის გოგო იყო და უთხრა: თუ ამალამ შენს ქალბატონთან დამაწვენ, ერთ თუმანს მოგცემო. გოგომ უთხრა: ჩემი ქალბატონი მაგისთანა არ არისო. — მაშ წადი, დაიკარგეო! გამობრუნდა გოგო დაღონებული და მოვიდა სახლში. ქალბატონს უთხრა: არ მამცაო. ქალბატონმა მიუგო, კარგი, შვილო, ეს ერთი ბეჭედი დაგვრჩომია, წაიღე, როგორც იყოს, დააგირავე და ერთი პური იყიდეო, ერთიც სანთელიო და იოლათ წავიდეთო. გოგომ აბაზათ დააგირავა ბეჭედი და რაც უნდოდა, იყიდა. ახლა დაღამდა და როცა იდროვა სოვდაგარმა, ყოველისფერი ხორაგი იყიდა, გაუძღვა მუშებს წინა და მიიტანა; კარი დაარაბუნა. — ვინა ხარო, დაუძახეს. — მე ისა ვარ, წელან რომ პირობა მომეციო. გოგო შევარდა

ტირილით და უთხრა: ქალბატონო, უყურე რა შარს მიდებსო, მე არა მითქომ რა და ტყუილათ მომიგონაო!.. იქიდგან დაუყვირა: რას ამბობ, ვიღაცა მოთრეულხარო?! გამოვიდა, ნახა რომ თავისი ქმარი იყო; გადეხვივნენ ერთმანეთს და ჰკოცნეს... მუშები გაისტუმრეს. კეთილი სუფრა მოიღეს და როდესაც შუა პურის ჭამაში შევიდნენ, სოვდაგარმა მიიხედ-მოიხედა, სახლში აღარა იყო რა და უთხრა თავის ცოლსა: რა გიქნია სახლის ავეჯიო? ცოლმა მიუგო: რა გაგიშვია, რომ მეჭამნაო? რაც რამ მქონდ სულ დავაგირავე და იმითი ვიცხოვრეო. სოვდაგარმა უთხრა: ჩვენის მეზობლის ხელით ერთი ამანათი გამოვგზავნე და მაშ არ მოიტანაო?—ჩემთვის არაფერი მოუტანიაო, უთხრა ცოლმა.

ადგა სოვდაგარი და წავიდა იმ კაცთან. შევიდა სახლში და სამი სტუმარი დაუხვდა. სოვდაგარმა სალამი მისცა და უთხრა: კაცო, ამანათს მგელიც შეინახამსო და მე შენ ერთი ამანათი გამოგატანე და რატომ არ მიეცი ჩემ ცოლსაო? იმ კაცმა უთხრა: რასა ბძანებთ? მაშინვე მივეციო. გამობრუნდა სოვდაგარი და წამოვიდა. მეორე დღეს საჩივლელათ წავიდნენ ხელმწიფესთან. ხელმწიფემ ამათი საჩივარი ვერ გადასჭრა. ორშაბათი იყო.— ყეინობა. ერთი მეხბორე პატარა ბიჭი ყეინათ დაესოთ და გამვლელ-გამომვლელისგან ფულს აგროვებდნენ. უბრძანა ყეინმა: წადით, ის სოვდაგარი და ის ოთხი კაცი აქ მოიყვანეთო, რომ საყეინო ფული გვაჩუქონო. დაიჭირეს ხუთნივე და მიიყვანეს. — აბა, ვერა ხედავთ, მე დღეს ხელმწიფე ვარ და ფულს ვაგროვებო, ჩქარა ამოიღეთო! სოვდაგარმა უთხრა: მე ჩემი დარდიც მეყოფაო.—მითხარ, რა დარდი გაქსო? სოვდაგარმა უანბო, როგორც ყოფილიყო. ბიჭმა უთხრა: მაგისი ნუ გედარდება, მე გიპოვნიო. დაუძახა

თავის კაცებს და უთხრა: ყველანი შორს დააყენე და ერთი მოწამე მოიყვანეთ. მოიყვანეს მოწამე და ჰკითხეს: კაცო, შენ ნახე, რომ იმ კაცმა სოვდაგრის ცოლს ბეჭედი მისცაო? —დიახ, ვნახეთ.--როგორი იყოვო? — წითელი. — რამოტელა იქნებოდაო? — ერთი მუშტის ტოლაო. უბძანა: ბიჭო, წაიყყანე ეს ერთ ოთახში, შეაგდეთ ტ კლიტე დაადეთო. —დაწერე, ბიჭო, წითელი თვალი. ბეჭი უჭირამთ ტ ნახშირითა სწერამენ. — მოიყვანეთ მეორე მოწამეო. მიიყვანეს მეორე და ჰკითხეს: შენ ნახე, რომ იმ კაცმა სოვდაგრის ცოლს ბეჭედი მისცაო? —ვნახეთ. — რანაირი იყოვო? — ლურჯი. —რამოტელა იქნებოდაო? — ორი მუშტის ტოლაო. უბძანა დასწერე, ბიჭო, ლურჯი თვალი ორი მუშტის ტოლაო. —წაიყვანე და ესეც სხვა ოთახში შეაგდეთ და კლიტე დაადეთო. —მოიყვანეთ მესამე მოწმეო. მოიყვანეს მესამე და ჰკითხა: შენ ნახე, რომ სოვდაგრის ცოლს თვალი მისცაო? — ვნახეთ, — როგორი იყოვო? — შავი. — რამოტელა იქმებოდაო? — ერთი თავის ტოლაო. — წაიყვანეთ ტ ეგეც ცალკე ოთახში შეაგდეთ ტ კლიტე დაადეთო. — ახლა მომტანი მოიყვანეთო. ჰკითხა ყეინმა: შენ რომ სოვდაგარმა თვალი გამოგატანა თავის ცოლთან — მიეცი თუ არაო? — დიახ, მაშინვე მივეციო. — რამოტელა იყოვო? — ერთი ფრჩხილის ტოლაო. — რა ნაირი იყოვო? — თეთრიო. დაუძახა სოვდაგარს და ჰკითხა: შენ რა ნაირი თვალი გამოატანეო?--თეთრი თვალი — ერთი ფრჩხილის ტოლაო. —წადით, გამოუშვით მოწმეებიო. წავიდნენ და გამოუშვეს. უთხრა: წაიკითხე პირველი მოწამისაო. წაიკითხა: „წითელი თვალი — ერთი მუშტის ტოლაო“. — წააქციეთ და ასი ჯოხი დაჰკარით მაგასო! წააქციეს და იმისი ყვირილის ხმა ორ ვერსზე მიდიოდა. — წაიკითხე მეორე მოწამისაო. წაიკითხა: „ლურჯი თვალი--ერთი მუშტის ტოლაო“. წააქ-

ციეს და ასი ჯოხი იმას მიარტყეს. —მეესამის წაიკითხეო. „შავი თვალი ერთი თავის ტოლაო.“ წააქციეს და ისიც კარგათ დაბეგვეს. მერე უთხრა ყეინმა: მომტანიც წააქციეთ და ორასი ჯოხი დაჰკარითო. შეეხვეწა მომტანი: ნუ დამარტყამთ და, აი, აქა მაქვსო. ამოიღო უბიდგან ტ მისცა. სოვდაგარს უთხრა: არც ეგ არისო? —ეს არისო— უთხრა სოვდაგარმა. ამოიღო ფული, აჩუქა და მადლობა გადაუხადა. ყეენმაც თავის ყეენობა გაათავა და მისწერა ხელმწიფეს, ამათი სამართალი მე გადავჭერიო. მაშინვე გაგზავნეს კაცები და მიიყვანეს ხელმწიფესთან ეს ბიჭი. ჰკითხა ხელმწიფემ: მამაშენი სად არისო? ბიჭმა უთხრა: მამაჩემი შარის თავზე ყანასა სთესამსო. — როგორ თუ შარის თავზეო? - წასულ გზასა ხნამს, ვინმე გადაივლის ტ შარი მოხდებაო. - მაშ, რადგან ეგეთი სამართალი გცოდნია, შენ უნდა ჩემ გვერდზე დაჯდე ტ ვინც მოჩივარი მოვა, სამართალი უნდა მისცეო. მეხბორემ უთხრა: მე რა ღირსი ვარ შენთან ჯდომისო? ხელმწიფემ უთხრა: თუ არ დაჯდები - დაგახრჩობო. მეხბორემ უთხრა: კარგი, დავჯდები, მხოლოთ ორივე თვალები უნდა დამთხაროვო. — რათაო? — ჰკითხა ხელმწიფემ. —იმისთვის, რომ ორნი მოვლენ საჩივლელათ, ერთი მდიდარი, მეორე საწყალი, ის მდიდარი ერთ მუჭა ოქროს მაჩვენებს და თვალები იმას დახარბდება და ის საწყალი-კი დაიწვებაო. აიღო ხელმწიფემ და თვალები დასთხარა. ვინც მოვიდოდა, სამართალს მისცემდა ხოლმე. იესო ქრისტე დადიოდა ქვეყნათ; ერთხელ სთქვა: წავალ და ვსცდიო. წამოვიდა ერთ სოფელში ჯორით, ერთ დედაკაცს ერთი ხბო ჰყავდა, გამოუდგა ჯორს ეს ხბო. იმ დედაკაცმა დაიჭირა ეს ხბო დაბა, მაგრამ კიდევ გაწყვიტა თოკი და გამოუდგა ჯორს. იესო ქრისტემ უთხრა: დედავ, ეს ხბო ჩემ ჯორს

დასდევს რამოდენა ხანიაო. დედაკაცმა უთხრა: რას ამბობ, კაცო, სამი წელიწადია ამ ხბოს ვზრდი, ჩემი ძროხის არისო!.. — არა, დედავ, ხბო ჩემი არისო. — მაშ ბრმა ხელმწიფესთან წავიდეთ საჩიველლათო. დედაკაცმა უთხრა: სამი წელიწადია ერთ ხბოს შვილივითა ვზდი, ერთმა ვიღაცამ გამოიარა ჯორით, ველარ მოვაშორე და ახლა ჩემობსო. — ტყუილს ამბობსო — ჯორიანმა უთხრა: რამდენი ხანია ჩემ ჯორს დასდევს და ახლა ეს დედაკაცი იჩემებსო და გთხოვთ ამისი სამართალი მოგვცეთო. ხელმწიფემ უთხრა: სამი დღე მომითმინეთ და სამ დღეს უკან გადავჭრიო. — მე სამ დღე სად გელოდო, მეჩქარება, უნდა წავიდეო. ბრმამ უთხრა: ზღვიდან თევზები გამოსულან, ყანა სულ მოუძოვიათ და იმათი სამართალი უნდა გადავჭრაო. ჯორის პატრონმა უთხრა: როგორ შეიძლება წყლიდან თევზის გამოსვლაო?! — მაშ ეგეც ხომიცი, ჯორიდან ხბო ვის გაუგონიაო? მაგ საწყალი დედაკაცის არის, აიღე და მიეციო. მაშინ ბრმა დალოცა იესო ქრისტემ და თვალებიც აუხილა. თითონ წავიდა. ის ხელმწიფე გარდაიცვალა და ხელმწიფობა იმ ბრმას დარჩა.

პირ-მყრალა

(მისივე)

ერთი ძალიან მაგინებელი კაცი იყო ჰ „პირ-მყრალას“ ეძახოდენ. ყველას ეჯავრებოდა ეს კაცი. სთქვა: რადგან ყველას ვეჯავრები, წავალ მონასტერში და ბერებს ვემსახურებიო. მივიდა ბერებთან და უთხრა: თქვენი არა მინდა-რა, პური მაჭამეთ და თქვენ გემსახურებითო. ბერებმა მიიღეს ეს კაცი და იმსახურეს რამდენიმე თვე. ამ ბერების ჩვეულება იყო, რომ ზაფხულში

წავიდოდნენ ⸗ სოფელ-სოფელ პურს აგროვებდნენ. ამ კაცს აჰკიდებდენ ტომრებს, ორი ბერი წინ მიუძღოდა ⸗ ეს კაცი უკან მისდევდათ აკიდებული. მივიდნენ ერთ სოფელში, გამოვიდა ერთი ქალი და ხელი დაუქნია: დადექითო. ბერები დადგნენ. ამათ ეგონათ: სადილს გვაჭმევენო. ერთი საათი ელოდნენ და მერე გამოვიდა ქალი და უთხრა: ახლა წადითო. უყურა ამ მაგინებელმა და უთხრა: ან ჩვენი დაყენება რა იყო და ან წასვლა რა არისო? იმ ქალმა უთხრა: ჩემმა დედამთილმა დამარიგა: მაღალ ქუდიანი კაცი რომ ნახო, კრუხი დასვიო და ქოჩორა წიწილებს გამოსჩეკავსო; ეხლა მე კრუხი დავსვი და იმიტომ დაგაყენეთო. იმ კაცმა ჰკითხა: სად არის შენი დედამთილიო? — საიქიოს არისო. — საიქიოს ის აძაღლდეს და სააქაოს შენაო!.. ბერებმა უყურეს და გაიცინეს. ჰკითხეს: ყოველთვის ეგრე სიმართლით გიგინებიაო? - ესრე მიგინებიაო. — მაშ შენ ცხონებული ყოფილხარო. ადგნენ და წავიდნენ.